# გილოცავთ ახალ წელს!


# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურ-თის გაცვანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


სამშაბათი 31 დეკემბერი. 2019 წ. №260 (8926) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


# 2020



## ღმერთო, დაბედე საქართველოს:

ჩვენი უწმინდესისა და
უნეტარესის ილია მეორის
მიტევების, შენდობის და
სიყვარულის ნიჭი;
ბიძინა ივანიშვილის უანგარობა და გულწრფელობა;
თამაზ გამყრელიძის მეცნიერული რუდუნება;
რობერტ სტურუას რეჟისორული შემართება;
ნანი ბრეგვაძისა და თამარ გვერდწითელის ხმა;
ანზორ ერქომაიშვილის ფოლკლორული სიბრძნე;
ზურაბ ნიჟარაძის ფერთა სიუხვე;
გია ჯოხთაბერიძის მხოლოდ ქართული საქმე;
მანანა ჩიტიშვილის პოეტური აღმაფრენა;
ნონა გაფრინდაშვილის და მაია ჩიბურდანიძის ტალანტი;
სუხიშვილების როკვა განფენილი;
აკა მორჩილაძის სიტყვასთან ჭიდილის ნიჭი;
თემურ ბაბლუანის დიდი ოჯახიშვილობა;
ვაჟა გაფრინდაშვილის მოულოდნელი გმირობა;
ლაშა ტალახაძის ღონიერება და უბრალოება;
8000-წლოვანი ქართული ღვინის გემოვნება და გარანტირებული უკვდავება...

## უფალო, შენ გაამთლიანე და გააერთიანე საქართველო!

## „რა უნდა მოიმოქმედოს „ქართულმა ოცნებამ“, რომ 2020 წლის არჩევნები მოიგოს?! 2

## როგორ გვაკლია ბიძინა ივანიშვილივით გულანთებული მამულიშვილები! 4

## საქართველოვ, ჩემო დედავ, ჩემო სუნთქვა 6 გენაცვალა!!!

## სიკეთე და სიხარული დაგბედებოდეთ!

საქართველოს მეგზევეთა საზოგადოება დიდი პატივისცემით ულოცავს დამდეგ 2020 წელს საქართველოს მეგზევეთა დიდ კოლექტივს, ყველა მეგზევეს და სპეციალისტს, ვინც თავისი საქმიანობით მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოში საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესთან.

ბედნიერი ყოფილიყოს როგორც მთლიანად საქართველოსთვის, ისე ყველა მეგზევის ოჯახისთვის მომავალი 2020 წელი.

ჯანმრთელობა, დიდი სიკეთე და სიხარული დაგბედებოდეთ!

**თამაზ შილაკაძე,**
საქართველოს მეგზევეთა საზოგადოების თავმჯდომარე, აკადემიკოსი



## საპატრიარქო კარდინალ პაროლინსა და ილია მეორეს შორის შეხვედრაზე განცხადებას ავრცელებს

**საქართველოს საპატრიარქოს განცხადებით, წმინდა საყდრის სახელმწიფო მდივნის, კარდინალ პიეტრო პაროლინის ვიზიტი ძირითადად საქართველოსა და რომის ორ უძველეს ეკლესიას შორის ურთიერთობების შენარჩუნებასა და გაღრმავებას ეძღვნებოდა.**

საპატრიარქოს ცნობით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსა და კარდინალ პიეტრო პაროლინს შორის საუბარი შეეხო საქართველოს სახელმწიფოსა და მთელი ქრისტიანული სამყაროს წინაშე მდგარ სირთულეებსა და თანამედროვე გამოწვევებს.

**„შეხვედრამ თბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა“,** – წერია საპატრიარქოს განცხადებაში. კარდინალ პაროლინის ვიზიტი საქართველოში 28 დეკემბერს დაიწყო. ის საქართველოს პრემიერ-მინისტრს და პარლამენტის თავმჯდომარეს შეხვდა. ასევე, ქეთევან ციხელაშვილთან ერთად გუგუტიანთკარსა და წეროვანში იმყოფებოდა.

## თბილისში სერბეთის საპატიო საკონსულო გაიხსნება

**საკონსულო დაწესებულების ამოქმედებაზე თანხმობა საქართველოს მთავრობამ გასცა. შესაბამის განკარგულებას ხელი პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ მოაწერა. საკონსულო თბილისიდან საქართველოს მთელ ტერიტორიას დაფარავს.**

საქართველოსა და სერბეთის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1995 წლის 26 ივნისს დამყარდა. მიმდინარე წელს ბელგრადში საქართველოს საპატიო საკონსულო გაიხსნა. მომავალში სერბეთში საქართველოს საელჩოს გახსნაც იგეგმება.

## ცხინვალის რეჟიმი დე ფაქტო საზღვარს კეტავს

**ოკუპირებული ცხინვალი ახალი წლის პერიოდში, 30 დეკემბრიდან 3 იანვრამდე დე ფაქტო საზღვარს კეტავს. „ქარძმანის“ მონაკვეთზე გადაადგილება 30 დეკემბრის 20:00 საათიდან 3 იანვრის 06:00 საათამდე იქნება ჩაკეტილი.**

დე ფაქტო უშიშროების კომიტეტის ინფორმაციით, მათი ეს გადაწყვეტილება უსაფრთხოების გაძლიერების მიზეზით არის განპირობებული. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თქმით, ამასთან დაკავშირებით ცხელი ხაზი – გააქტიურებული, ხოლო ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ინფორმირებულია.

## არჩილ თალაკვაძე: ჩვენი მშვიდობიანი პოლიტიკით ოკუპაცია დასრულდება

**ოკუპაციას არავითარი პერსპექტივა არა აქვს,** – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ არჩილ თალაკვაძემ საოკუპაციო რეჟიმის მიერ ე.წ. საზღვრის ჩაკეტვასთან დაკავშირებით საუბრისას განაცხადა. როგორც არჩილ თალაკვაძემ აღნიშნა, ე.წ. საზღვრის ჩაკეტვა პირველი ფაქტი არ არის და ამას საოკუპაციო რეჟიმი მოქალაქეებზე ზეწოლისთვის იყენებს.

**„ეს არის კიდევ ერთი მანიპულაცია, რასაც დე ფაქტო ხელისუფლება, სამწუხაროდ, იყენებს და ამ მანიპულაციის მსხვერპლი არიან უბრალო ადამიანები. ჩვენ ვხედავთ, გადასასვლელების ჩაკეტვა არ არის პირველი ფაქტი, როდესაც ოკუპირებულ რეგიონებში დე ფაქტო ხელისუფლება იყენებს ამას მოქალაქეებზე ზეწოლისათვის. რა თქმა უნდა, ეს არის სერიოზული გამოწვევა, იმიტომ კი არა, რომ ადამიანები ერთმანეთს ვერ ნახულობენ, არამედ იმიტომ, რომ ბევრ ადამიანს ელემენტარული საჭიროებები აქვს. სამედიცინო პრობლემები აქვთ, ყოველდღიური გამოწვევები, რაც არსებობისთვის სჭირდებათ და რასაც ისინი ვერ ახერხებენ. არავითარი პერსპექტივა არა აქვს ამ ოკუპაციას, ამ რეჟიმს და წლიდან წლამდე უარესდება ჩვენი მოქალაქეების მდგომარეობა საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს. ამიტომ ეს ოკუპაცია არის დროის წინააღმდეგ, ეს ოკუპაცია არის საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ. ჩვენი მშვიდობიანი პოლიტიკით, ეს ოკუპაცია დასრულდება, შეუძლებელია, გაგრძელდეს უვადოდ“,** – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

## დევნილი ოჯახები ახალ წელს ახალ ბინებში შეხვდებიან

მარნეულში, ახალაშენებულ კორპუსში, დევნილ ოჯახებს საცხოვრებელი ბინები გადაეცათ. ინფორმაციას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ავრცელებს:

**„მრავალწლიანი ლოდინის შემდეგ, კიდევ 6 დევნილი ოჯახი ახალ წელს საკუთარ ბინაში შეხვდება.**

**მარნეულში, 26 მაისის ქუჩაზე არსებული ბინები სახელმწიფომ დევნილი ოჯახებისთვის, მენაშენეების პროგრამის ფარგლებში, კონკურსის წესით შეისყიდა.**

**იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს ახალი ბინების გასაღები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ გიორგი წოწკოლაურმა, დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორმა ბესარიონ სიმონიშვილმა, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულმა შოთა რეხვიაშვილმა და მარნეულის მუნიციპალიტეტის მერმა ზაურ დარგალმა გადასცეს.**

**2019 წელს, სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით, საცხოვრებელი ბინები 2097-მა დევნილმა ოჯახმა მიიღო. ეს პროცესი 2020 წელს კიდევ უფრო აქტიურად გაგრძელდება. მომდევნო წელს ახალი საცხოვრებელი 2500-ზე მეტ დევნილ ოჯახს გადაეცემა“.**

## პირველი იანვრიდან სოციალური პაკეტები და სახელმწიფო პენსია იზრდება

პირველი იანვრიდან სოციალური პაკეტები და სახელმწიფო პენსია იზრდება. გაზრდილ სოციალურ პაკეტს, 114 ათასამდე შშმ პირი მიიღებს. ცვლილება გუშინ მთავრობის სხდომაზე დაამტკიცეს.

**„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური პაკეტის ოდენობის ზრდა 20 ლარით. ცვლილება შეეხება ყველა კატეგორიის, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს (18 წლამდე).**

**პროექტის მიზანია, ყველა კატეგორიის, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირთა და შშმ ბავშვთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. ამ მიზნისთვის საჭირო თანხის წლიური ოდენობა დაახლოებით 35 მილიონი ლარია. პროექტი 2020 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება.**

**2020 წლის 1 იანვრიდან 20 ლარით გაზრდილ პენსიას მიიღებენ საპენსიო ასაკის მქონე პირები. სოციალური პაკეტებისა და პენსიის ზრდა 1 ივლისიდანაც მოხდება. 70 წელს ზემოთ პენსიონერებს, 18 წლამდე და პირველი ჯგუფის შშმ პირების პაკეტებზე 30-ლარიანი მატებაა გათვალისწინებული. ახალი წლიდან, მთაში მცხოვრები საპენსიო ასაკის პირები 220 ლარის ნაცვლად 264 ლარს მიიღებენ. 1 ივლისიდან კი** 300 ლარს მიიღებენ მთაში მცხოვრები ის პენსიონერები, რომელთა ასაკი 70 წელს აღემატება.

**ხალხის ხმა!**

# რა უნდა მოიმოქმედოს „ქართულმა ოცნებამ“, რომ 2020 წლის არჩევნები მოიგოს?!

**ახალი წლის წინ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტებმა ჩვენს რამდენიმე სახელოვან თანამოქალაქეს კითხვით მიმართეს: „რა უნდა მოიმოქმედოს „ქართულმა ოცნებამ“, რომ 2020 წლის არჩევნები მოიგოს?!“**



**გიორგი კვესიტაძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი:**

– ვფიქრობ, ყველაზე მთავარია, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ ახალ პიროვნებებს სათანადო მონიტორინგი გაუწიოს, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. საჭიროა იმ ადამიანთა დიდი დაკვირვებით შერჩევა, ვინც საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებებს იღებს.

**ირაკლი ანდრონიკაშვილი, არქიტექტურული სახელოსნოს ხელმძღვანელი:**

– ვფიქრობ, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნება“ დიდი განსხვავებით ველარ გაიმარჯვებს, თუმცა, გარკვეულ უპირატესობას ძველი დამსახურებების ხარჯზე მაინც შეინარჩუნებს. ამიტომ, კოალიციური მთავრობის შექმნა გახდება საჭირო, რისთვისაც ოპოზიციასთან კონსტრუქციული საუბარი უნდა წარიმართოს.

**ომარ გოგიაშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი:**

– „ქართული ოცნების“ უბედურება ის არის, რომ მას სერიოზული კონკურენტი არ ჰყავს. სანამ მისი მთავარი მოწინააღმდეგე ნაციონალური მოძრაობაა, მას თავი ქუდში აქვს, თუ რა თქმა უნდა, თვითონ არ ჩაიდენს რაიმე გამოუსწორებელ შეცდომას.

იმისთვის, რომ დამაჯერებლად გაიმარჯვოს არჩევნებში, „ქართული ოცნება“ აუცილებლად უნდა მიჰყვეს ერთ მთავარ პრინციპს: აუცილებლად შეასრულოს ყველა საჯაროდ მიცემული დაპირება.



**ალექსანდრე თვალჭრელიძე, ექსპერტი:**

– პირველ რიგში, ბოდიში უნდა მოიხადოს საზოგადოების წინაშე, თავისი ტროლების საქმიანობისთვის, იქნებ, ამან რაღაცნაირად აღუდგინოს შელახული სახელი. ისე კი, ვინც ასეთი „პიარი“ გაუკეთა, რომ იტყვიან, „ჩამოსახრჩობია“!

**ნიკოლოზ ანთიძე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს უფროსი:**

– ჩემი, როგორც საქართველოს რიგითი მოქალაქის სუბიექტური აზრით, სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის ინფორმირების დონე იმის თაობაზე, რაც ქვეყანაში რეალურად კეთდება, გაცილებით მეტი, საერთოდ კი, რაც შეიძლება მაღალი უნდა იყოს. აუცილებელია, მთელმა საზოგადოებამ დაინახოს, თუ რას ახორციელებს „ქართული ოცნების“ მთავრობა. შესაბამისად, რაც უფრო მეტი ინფორმაცია გავა ხალხში, რაც უფრო მეტად ექნება ამომრჩევლებს მთავრობის მოღვაწეობის შეფასების შესაძლებლობა, მით უკეთესი. ამით საზოგადოებაში დემოკრატიულობის ხარისხი ამაღლდება და ეს მთელ ხალხს წაადგება.



**გია ჯოხაძე, გერმანიაში მოღვაწე მხატვარი:**

– როცა საქართველოდან შორს ხარ, ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ „ქართულ ოცნებასა“ და ოპოზიციას შორის ხელჩართული ბრძოლა დღეს თუ არა, ხვალ დაიწყება. არადა, ჩემი ღრმა რწმენით, რაშიც ყველა გერმანიაში მცხოვრები ჩემი ახლობელი თუ უბრალოდ, ნაცნობი მეთანხმება, კიდევ ერთ შეიარაღებულ დაპირისპირებას საქართველო ველარ გადაიტანს. ამიტომაც, ყველა პოლიტიკოსმა თავის ქმედებას „ტვინი უნდა მიაყოლოს“. განსაკუთრებით კი ეს მმართველ ძალას ეხება, მაგრამ არანაკლები პასუხისმგებლობა ოპოზიციურ ძალებსაც აკისრიათ.

**იაკობ ლეჟავა, ექიმი, პუბლიცისტი:**

– უბრალოდ გასამარჯვებლად, ანუ პირველ ადგილზე გასასვლელად (გაცხადებული საარჩევნო სისტემის პირობებში) მას ამჟამად არსებული პრესტიჟიც ეყოფა, მაგრამ „ოცნების“ მიზანი, ცხადია, უმრავლესობით მოსვლაა, და ამ მიზნის მისაღწევად, მკვეთრად დაცემული პრესტიჟის ჭეშმარიტად და ხანგრძლივი ვადით ასამაღლებლად საჭიროა 2012 წელს პირველ ნომრად გაცემული მთავარი დაპირების შესრულება, ანუ სამართლის დამკვიდრება – უპირველესად, დამნაშავე „ნაცმოძრაობის“ გასამართლება და მისი პოლიტიკური ცხოვრებიდან ჩამოშორება 10 წლით მაინც, ყველაფერი დანარჩენი თავისით დალაგდება.



# როცა რეფორმა საჭირო და გარდაუვალია!




**ბატონო გიორგი!**

**მოგესალმებით და დავიწყებ მადლობით! მადლობას გიხდით იმ დიდი პასუხისმგებლობის გაზიარებისთვის, რასაც პრემიერ-მინისტრის თანამდებობა მოიცავს და რასაც თქვენ, როგორც ჩვენი ქვეყნის პრემიერ მინისტრი, ღირსეულად ატარებთ.**

**საქართველოში ძნელია, მოძებნო სფერო სირთულეების გარეშე, იმედი მაქვს, თქვენი გუნდი ღირეულად გაართმევს თავს გამოწვევებს და შექმნის ღირსეულ ეტაპს ჩვენი ქვეყნის განვითარების უახლეს ისტორიაში! გვეიმედებით!**

მე ქართული მეცნიერების პრობლემებით მინდა მოგმართოთ. თითქმის ათი წელია, ერთ-ერთ სამეცნიერო კვლევით დაწესებულებაში — სსიპ ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრში ვმუშაობ და ამდენივე წელია, ჩემი კომპეტენციის ფარგლებში, ქართული მეცნიერების ცხოვრებით „ვცხოვრობ". ქართული მეცნიერება კომპლექსური პრობლემების ტყვეობაშია. მწირი მატერიალური რესურსები, დაბალი ხელფასი, ახალგაზრდა კადრების სიმცირე, ძველი ინფრასტრუქტურა და კიდევ უფრო დიდი ინსტიტუციური პრობლემები ის არასრული ჩამონათვალია, რაც დარგის განვითარების შესაძლებლობას აფერხებს და კომპლექსური რეფორმების გარდაუვალი საჭიროების მიჯნაზე ვდგევართ. ეს პრობლემები აერთიანებთ ამ სფეროში მოღვაწე ყველა პერსონალს — მეცნიერს თუ არამეცნიერს! როგორც აღვნიშნე, ერთი ათეული წელია, ამ სფეროში ვმუშაობ და პრობლემებზე, მით უფრო ხელფასზე საუბარი სამეცნიერო საზოგადოების „სტილი" ნამდვილად არ არის. ქართული მეცნიერება წლების განმავლობაში ენთუზიაზმით შენდებოდა და ჩვენი მეცნიერები თითქმის ყოველთვის იდგნენ და დგანან მატერიალურ სიკეთეებზე მაღლა. მაგრამ არის ზღვარი, როცა რეფორმა საჭირო და გარდაუვალია! გარდაუვალია ცვლილებები მეცნიერების უკეთესი მომავლისთვის! მეცნიერების ხვალინდელი დღისთვის! დარგს დახმარება სჭირდება!

მე ერთი რიგითი „არამეცნიერის" ემოციით მოგმართავთ, რომელიც ახლოს იცნობს დარგის პრობლემებს. იმდენად ახლოს, რომ ამ პრობლემების ჩიხში შესული სამსახურიდან წასვლის ზღვარზეა! იმ სამსახურიდან, რომელიც უყვარს, უხარია, სტკივა და უნდა, რომ უფრო კარგად იყოს! თუმცა წასვლა არც პრობლემების გადაჭრის გზაა და ზოგ შემთხვევაში არც საუკეთესო გამოსავალი! საუკეთესო გამოსავალი საგნობრივი მსჯელობით დარგის სწორი გზით განვითარებაა, რაც ჩვენი საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესია!

**გავკადნიერდები და მოგმართავთ თხოვნით, იმედით და მადლიერებით, იქნებ გამონახოთ დრო და გვესტუმროთ ცენტრში. ვფიქრობ, საინტერესო, მნიშვნელოვანი და საჭირო შეხვედრა შედგება აკადემიური სფეროს წარმომადგენლებთან. ეს იქნება კარგი პრეცედენტი ცენტრის ისტორიაში პირველად საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტის და მჯერა, ეს გახდება ვიზიტი ქართული მეცნიერების უკეთესი მომავლისთვის!**

**გილოცავთ დამდეგ 2020 წელს! ბედნიერების, სიკეთის და წარმატებების მომტანი ყოფილიყოს ახალი წელი ჩვენი ქვეყნისთვის. თქვენ ოჯახურ კეთილდღეობას და წარმატებულ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას გისურვებთ. მეიმედებით!**

პატივისცემით
**თეა ცერცვაძე**



# პრემიერ-მინისტრმა მთავრობის 2019 წლის ბოლო სხდომაზე გასული წელი შეაჯამა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ მთავრობის 2019 წლის ბოლო სხდომაზე გასული წელი შეაჯამა. მთავრობის მეთაურმა საუბარი ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევებით დაიწყო.

**„ეს წელი იყო უაღრესად დინამიკური და საკმაოდ დატვირთული როგორც გამოწვევებით, ასევე მიღწევებით. მოგეხსენებათ, რომ, სამწუხაროდ, დღემდე ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ოკუპაცია. დღემდე საქართველოს ტერიტორიების 20% არის ოკუპირებული და ეს არის უკიდურესად მნიშვნელოვანი შეზღუდვა, 20%-ით შეზღუდვა ჩვენი ადამიანური კაპიტალის განვითარების და, საერთოდ, ჩვენი ქვეყნის პოტენციალის, შემდგომი განვითარების. უაღრესად მნიშვნელოვანია, თითოეულ ჩვენგანს გვახსოვდეს, რა წინააღმდეგობებს ხვდებიან ყოველდღიურად ჩვენი მოქალაქეები საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს. საბედნიეროდ, მშვიდობით დასრულდა ქართველი ექიმის უკანონო პატიმრობა, თუმცა, თითოეულ ჩვენგანს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი მოქალაქეები საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს ყოველდღიურად ხვდებიან ამ წინააღმდეგობებს და დღეს, სამწუხაროდ, ახალგორელებისთვის სრულად არის შეზღუდული გადაადგილების თავისუფლება და ეს არის ჰუმანიტარულად უმძიმესი მდგომარეობა",** — განაცხადა პრემიერმა. გიორგი გახარიამ მთავრობის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად დაასახელა ქართული ტრადიციებით, ქართული კულტურული იდენტობით ევროპული, ევროატლანტიკური ინსტიტუტების სრულფასოვანი წევრობა.

**„წელს ჩვენ გავხდით ევროპის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა და ჩვენ ერთმნიშვნელოვნად, სრულად უნდა გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა იმისთვის, რომ ჩვენს ევროპელ პარტნიორებს, ჩვენს მეგობრებსა და კოლეგებს გავაცნოთ ის მიღწევები დემოკრატიზაციის, რომელიც გვაქვს ქვეყანაში, ის გამოწვევები, რომლებიც გვაქვს და დავანახოთ ყოველდღიური პროგრესი, რომელსაც აღწევს საქართველოს მოქალაქე და ქართული საზოგადოება",** — აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა შავი ზღვის უსაფრთხოებას, როგორც 2019 წელს ნატოსა და საქართველოს თანამშრომლობაში გაჩენილ ახალ განზომილებას. გიორგი გახარიას შეფასებით, ეს საქართველოს აძლევს შესაძლებლობას, კიდევ ერთი მიმართულებით გაუწიოს ნატოს უაღრესად მნიშვნელოვანი პარტნიორობა.

**„ეს იყო უაღრესად მდიდარი წელი ერთობლივი ვარჯიშებით, რომლის რაოდენობაც უპრეცედენტოა. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 2019 წელს ნატოსა და საქართველოს თანამშრომლობაში გაჩნდა ახალი განზომილება შავი ზღვის უსაფრთხოება, რომელიც საქართველოს აძლევს შესაძლებლობას, კიდევ ერთი მიმართულებით გაუწიოს ნატოს უაღრესად მნიშვნელოვანი პარტნიორობა. ეს არის ჩვენი მისია, შავ ზღვაში ვიყოთ უსაფრთხოების გარანტები ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად. ასევე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ძირითად სტრატეგიულ პარტნიორთან არასდროს გვქონია ასეთი ღრმა და ყოვლისმომცველი პარტნიორობა, რომელიც გვაქვს დღეს ჩვენ, რომელიც დაფიქსირდა 2019 წელს და რომელიც მოიცავს სრულად ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვან განზომილებებს, რომელიც არის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ეკონომიკის მიმართულებით ის პროგრესი, რომელიც ჩვენ გვაქვს და, რა თქმა უნდა, ქვეყნის დემოკრატიზაციის მიმართულებით",** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

იხ. 5 გვ.



# როგორ გვაკლია ბიძინა ივანიშვილივით გულანთებული მამულიშვილები!

**მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნის ტოლფასი იყო პარტია „ქართული ოცნების“ მიერ 14 ნოემბერს პარლამენტში საკითხის ჩავარდნა იმის თაობაზე, 2020 წლისთვის საპარლამენტო არჩევნები პროპორციულის ნაცვლად შერეული სისტემით გაიმართებაო. გაერთიანებული ოპოზიცია ხელისუფლების წინააღმდეგ დაირაზმა და რუსთაველის გამზირზე აქციების ცეცხლი დაანთო, რომელთა სათავეშიც ძირითადად „ნაცმოძრაობა“ და მისი განაყოფები მოგვევლინნენ.**

ბოქლომებით და ჯაჭვებით აღჭურვილმა ახალგაზრდული ორგანიზაციების წევრებმა მოსვენება დაუკარგეს საჯარო სამსახურის წარმომადგენლებს. იმათი ცდა, პარლამენტში არ შეეშვათ უმრავლესობის დეპუტატები — უშედეგოდ დამთავრდა. პოლიციამ ოსტატურად აღკვეთა ოპოზიციის მხარდამჭერების მიერ მოწყობილი ბლოკადა, პიკეტი, ჩახერგილობა და სხვა შეუფერებელი ქცევები.

ხშირად აქციის მონაწილეთა თავგასულობა სცილდება ყოველგვარ კანონიერებას, კულტურას და ზნეობას.

პარლამენტის წინ გამართული აქციები მაინცდამაინც მრავალრიცხოვნობით არ გამოირჩევა. მეტად კურიოზული ამბის მომსწრენი გავხდით, გაერთიანებულმა ოპოზიციამ, რომელიც 22 თუ 30 პოლიტიკური პარტიისგან შედგება, აქციებზე ხუთი ათასი კაცის გამოყვანაც ვერ შეძლო. უფრო მეტიც, ამ აქციების ლიდერების არაერთმა მოწოდებამ და ხვეწნამუდარამ — ხალხი მისულიყო აქციაზე, შედეგი არ გამოიღო. როგორც ჩანს, საზოგადოების უმრავლესობა უნდობლობას უცხადებს ოპოზიციის მოწოდებებს, არც მიმდინარე პროცესები მოსწონთ, არც „ნაცმოძრაობის“ და ევრონაცების წარმომადგენელთა მიმართ გამოხატავენ თანაგრძნობას. შედეგიც აშკარაა. დღეს ქუჩაში დგას ყველა დროის ყველაზე იდიოზური პოლიტიკური ძალა თავის მცირერიცხოვან აგრესიულ აქტივთან ერთად, რომელიც ცდილობს, ქვეყანაში არეულობის პროვოცირებას. აგერ უკვე თითქმის ერთი თვეა, რაც ყოველდღიურად მიმდინარეობს აქციები პარლამენტის შენობის წინ და სახელმწიფო დაწესებულებების, მაჟორიტარ დეპუტატთა, პარტია „ქართული ოცნების“ ოფისების პიკეტირება. ყოველგვარ ზღვარს გასცდა „ნაცმოძრაობის“ და მისი ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა ადგილების ბლოკირება თბილისში, ქუთაისში, მცხეთაში. სხვაგანაც უკვე მოხდა „ნაცებისა“ და „ქოცების“ მხარდამჭერთა ფიზიკური დაპირისპირება. თუ ეს პროცესი სასწრაფოდ არ აღიკვეთა, მოსალოდნელია, ადამიანების დაპირისპირებამ პრობლემები შეუქმნას, ისედაც მყიფე ქართულ დემოკრატიას და ქვეყნის დამოუკიდებლობას. როგორც ჩანს, ოპოზიციური ძალები (უპირველესად „ნაცმოძრაობა“ თავისი განაყოფებით) რევოლუციური სცენარისთვის ემზადებიან.

„ქართული ოცნების“ ლიდერების მიერ 2012 წელს გახმიანებულმა მოწოდებამ — სამართლიანობა აღდგებოდა და ყველა დამნაშავე დაისჯებოდა, არ შესრულდა. უფრო მეტიც, საზღვარგარეთიდან თავს მოხვეულმა „კოჰაბიტაციამ“ დათვური სამსახური გაუწია ქვეყნის მმართველ გუნდს, რამაც კიდევ უფრო გაათამამა და თავზე ხელი ააღებინა დამნაშავე პარტიის ლიდერებს. ადრეც ვწერდი და ახლაც უნდა გავიმეორო — **დემოკრატია არის ხალხის ძალაუფლება და კანონის უზენაესობა და არა თავგასულობა, დაუმორჩილებლობა. სიტყვის თავისუფლება არ ნიშნავს უზნეობასა და უზრდელობას. რაც დღეს ხდება, სცილდება კონსტიტუციურ ჩარჩოებს.**

ოპოზიციის წარმომადგენლების მხრიდან ხშირად გვესმის, — ხელისუფლება, პოლიცია კანონს არღვევს და ჩვენ მიმართ ძალის გამოყენებით არბევს აქციებს, პიკეტირებას, ბლოკირებებსო, არადა, ავიწყდებათ, როგორი სისასტიკით არბევდნენ აქციებს მაშინ, როცა თვითონ იყვნენ ქვეყნის სათავეში.

ოპოზიციის მხრიდან თითქმის ყოველდღიურად გვესმის — ევროპის, დასავლეთის დემოკრატიული ფასეულობები უნდა დავამკვიდროთ საქართველოშიო. უნდა ვიკითხო, თუ გაბედავდა ვინმე ამერიკის კონგრესის ან ინგლისის პარლამენტის შესასვლელების ბლოკირებას, ან კარებზე ბოქლომების ჩამოკიდებას. რას მოიმოქმედებდა ხელისუფლება? ალბათ, აქციის ყველა მონაწილეს ცეცხლს გაუხსნიდა. **ჩვენთან ყველაფერი „მოსულა“ — „საერთო დუქანია“, პოლიციამ პიკეტირების მონაწილეებს დასაშლელად ცივი შხაპი მიასხა და ერთი ამბავი ატყდა — ხელისუფლება შეკრებისა და აქციის ჩატარების შესახებ კანონს არღვევსო. დროა, დესტრუქციულ „სექტას“ პასუხი აგებინონ, ხოლო ლიდერების მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრან.**

დღეს მმართველი პარტიის წინააღმდეგ პოლიტიკური პარტიები გაერთიანდნენ, რომელსაც სათავეში „ნაცმოძრაობა“ ჩაუდგა. **ფაქტია, ბევრ პარტიას არც აწყობს ქვეყანაში არეულობა, მათ მხოლოდ პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნები აინტერესებთ, იქნებ როგორმე იოლად პარლამენტში ამოყონ თავი, არადა, იმ 250 თუ 300 რეგისტრირებულ 2-3-წევრიან პარტიებს რისი თავი და ბრძოლის უნარი აქვთ, ყველამ კარგად დავინახეთ.**

2012 წლიდან დღემდე ჩატარებულ არჩევნებში ისინი პირწმინდად დამარცხდნენ, ან როგორ გაიმარჯვებდნენ, როცა სახელმწიფოსგან გამოყოფილი 20 მილიონი ლარი, რომელიც პოლიტიკურ პარტიებს ეძლევათ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის განსამტკიცებლად და გასაუმჯობესებლად, მათი ლიდერები საკუთარი კეთილდღეობისთვის იყენებენ. იქნებ, გაიხსენოთ რომელიმე პარტიის გაკეთებული კეთილი საქმე, რომელიც ქვეყნის წინსვლას წაადგება,




ვერ ნახავთ, იმიტომ რომ, **მათ მხოლოდ ხელისუფლებაში თბილი, შემოსავლიანი ადგილების დათრევა აინტერესებთ და არა ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის ზრუნვა.** ეს აქციებიც ამის დასტურია, თორემ არჩევნები როგორი სისტემით ჩატარდება, რა მნიშვნელობა აქვს, ყველაზე იოლი გზა დაინახეს და ამიტომაც არიან ქუჩაში. ეს კარგად ესმის საზოგადოებას, რომ ოპოზიციონერთა საზოგადოებისადმი გაჟღერებულ მოწოდებას აქციებში მიეღოთ მონაწილეობა, ყური არავინ ათხოვა. პარლამენტის წინ მოსყიდული, დესტრუქციული ძალა მივიდა. ახლა მცირე ჯგუფებად დაიშალნენ, რეგიონები უნდა შემოვიაროთო, ხალხი გამოვაფხიზლოთო. არც ამ პროგრამის შემსრულებლები არიან. ეს კარგად გამოჩნდა ამას წინათ ქუთაისში, გრიგოლ ვაშაძის ჩასვლას რა აურზაური და შეხლა-შემოხლა მოჰყვა.

**დღეს** ქუჩაში დგას ყველაზე ოდიოზური პოლიტიკური ძალა, მცირერიცხოვან აგრესიულ აქტივთან ერთად, რომლებიც დაუფარავად ავრცელებენ რევოლუციურ მოწოდებებს და ყოველმხრივ ცდილობენ ქვეყანაში არეულობის პროვოცირებას, საზოგადოების დეზინფორმაციის გზით შეცდომაში შეყვანას.

დღევანდელი ხელისუფლება სანამ ქვეყნის სათავეში მოვიდოდა, „ნაცმოძრაობას“ კრიმინალურ დაჯგუფებად მოიხსენიებდა და კანონით მათ დასჯას ითხოვდა. როგორც ჩანს, „ქართული ოცნების“ ლიდერთა მხრიდან გამოჩენილმა ლოიალობამ „ნაცმოძრაობას“ გამარჯვებულის რწმენა შემატა და შედეგიც აშკარაა.

გაერთიანებულმა ოპოზიციამ კარგად იცის, რომ როგორი ობიექტური არჩევნებიც არ უნდა ჩატარდეს ქვეყანაში, მათ გამარჯვების არანაირი შანსი არა აქვთ. ამიტომაცაა, რომ მათი ლოზუნგები აგრესიულია და მიმართულია გადატრიალებისა და არეულობისაკენ, ესაა მათი პოლიტიკური პერსპექტივა.

ორიოდე სიტყვას ვიტყვი ყბადაღებული პროპორციული არჩევნების შესახებ. ოპოზიციური პარტიების ლიდერები აცხადებენ, თურმე პროპორციულ სისტემაზე გადასვლა მნიშვნელოვანი ნაბიჯია ქვეყნის განვითარების გზაზე, ხოლო მაჟორიტარული სისტემით არჩეული დეპუტატები რეგიონებში „ფეოდალები“ და მმართველი პარტიის „მონები“ არიან. არადა, მთავარი ის კი არ არის, არჩევნები რომელი სისტემით ჩატარდება, არამედ **მთავარი პრობლემაა არჩევანი. ვის ვირჩევთ, რამდენად პატიოსანი, კეთილსინდისიერია ხალხის მიერ არჩეული კანდიდატი.**

**ნამდვილად გვენატრება განათლებული, პატრიოტი, ქვეყნის და კერძოდ, ბორჯომის უსაზღვროდ მოსიყვარულე და მამულიშვილი პიროვნება ჩვენს მაჟორიტარ დეპუტატად.**

ჩვენდა სამწუხაროდ, ქვეყანაში არ არსებობს ნორმალური პარტია, რომელიც გამორჩეული იქნება ცხოვრებისეული გამოცდილებით, პროფესიონალიზმით, ეროვნული სულისკვეთებით და, რაც მთავარია, დაკომპლექტებული იქნება პატიოსანი პოლიტიკური წარსულის ადამიანებით. და როცა ასეთი ყოვლის მომცველი პოლიტიკური ძალა არენაზე არ ჩანს, ამომრჩეველი, ამ შემთხვევაში საზოგადოება განზე დგას და არ ესმის „ნაცების“ ლაღადისი — „მოდით აქციაზეო“, ამიტომაცაა, რომ ხელში შეგვრჩა ისევ ოდიოზური ნაცური ძალა, რომელიც ებრძვის მმართველ პარტიას. არადა, რომელი სისტემით ჩატარდება არჩევნები, ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. სხვათა შორის, „ნაცმოძრაობა“ 9 წელი იყო ქვეყნის სათავეში და არ გვახსოვს, ერთხელ მაინც ეთქვათ, არჩევნები პროპორციული წესით ჩავატაროთო.

საზოგადოებას კარგად ახსოვს პარლამენტის სხდომა, როცა მმართველმა გუნდმა ნაცებს კიდეც შესთავაზა პროპორციული სისტემით არჩევნების ჩატარება და უარი მიიღეს, დღეს კი თავებს იკლავენ, არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდესო.

**ბიძინა ივანიშვილმა დაგვაღალატაო, სიტყვა გატეხა, პირობას არ ასრულებსო, და რა ვიცი, რას არ აბრალებენ. საქართველოს დაეპატრონა, ყველაფერს საკუთრებად ყიდულობსო. არადა, კაცმა თავისი საკუთარი თანხით 3 მილიარდი სამშობლოს მოახმარა, მსგავსი ქველმოქმედი საქართველოს არ ჰყოლია. 500-მდე ისტორიული ძეგლი, ქართული კულტურის ცენტრები, თეატრები, უნივერსიტეტები განაახლა, აგერ, ჩვენს მეზობლად აბასთუმანი თავიდან ააშენა, წყალტუბოს განახლებას აპირებს, ხოლო ქუთაისში ტექნოლოგიურ უნივერსიტეტს აშენებს, შეკვეთილში დიდებული საკონცერტო კომპლექსი ააშენა თავისი დენდროლოგიური პარკით (ნეტავ, ბორჯომშიც აგვიშენებდეს რაიმე ღირებულს).**

**ოპოზიციას ერთი მადლიერების გამომხატველი სიტყვა არ დასცდენია. პირიქით, ლანძღვა, შეურაცხყოფა, ქილიკით მოხსენიება არ აკლია ადამიანს, რომელიც საქართველოს აშენებს.**

„ნაცმოძრაობას“ ბატონი ბიძინას სახელი ძვალივით ყელში აქვთ გაჩხერილი და ყველა წინადადებაში აბრუნებენ. როგორც ვხედავთ, უმადურობა უფრო შორს ვერ წავა.

ივანიშვილმა ხალხი მოატყუაო, მაინტერესებს, მაშინ რატომ ხმას არ იღებდნენ, როცა ბატონი ბიძინა 2012 წლის არჩევნების შემდეგ სამართლიანობის აღდგენის დაპირებით მოვიდა ხელისუფლების სათავეში. რატომღაც არ გვახსენდება ოპოზიციის ლიდერების შეშფოთება, რატომ სამართლიანობას არ აღადგენსო. მთელი შვიდი წლის მანძილზე გატრუნულები იყვნენ და ახლა მოუნდათ პროპორციული არჩევნების იდეის განხორციელება. „ნაცმოძრაობის“ არაერთ ცდას, ხალხი მასობრივად გამოიყვანოს ქუჩაში, შედეგი არ მოჰყვა. ვხედავთ, როგორ პროვოკაციებს აწყობენ ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, ოპოზიცია ასე საზიზღრად არ უნდა იქცეოდეს, თუ მას სამშობლოს ბედი ანაღვლებს.

დასკვნა ერთია, ქვეყანაზე მოფიქრალი პარტია და ღირსეული მამულიშვილები არ ჩანან. სამწუხაროა, რომ ოპოზიციაც და პოზიციაც ერთმანეთს ზიზღით, სიძულვილის ენით ელაპარაკებიან.

**დაბნეულია საზოგადოება, ძნელია ასეთ ქაოსში ცხოვრება, დღეს რუსთაველზე სამშობლოზე მოფიქრალი კი არა, საკუთარ თავზე მოფიქრალნი, თბილ სკამებს მონატრებული ადამიანები, ერთმანეთის სალანძღავად და საგინებლად შეკრებილნი დგანან.**

**რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, მას შემდეგ ქართველები ერთმანეთს ვებრძვით და ასე მოვდივართ დღემდე. თუ არ ვისწავლით შეცდომებზე ჭკუას, შენდობასა და პატიებას, ვერასდროს ავაშენებთ ბედნიერ სახელმწიფოს.**

დღეს დამანგრეველ ძალებს ამოძრავებს 30 წლის წინანდელი გაცხადებული ერთადერთი მიზანი „ყველანი ერთის გარდა“. ასე იყო გამსახურდიას დროს და შეიარაღებული გზით გააგდეს ქვეყნიდან, ასევე სახელმწიფო გადატრიალების გზით გაისტუმრეს შევარდნაძე, ახლა ივანიშვილის მოშორება უნდათ, ისევ გადატრიალებით. არადა, „ნაცმოძრაობა“ 2012 წელს და მომდევნო არჩევნებში ყოველთვის მარცხდებოდა. ახლა ძალადობრივი გზით უნდათ ხელისუფლებაში მოსვლა. საამისოდ რას აღარ კადრულობენ.

**კარგად ვხედავთ, ოპოზიციის გვერდით ხალხის უმრავლესობა არ დგას. ოპოზიციის ლიდერებს ავიწყდებათ, რომ ხალხი მათ გვერდში არ დაუდგება. როცა ლანძღავენ ქვეყნის ეროვნულ იდეალებს, ამ შემთხვევაში აქციებზე დასცინიან და აქილიკებენ დედეკლესიას, პატრიარქს, სამღვდელოებას და ერის ყველაზე უპირველეს სალოცავს. არ შეიძლება, ხალხი გვერდში დაუდგეს ასეთ ადამიანებს.**

სამწუხაროა ისიც, რომ „ნაცმოძრაობა“, მისი განაყოფები და რევანშისტული ძალა ვერ მიმხვდარან მარტივ ჭეშმარიტებაში, ისინი არ წარმოადგენენ რეალურ პოლიტიკურ ძალას და ვერც მათი დეზინფორმაციული ქცევები გამოიყვანს ხალხს აქციაზე.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ხალხს უნდა ახალი, ეროვნულ ნიადაგზე ჩამოყალიბებული პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდილ-ჩამოყალიბებული ახალი პოლიტიკური ძალა, სანამ ეს ძალა არ გამოჩნდება, ჩვენი ქვეყანა მუდამ ასე საჯიჯგნი იქნება.

საწყენია ისიც, რომ მამულზე ფიქრი პროვინციონალიზმად შემოგვასაღეს და გაგვაჩუმეს.

დღეს ერს ესაჭიროება გამოფხიზლება, რათა ნამდვილი და მიუკერძოებული შეფასებით გააანალიზოს დამანგრეველი ძალების მცდელობა, არ დაუშვას, რომ ქაოსით და არეულობით მიაღწიონ საწადელს.

შესანიშნავი ქართველი პროზაიკოსი ოტია იოსელიანი წერდა — **„ერთი და ორი შტერი ყველგან შეიძლება იყოს, მაგრამ ჩვენ სხვა უბედურება გვჭირს — ეროვნული გამოთაყვანება დაგვემართაო“, ხოლო ცნობილი პოეტი ტარიელ ხარხელაური** ერთ თავის ლექსში ამბობს:

**„ველარ ვიგებ, ვინ რას ყბედობს,**
**ყველგან ტვინის სიმწირეა,**
**ვის ხელში ხარ, ქვეყნის ბედო,**
**რა მზაკვრულად იცინიან.**
**სირცხვილია, საქართველო,**
**საქართველო სირცხვილია“.**

ჩვენს გადარჩენას მხოლოდ გულანთებული მამულიშვილების სიყვარული თუ უშველის.



**ვალერიან ლომიძე,**
**გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორი.**

# ეკონომიკა: ზრდა თვალსაჩინოა!

# „ძალიც შეგვწევს ქადილისა!“

## 2019 წლის პოზიტიური შედეგებსა და მოლოდინებზე



**პოლიტიკა ყველა ეპოქაში თითქმის ყოველთვის პრევალირებდა ეკონომიკაზე და მიუხედავად იმისა, რომ თავად უნდა ყოფილიყო (არადა, რეალურად მართლაც არის!) ეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატულება, მაინც, საჯარო ყურადღებისა და ინტერესთა გამოხატვის ტონალობის მიხედვით, საპირისპირო სურათს ვღებულობდით — ისე ჩანდა, თითქოს პოლიტიკას ეკონომიკა მძევლად, „უკეთეს შემთხვევაში“ — აბორდაჟზე ყავდა აყვანილი. გამონაკლისი, ფაქტობრივად, არც მიმავალი, 2019 წელია. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების ყურადღების ცენტრში პოლიტიკური პროცესები, პოლიტიკურ ძალთა, შეხედულებათა მუდმივი ჭიდილი იყო, ეკონომიკაში მიმდინარე უაღრესად საინტერესო პროცესები არა მარტო თავისთავად იყვნენ ფასეულნი, არამედ არსებით გავლენას ახდენდნენ პოლიტიკურ ვნებათღელვათა დიაპაზონსა და ტემპერატურაზე...**

შეიძლება ცალსახად ითქვას: მიუხედავად მთელი რიგი პრობლემებისა, რომელთაგან ნაწილს სისტემური, ნაწილს კი დროებითი ხასიათი ჰქონდა, მთლიანობაში მიმავალი 2019 წელი ეკონომიკაში მაინც პოზიტიურად უნდა შეფასდეს.

უპირველესი მაჩვენებელი პოზიტიური შედეგებისა არის ის, რომ ეკონომიკის ზრდის ასეთი მაღალი ტემპი - წინასწარი შეფასებით, 5.2% — 2012 წლის შემდეგ აღარ დაფიქსირებულა (2012 წ. — 6.4%). აღსანიშნავია, რომ ეს ტემპი მიღწეულია გლობალური რეცესიის ფონზე — საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2019 წელს მსოფლიო ეკონომიკა გაიზრდება მხოლოდ 3.1 პროცენტით, ნაცვლად ამ ფონდის მიერ ადრე დაანონსებული 3.3 პროცენტისა). განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ **საქართველოს ეკონომიკას 2019 წელს თავის სახმელეთო მეზობლებთან შედარებით ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი აქვს:** საქართველო — 5.2%, სომხეთი — 4.0%, თურქეთი — 3.3%, აზერბაიჯანი — 2.9%, რუსეთი — 1.5%... მთლიანობაში, ბოლო 7 წლის მანძილზე, ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ ყოფნის მანძილზე (2013-2019 წწ.), ქვეყანაში შეიქმნა 34.6 პროცენტით მეტი მთლიანი შიგა პროდუქტი (მშპ), ვიდრე წინა 7 წლის მანძილზე (2006-2012 წლებში).

რადგანაც, ბოლო 7 წელზე ჩამოვარდა საუბარი, არ შეიძლება არ აღინიშნოს ისეთი გარემოებაც, როგორიცაა **ეკონომიკის მნიშვნელოვანი, 1.5-ჯერ უფრო სწრაფი ზრდა სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ზრდასთან შედარებით.** ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ხნის მანძილზე გადასახადების ზრდას ეკონომიკის ზრდისნაირი დინამიკა რომ ჰქონოდა, გადასახადის გადამხდელებს — ბიზნესს და ფიზიკურ პირებს ერთად, 2019 წელს **მოუწევდათ ფაქტობრივთან შედარებით დაახლოებით 1.6 მლრდ. ლარით მეტი გადასახადის გადახდა**. ეს 1.6 მლრდ. ლარი — ფაქტობრივად, ფულადი გამოსახულებაა, **წლიური ფასია იმ ეკონომიკური თავისუფლებისა,** რითაც ამჟამად სარგებლობენ ბიზნესი, საქმის მკეთებელი და შემოსავლის მიმღები ადამიანები საქართველოში.

საქართველო სულ უფრო ღია და გახსნილი ხდება დანარჩენი სამყაროსთვის. ამჟამად საგარეო სავაჭრო ურთიერთობები ჩვენ მსოფლიოს 130-მდე ქვეყანასთან გვაქვს. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს შენარჩუნდა ექსპორტის უპირატესი ზრდა იმპორტის ზრდასთან შედარებით. მაგალითად, **ნოემბერში მიღწეულია ექსპორტის ზრდისა და მოცულობის რეკორდულად მაღალი მაჩვენებელი** — საქართველოდან ამ ერთ თვეში საზღვარგარეთ გატანილი პროდუქციის ღირებულებამ 345.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ეს **გასული წლის ნოემბერთან შედარებით 25.2 პროცენტით (69.7 მლნ. აშშ დოლარით) მეტია!** ასეთი დიდი მოცულობის ექსპორტი **ერთ თვეში** საქართველოს ჯერ არ ჰქონია (ეს მეტია, ვიდრე საქართველოს ქსპორტის 2002 წლიური მოცულობა). იმავდროულად, მიღწეული ექსპორტით იმპორტის გადაფარვის ახალი, რეკორდული მაღალი დონე — 44.2%, ნაცვლად ერთი წლის წინანდელი 36.8%-სა. მთლიანობაში, **2019 წელს საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი წინა წელთან შედარებით დაახლოებით 600 მილიონი დოლარით ნაკლები იქნება**. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქვეყნიდან 2019 წელს გადინებას „გადაურჩება“ (ნაკლები გავა!) 600 მლნ აშშ დოლარი, რაც თავის სოლიდურ წვლილს შეიტანს ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციაში, რისი ნიშნებიც მიმდინარე წლის დამამთავრებელ თვეში აშკარად გამოიკვეთა.

2019 წლის 20 ივნისის ე.წ. „გავრილოვის ღამესთან“ დაკავშირებული ამბებით გამოწვეული ეკონომიკური ვარდნა საქართველოს ტურისტული ინდუსტრიის სექტორში **„100 დღეს“** (რიცხვის საკრალური დატვირთვა გვაქვს მხედველობაში) არ გასცილებია და ივლის-სექტემბრის შემცირების შემდეგ ოქტომბრიდან კვლავ ზრდა დაფიქსირდა. ამასთან, რუსეთის მიერ საქართველოსთვის მიყენებული ზარალიც დაახლოებით 300 მლნ აშშ დოლარით (40%-ით) ნაკლები აღმოჩნდა ექსპერტებისა და პოლიტიკოსების თავდაპირველ ვარაუდთან შედარებით. მთლიანობაში, წინასწარი შეფასებით, **2019 წლის მანძილზე საქართველოს ტურისტებისა და ვიზიტორების რეკორდულად მაღალი რაოდენობა — 9 მილიონი კაცი ეწვევა, რაც ქვეყნის ეკონომიკას დაახლოებით 4 მილიარდ ლარს შემატებს**.

2019 წლის პირველ ნახევარში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების აბსოლუტური შემცირების მიუხედავად, მთლიანობაში 2019 წელს მისი მოცულობა, წინასწარი შეფასებით, მაინც არ იქნება 2018 წლისაზე ნაკლები, ხოლო ბოლო შვიდწლიანი პერიოდის ჯამური მაჩვენებელი (10.5 მლრდ. აშშ დოლარი) წინა 7-წლიანი პერიოდის (2006-2012 წ.წ.) მაჩვენებელზე (8.2 მლრდ აშშ დოლარი) დაახლოებით 29 პროცენტით მეტი იქნება. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ **ბოლო წლებში საინვესტიციო დატვირთვა შეიძინა საქართველოში განხორციელებულმა ფულადმა ტრანზაქციებმაც,** რომლის მოცულობამ 2019 წლის იანვარ-ნოემბერში 1561 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და დეკემბრის თვის გათვალისწინებით, 2019 წელს 1700 მილიონ აშშ დოლარს საგრძნობლად გადააჭარბებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ ორი წყაროდან (პირდაპირი უცხოური ინვესტიციები — საზღვარგარეთიდან განხორციელებული ფულადი გზავნილები) **საქართველოში შემოსული ფინანსური რესურსის ჯამური მაჩვენებელი 2019 წელს 3 მილიარდ დოლარზე მეტი იქნება,** ხოლო 2013-2019 წლებში (20.4 მლრდ აშშ დოლარი) — წინა 7 წლისას (15.1 მლრდ აშშ დოლარი) 35 პროცენტით გადააჭარბებს.

ეკონომიკისა და სახელმწიფო ბიუჯეტის გაზრდილი მოცულობა იძლევა ეკონომიკური და სოციალური მსხვილმასშტაბიანი პროექტების, მათ შორის ინფრასტრუქტურული პროექტების, **ერთდროული რეალიზაციის** შესაძლებლობას. მართალია, კარგად ცნობილ გარემოებათა გამო 2019 წელს არ იქნა დაწყებული **ანაკლიის პორტის** მშენებლობა, თუმცა სხვა მიმართულებით გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები. პირველ რიგში, უნდა ვახსენოთ **აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის** მშენებლობის დაწყება, რომლის „ლანდშაფტური ავტოგრაფი“, რომ იტყვიან, უკვე შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. 2019 წელს მიღწეულ იქნა შეთანხმება საერთაშორისო კრედიტორებთან, რომელთა გამოყოფილი სახსრები მოხმარდება სამხრეთ კავკასიაში უდიდესი **კობი-ქვეშეთის ცხრაკილომეტრიანი საავტომობილო გვირაბის** მშენებლობას. საქართველოს მთავრობის მზაობა, ნებისმიერ შემთხვევაში ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანოს ანაკლიის პორტის მშენებლობა, გვაძლევს იმის რწმენას, რომ ხსენებული ინფრასტრუქტურული **„დიდი სამეული“** (აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალი, საქართველოს სამხედრო გზის უსაფრთხო მონაკვეთის მშენებლობა გვირაბით და ანაკლიის პორტი) სულ რამდენიმე წელიწადში არსებითად შეცვლის საქართველოს სატრანსპორტო-საკომუნიკაციო შესაძლებლობებს და ჯეროვნად გაზრდის მის გამტარუნარიანობას და ეფექტიანობას.

2019 წელს მიღწეულ იქნა კრედიტორებისა და ინვესტორების მზაობა საქართველოში სამი მსხვილი ენერგეტიკული პროექტის **(ნენსკრაჰესი, ნამახვანიჰესი და ხუდონჰესი)** განსახორციელებლად, რაც საქართველოს ჰიდროენერგეტიკულ სიმძლავრეებს დაახლოებით 1/3-ით გაზრდის და მნიშვნელოვნად შეამცირებს ენერგომოხმარების დეფიციტს. — ამჟამად დეფიციტით გამოწვეული ელექტროენერგიის ექსპორტ-იმპორტში უარყოფითი სალდოს გამო ქვეყანა ყოველწლიურად დაახლოებით 25 მილიონამდე აშშ დოლარს კარგავს.

საქართველოს ეკონომიკის „აქილევსის ქუსლი“ და მოსახლეობის ნაწილის ემიგრაციის ძირითადი მიზეზი სამუშაო ადგილების ნაკლებობაა. ამ მიმართულებით აღსანიშნავიაა, რომ **2019 წელი პირველი სრული წელია, როდესაც ქვეყანაში დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა აჭარბებს თვითდასაქმებულთა რაოდენობას**. 2012 წელთან შედარებით თვითდასაქმებულთა 100 ათასით შემცირების პირობებში დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა თითქმის 150 ათასით გაიზარდა, რაც, ყოველი დაქირავებით დასაქმებულის საშუალო ხელფასის თვითდასაქმებულის წმინდა შემოსავალზე დაახლოებით 2.5-ჯერ მეტობის გამო, აშკარად მეტყველებს არა მარტო დასაქმების სტრუქტურის გაუმჯობესებაზე, არამედ დასაქმებულთა, ზოგადად, მოსახლეობის შემოსავლების არსებით ზრდაზეც. ამასთან, უმუშევრობის დონე (12.7%) მინიმალურ დონეზეა ბოლო 16 წლის მანძილზე.

საქართველოს ენერგოუსაფრთხოების კონტექსტში უნდა იქნას განხილული ისიც, რომ სულ ახლახან ამოქმედდა **ტრანსანატოლიური გაზსადენი (TANAP),** რომლის მარშრუტი საქართველოზეც გადის. ეს ჩვენი ქვეყნის ენერგომომარაგების და ენერგოუსაფრთხოების გაუმჯობესებასთან ერთად ზოგადად სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების მნიშვნელოვან ზრდასაც ნიშნავს. ის ფაქტი, რომ **უახლოესი სამი წლის მანძილზე ბუნებრივი აირის ტარიფი მოსახლეობისთვის უცვლელი დარჩება,** იმ ენერგეტიკული „უსაფრთხოების ბალიშის“ წყალობითაც იქნება მიღწეული, რაც ხსენებული გაზსადენის ამოქმედებას უკავშირდება. კერძოდ, 2023 წლისთვის საქართველოს მიერ მიღებული უფასო ბუნებრივი აირის მოცულობა დღევანდელთან შედარებით პრაქტიკულად გაოთხმაგდება და თითქმის 1.2 მილიარდ კუბომეტრს მიაღწევს, რაც ამჟამინდელი საყოფაცხოვრებო დანიშნულებით მოხმარებული ბუნებრივ აირზე მეტია!

ჩვენი ქვეყანა სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოა და საბიუჯეტო ხარჯების ზრდაც ამ მიმართულებით ხაზს უსვამს მის პრიორიტეტულობას, ბიუჯეტის, ეკონომიკის საზოგადოებისა და მისი წევრების ინტერესებზე კიდევ უფრო მეტ მორგებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, გავლილ წლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი **საბიუჯეტო რევერსი სოციალური საჭიროებების მიმართულებით. — სოციალური ბლოკის ხარჯები (ხარჯები განათლებაზე, ჯანდაცვასა და სოციალურ დაცვაზე) ბოლო წლებში იზრდება დაახლოებით 1.5-ჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე ასიგნებები ყველა დანარჩენი მიმართულებებით.** ხსენებული სოციალური ხარჯების წილმა მთლიან საბიუჯეტო ასიგნებებში უკვე გადააჭარბა 47 პროცენტს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება წინა ხელისუფლების დროინდელ, 2012 წლის დონეს (32%).

აღნიშნული პოლიტიკის შედეგი თვალსაჩინოა. ასე მაგალითად, თავდაცვაზე, საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებაზე სახელმწიფო ასიგნებების ყოველ 100 ლარზე, ხარჯები ჯანდაცვაზე, განათლებასა და სოციალურ დაცვაზე შეადგენდა: 2007 წელს — 53.9 ლარს, 2012 წელს — 99.1 ლარს, 2019 წელს — 272.7 ლარს, ხოლო 2020 წელს — მიაღწევს 283.0 ლარს. ანალოგიურად, თავდაცვაზე გაღებული ყოველი 100 ლარის ხარჯებზე, ხარჯები განათლებაზე გაიზარდა 2007 წლის 30.5 ლარიდან 2019 წლის 152 ლარამდე და 2020 წლის 159.4 ლარამდე, ანუ, ხატოვნად რომ ვთქვათ, **ქართული სახელმწიფოს სტრატეგია მიმართულია იქეთკენ, რომ ქვეყნის გაძლიერებასა და განვითარებაში ძალისხმევა „ძალის არგუმენტიდან გადავიტანოთ არგუმენტის ძალაზე“**. და ეს პროცესი კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება 2020 წელს. — 2020 წლის ასიგნებანი მხოლოდ განათლებაზე გადააჭარბებს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მთელ საგადასახადო შემოსავლებს, ხოლო სოციალური ხარჯების (ჯანდაცვა, განათლება, სოციალური დაცვა) მოცულობა — 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიან შემოსავლებს.

ქვეყნის გაზრდილი პოტენციალი შესაძლებლობას იძლევა, ძალისხმევა წარვმართოთ როგორც სოციალური, ისე საწარმოო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების ზრდა ხელს უწყობს როგორც ტურისტებისთვის საქართველოს გაცნობისა და მოგზაურობის, ისე ზოგადად, ადამიანების ადგილზე ცხოვრების პირობებისა და მობილობის გაუმჯობესებას. **2020 წლის განმავლობაში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად მიემართება 3.7 მილიარდ ლარზე მეტი, ანუ იმდენი, რამდენიც იყო მთლიანად ქვეყნის საბიუჯეტო ხარჯები საშუალოდ 2006-2007 წლებში**. აქედან მარტო ჩქაროსნულ მაგისტრალებზე მიმართული იქნება თითქმის 700 მლნ ლარი. აღნიშნულზე თითქმის 2-ჯერ მეტი — 1.3 მლრდ ლარი — წარმართული იქნება მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

რა თქმა უნდა, 2019 წელი ასევე დახუნძლული იყო სერიოზული გამოწვევებითა და პრობლემებით (ვალუტის გაუფასურება, უარყოფითი საგამხდელო ბალანსი, მაღალი ფასები, სასურსათო კალათთან მიმართებაში საშუალო ხელფასისა და პენსიის მყიდველობითიუნარიანობის შემცირება, მოსახლეობის საგრძნობი ნაწილის დამოკიდებულება აზარტული თამაშებისადმი და ა.შ.), რომელთა გამოსწორებასა და დაძლევაზე იქნება მიმართული დიდწილად ჩვენი ძალისხმევა 2020 წელს. ამასთან, იმდენად დიდია 2019 წელს ჩამოყალიბებული პოზიტიური კუმულატიური მუხტი ეკონომიკური ზრდისა არსებული პრობლემების დასაძლევად, რომ უფლება ნამდვილად არა გვაქვს, მთლიანობაში ოპტიმისტურად არ განვეწყოთ. — საქართველოს აქვს შესაბამისი რესურსული პოტენციალიც და სურვილიც, რომ ეს შესაძლებლობა რეალობად აქციოს.

და რადგანაც „ძალიც შეგვწევს ქადილისა“, მომავალ 2020 წელს იმედიანად უნდა შევეგებოთ.

**გილოცავთ ახალ 2020 წელს!**



**იოსებ არჩვაძე**



# გზები – ადამიანების გულებისკენ

## ღვაწლმოსილი ინჟინერი, მეცნიერი და პედაგოგი კოტე მჭედლიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს, საგზაო დარგის გამოჩენილ სპეციალისტს, **კონსტანტინე ალექსანდრეს ძე მჭედლიშვილს** შეუსრულდა სამეცნიერო-პედაგოგიური და საინჟინრო შრომითი საქმიანობის 50 წელი. ის საქართველოში საინჟინრო დარგის სპეციალისტთა იმ პლეადას მიეკუთვნება, რომლებიც ერთმანეთს სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას და საინჟინრო პრაქტიკას წარმატებით უხამებენ.

კონსტანტინე მჭედლიშვილი დაიბადა ქ. თბილისში 1947 წელს, გამოჩენილი მეგზევე-ინჟინრის, საქართველოს დამსახურებული ინჟინრის ალექსანდრე მჭედლიშვილის ოჯახში. პაპა დედის მხრიდან კონსტანტინე დუგლაძე, იყო ამიერკავკასიის რკინიგზის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რკინიგზის დამსახურებული მუშაკი და მრავალგზის დაჯილდოებული იყო სახელმწიფოს მიერ.

1965 წელს თბილისის 51-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ის ოჯახის ტრადიციას გაჰყვა და სწავლა განაგრძო თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტზე „საავტომობილო გზების" სპეციალობით. ინსტიტუტის წარმატებით დამთავრების შემდგომ იგი მუშაობდა ინჟინრის თანამდებობაზე საპროექტო ინსტიტუტ „თბილგორპროექტში", სადაც მონაწილეობას იღებდა ქალაქის საგზაო ობიექტების დაპროექტებაში.

1972 წელს გაგზავნილ იქნა საკავშირო საგზაო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც სწავლობდა და მუშაობდა ცნობილი მეცნიერი-მეგზევის ნიკოლოზ თეოდორის ძე ხოროშილოვის ხელმძღვანელობით.

მოსკოვში დისერტაციის წარმატებული დაცვის შემდეგ, კ. მჭედლიშვილი 1977 წლიდან დოცენტად მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში „საავტომობილო გზების" კათედრაზე და კითხულობდა ლექციებს წამყვან დისციპლინებში. ხელმძღვანელობდა სტუდენტების სადიპლომო ნამუშევრებს და ამასთანავე სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ლაბორატორიაში, რომელიც ეკუთვნოდა ჯერ პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, ხოლო შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს.

1986-87 წ.წ. სტაჟირებას გადიოდა მოსკოვის უცხო ენათა ინსტიტუტში, შემდეგ კი პარიზისა და მონპელიეს უნივერსიტეტებში, სადაც მოიპოვა ფრანგულენოვან ინსტიტუტებში საგზაო პროფილის დისციპლინის გაძღოლის უფლება.

1987 წლიდან იგი მუშაობდა პროფესორად, ხოლო შემდეგ გვინეის რესპუბლიკაში, კონაკრის უნივერსიტეტის გზებისა და ხიდების კათედრის ხელმძღვანელად, სადაც კითხულობდა ლექციებს პროფილით განსაზღვრულ დისციპლინებში, ასევე ეწეოდა წარმატებულ სამეცნიერო და საინჟინრო მოღვაწეობას.

1995 წლიდან 2004 წლამდე კ. მჭედლიშვილი მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის, საგზაო მოძრაობის ორგანიზების და უსაფრთხოების კათედრაზე პროფესორად.

2004-2009 წლებში კ. მჭედლიშვილი მუშაობდა პრორექტორად საქართველოს საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტში, ხოლო 2009 წელს იგი კვლავ უბრუნდება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს და აგრძელებს მუშაობას საგზაო დეპარტამენტში პროფესორად, ეწევა პედაგოგიურ მუშაობას – კითხულობს ლექციებს. ატარებს მეცადინეობებს მაგისტრატებთან და დოქტორანტებთან. მისი სამეცნიერო ინტერესები ტრანსპორტისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების პრობლემების ფართო სპექტრს მოიცავს. გამოცემული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი ქართულ, რუსულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, რომლებიც რთულ ბუნებრივ პირობებში გზებზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას ეძღვნება. ასევე მონაწილეობას იღებდა მოძრაობის რეჟიმების შესწავლის საფუძველზე, ტრასის ელემენტების დაპროექტების ნორმატივების შემუშავებაში. უკანასკნელ წლებში აქტიურად მუშაობს გზების საპროექტო ვარიანტების შედარების თეორიული საფუძვლების შემუშავებაში, კონკრეტულ პირობებში მავნე ნივთიერების გამოყოფის შემცირების საკითხებზე ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით. ის რამდენიმე წიგნის და მონოგრაფიის ავტორია.

აქტიური სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გარდა, კ. მჭედლიშვილი ასევე ნაყოფიერ საინჟინრო მოღვაწეობას ეწევა. იგი მონაწილეობას იღებდა რთული და პასუხსაგები პროექტების შემუშავებაში.

მისი ლექციები გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით, გადმოცემის მანერით, ლექციები საინტერესო და იოლად აღსაქმელია ახალგაზრდა აუდიტორიისთვის.

იგი აქვეყნებს მრავალრიცხოვან პუბლიცისტურ სტატიებს, მონაწილეობას იღებს რადიო და სატელევიზიო გამოსვლებში, რომლებიც ეხება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების აქტუალურ საკითხებს.

კონსტანტინე მჭედლიშვილი დღესაც კარგ ფიზიკურ ფორმაშია, ის სავსეა შემოქმედებითი ენერგიით და იმედია, პროფესიონალურ სფეროში მრავალი ახალი იდეის ავტორი იქნება.

**თამაზ შილაკაძე,**
**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი; ტრანსპორტის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი და მისი საპატიო პრეზიდენტი**

**ხალხის ხმა!..**

# საქართველოვ, ჩემო დედავ,

**სულმნათმა ზურაბ გორგილაძემ ამ სიტყვებით გამოხატა აჭარის დამოკიდებულება სრულიად საქართველოსადმი. ქვეყნის ერთგულებაში აჭარელ კაცს ვერავინ შეედრება. ისტორიულმა ბედუკუღმართობამ ამ კუთხეს, ერთგულების გარდა, სირთულეების გაძლებისა და ძნელბედობის გადატანის გენიც გაუძლიერა. და კიდევ, მომავლის იმედის, უკეთესობის რწმენა ჩააგონა.**

**დღეს, როცა ჩვენს ქვეყანას არცთუ დალხინებული დრო უდგას, აჭარა იმედის თვალით შეჰყურებს მომავალს. ჩემი რესპონდენტებიც იმას ამბობენ, რაც აწუხებთ, მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებენ და ხვალინდელი უკეთესი დღის იმედად არიან. სხვაგვარად, საქართველოს მონაპირე კუთხეში ახალი წლის შემოსვლა ხომ ვერ წარმოგვიდგენია, თუ არა ხვავი, ბარაქა, მშვიდობა და მრავალშვილიანობა.**

**უცვლელად გთავაზობთ ჩემი რესპონდენტების ფიქრებს, განცდებსა და იმედებს, მომავალ წელსა და ქვეყნის ხვალინდელ დღეს რომ ეხება.**

**ინტერვიუები ჩაწერილია აჭარასა და გურიაში. ყველა ერთ შეკითხვაზე პასუხობს: ახალ წელს რა უნდა გაითვალისწინოს ხელისუფლებამ, ქვეყნის წინსვლა რომ დაჩქარდეს?**



**ვიქტორ აბუსერიძე, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე:**

მომავალ საპარლამენტო არჩევნებში წარმატების შანსი მხოლოდ „ქართული ოცნების" პოლიტიკურ პარტიას აქვს. არჩევნების წარმატებით ჩატარებისათვის მიზანშეწონილად მიმაჩნია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" პოლიტიკური პარტიის ყრილობის მოწვევა. ყრილობაზე გააანალიზდეს ბოლო შვიდი წლის განმავლობაში ხელისუფლების მიერ განხორციელებული პროგრამები, საერთაშორისო ასპარეზზე მიღწეული წარმატებები, ყრილობაზე გააანალიზდეს ჯერ კიდევ გაუკეთებელი, შეუსრულებელი პროგრამები, შეუსრულებლობის მიუკერძოებელი მიზეზების ჩვენებით.

ყრილობის მასალები უნდა გახდეს პარტიული აქტივის სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის პროგრამად.

რა თქმა უნდა, უნდა გაშუქოდეს საგარეო პოლიტიკაში მიღწეული წარმატებები.

სასურველია, ყრილობაზე თანამოხსენებით გამოვიდნენ რეგიონულ-პარტიული ორგანიზაციების ლიდერები საანგარიშო პერიოდში გაკეთებული საქმეების ანგარიშით.

საჭიროდ და აუცილებლად გასატარებლად მიმაჩნია ღონისძიებები ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების გასაცოცხლებლად, მათი აქტიური ამუშავებისთვის.

რაიონული პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებად მერების არჩევის პრაქტიკა არასწორად მიმაჩნია, რადგან მერს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობისთვის არც დრო აქვს და არც პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილება. რაიონული პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი თავის მხრივ უნდა იყოს მერიის საქმიანობის მაკონტროლებელი ორგანო, იგი პარტიული ორგანიზაციის ცენტრალური აპარატის, პარტიის ლიდერის თვალი და ყური უნდა იყოს, ნაპოლეონის მიერ შემოღებული არაეფექტების მსგავსად.

- არჩევნების დღემდე უნდა მივიღოთ კანონი, რომელიც დაავალდებულებს ყველა მოქალაქეს – მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში;
- უნდა დამთავრდეს გახმაურებული საქმეების სასამართლო განხილვა;
- დამთავრდეს ყველა დაგეგმილი სოციალური პროგრამა;
- უნდა გაძლიერდეს საპატრულო ზედამხედველობა გზებსა და გზაჯვარედინებზე; გამკაცრდეს ადმინისტრაციული ღონისძიებები საჭესთან მჯდომ მთვრალ, გადაჭარბებული სიჩქარის მოყვარულ მძღოლებზე;
- სკოლებში მოსწავლეთა აღზრდა-განათლების საქმეში დაუბრუნდეს პასუხისმგებლობა სკოლის პედაგოგებსა და დირექციას. სკოლაში ადმინისტრაციული უწყების ხელმძღვანელობას, ან მათ თანამშრომლებს საერთოდ არ უნდა ჰქონდეთ ადგილი. ადმინისტრაციული ორგანოები საალმზრდელო დაწესებულებები არ არის, მათთვის ამ დანიშნულების მინიჭება შეუსაბამოა.



**დავით მგელაძე, სასტუმროს მეპატრონე ურეკში, მეწარმე:**

რა ხელისუფლებაც იყო ადრე, თვით კომუნისტურიდან დაწყებული დღემდე, ყველამ იცოდა, რომ ურეკი შავი, მაგნიტური ქვიშითა და უნიკალური მიკროკლიმატით, მსოფლიოში უიშვიათესი სამკურნალო კურორტია. თუმცა არავის უზრუნია, რომ ამ კურორტს ჰქონოდა ცენტრალური წყალმომარაგება, კანალიზაცია, გაზი, კეთილმოწყობილი გზები, ტროტუარები და სხვა ინფრასტრუქტურა. ოცნების ხელისუფლებამ მოსვლიდან დღემდე ყველა ეს პრობლემა მოაგვარა. ან ზოგი სამუშაო, მაგალითად, ზღვის პირას ბულვარის მოწყობა ქმედითად მიმდინარეობს. თუმცა ეს მილიონებად ღირებული პროექტები ქართულ მედიაში არ შუქდება. სამაგიეროდ, ოცნების წინააღმდეგ ყოველდღიურად დიდძალი ჭორ-მართალი ვრცელდება. ამით იმის თქმა მინდა, რომ ოცნებას მისივე გაკეთებული კარგი საქმეების ქვეყნის მოსახლეობასთან მიტანა უჭირს. ეს ამ პარტიის და ხელისუფლების ერთ-ერთი ნაკლია.

ოცნების პარტიას ბევრი რესურსი აქვს, რომელსაც თუ აამოქმედებს, მისი რეიტინგი არჩევნებამდე მნიშვნელოვნად გაიზრდება. მაგალითად, ახლანდელი სტატუსით ადგილობრივი მმართველობა, ფაქტობრივად, უუფლებოა. მას განსაკარგავად არც ბიუჯეტი გააჩნია და არც უფლებამოსილება აქვს, ადგილობრივი პრობლემები რომ გადაწყვიტოს. ამისთანა ადგილობრივ მმართველობას, სხვა რომ არ იყოს, ხალხიც არ სცემს პატივს. საკურორტო დაბები, ისეთი როგორიცაა ურეკი, შეკვეთილი, გრიგოლეთი, აუცილებლად უნდა იყოს განსაკუთრებული სტატუსის მქონე. რა მაქვს მხედველობაში? ის, რომ ამ საკურორტო ზონებს ქვეყნის ბიუჯეტში მნიშვნელოვანი ფინანსები შეაქვთ. თავად ამ დასახლებების ადგილობრივი მმართველობები კი უუფლებო და უფულოა. ამას კარგად ხედავს მოსახლეობა და ამით უკმაყოფილოა. თუ ხელისუფლება გაითვალისწინებს ამომრჩევლის და აქ დასაქმებული მეწარმეების სურვილს და შექმნის ურეკი-შეკვეთილი-გრიგოლეთის საკურორტო ზონის ადგილობრივ მმართველობას, რომელსაც თავისი ბიუჯეტი ექნება და საკუთარი მმართველობაც ეყოლება, ეს ქართული ოცნებისთვის მნიშვნელოვანი დივიდენდი იქნება არჩევნების წინ. მსგავსი მოდელი მარტო ურეკისთვის არ არის აუცილებელი. ქვეყნის მასშტაბით ყველა საკურორტო ზონები უნდა იყოს საგანგებო სტატუსის მქონე. რომლის მმართველობაც თავად უნდა წყვეტდეს ყოველდღიურ პრობლემებს.

კიდევ ერთი საკითხი, რომლის უყურადღებოდ დატოვება ოცნების პარტიას კარგს არ მოუტანს. მხედველობაში მაქვს საკადრო პოლიტიკა. სანამ დროა, ოცნებამ გვერდში უნდა დაიყენოს ის ადამიანები, რომლებიც სააკაშვილის

# პრემიერ-მინისტრმა მთავრობის 2019 წლის ბოლო სხდომაზე გასული წელი შეაჯამა

(მესამე გვერდიდან) ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე საუბრისას გიორგი გახარიამ მთავრობის ძირითად ამოცანად დაასახელა ძლიერი ქართული ბიზნესი და განვითარებული კომპანიები, რომლებიც დამატებით სამუშაო ადგილებს ქმნიან.

**„სამუშაო ადგილები არის უაღრესად დიდი გამოწვევა ქვეყნისთვის და, რა თქმა უნდა, ყველას კარგად გვესმის, რომ დღეს არ გვილხინს, თუმცა უნდა ვიმუშაოთ მეტი, კონცენტრირებულად და უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი ძირითადი პარტნიორი სამუშაო ადგილების შექმნაში გახლავთ ქართული ბიზნესი. ჩვენ გავააქტიურეთ ურთიერთობა, თანამშრომლობა ბიზნესთან, მოვხსენით ბევრი მიმდინარე პრობლემა, თუმცა არსებობს კიდევ ბევრი სისტემური გამოწვევები, რომლებსაც ერთობლივად უნდა ვუპასუხოთ“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერის შეფასებით, საკმაოდ კარგია ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი. როგორც მთავრობის მეთაურმა განაცხადა, 10 თვის მონაცემებით, საქართველოში 2019 წელს ეკონომიკურმა ზრდამ 5%-ს გადააჭარბა და მთავრობა ოპტიმისტურად უყურებს წლის საბოლოო მონაცემებსაც.

**„კარგი მონაცემები გვაქვს მესამე კვარტალში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თვალსაზრისით. გვაქვს 14%-იანი ზრდა, თუმცა კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყნის მიმზიდველობა დავანახოთ მაქსიმალურად ჩვენს პარტნიორებს“,** — განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

პრემიერ-მინისტრის შეფასებით, პოზიტიურია მონაცემები ტურისტების რაოდენობის თვალსაზრისით და მათმა რიცხვმა 9 მილიონს გადააჭარბა.

**„დღეს ასევე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ზამთრის კურორტები — მესტია, გუდაური, გოდერძი, ბაკურიანი, დღეს მზად არიან, უმასპინძლონ ჩვენს უცხოელ სტუმრებს, ტურისტებს“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურმა, ასევე ისაუბრა ქონების პრივატიზაციის დაჩქარებულ პროცესზე.

**„100 ქონება მუდმივად იქნება ეკონომიკის სამინისტროს ნუსხაში. ეს გვაძლევს საშუალებას, გავააქტიუროთ ის აქტივები, რომელიც ჯერ აქამდე ეკონომიკურ ცხოვრებაში არ მონაწილეობდა. დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში უკვე მოხდა 28 ქონების რეალიზაცია, რაც 45 მილიონ ლარს აღემატება“,** — განაცხადა გიორგი გახარიამ.

გიორგი გახარიას შეფასებით, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მიღწეულ წარმატებებს არ ექნება მდგრადი და გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივა, თუ არ შეიქმნა ძლიერი, თანამედროვე განათლების სიტემა.



პრემიერმა აღნიშნა, რომ განათლების სისტემური რეფორმა გაგრძელდება და საქართველოს მთავრობისთვის 2020 წლის განმავლობაშიც პრიორიტეტული იქნება.

**„თუ ჩვენ არ შევქმენით ძლიერი, თანამედროვე განათლების სისტემა, ჩვენი ახალგაზრდები, ჩვენი შვილები ვერ შეძლებენ იყვნენ კონკურენტუნარიანები გლობალური კონკურენციის ფარგლებში, ამიტომ განათლების სისტემური რეფორმა გაგრძელდება და იქნება პრიორიტეტული საქართველოს მთავრობისთვის 2020 წლის განმავლობაში, განსაკუთრებით საშუალო და პროფესიული განათლების თვალსაზრისით“,** — განცხადა გიორგი გახარიამ.

პრემიერ-მინისტრმა 2020 წლის პრიორიტეტებს შორის დაასახელა ადამიანის უფლებების დაცვა და აღნიშნა, რომ ამ მიზნით ადამიანის უფლებების უწყებათაშორისი საბჭოს და სამდივნოს მუშაობა გააქტიურდება. ასევე, გამოძიების ხარისხის გაზრდის უზრუნველსაყოფად, გაგრძელდება საგამოძიებო სისტემის დაწყებული რეფორმა.

მთავრობის მეთაურმა საუბრისას ყურადღება გაამახვილა სოციალურ საჭიროებებზე და აღნიშნა, რომ 2020 წლის ბიუჯეტი ორიენტირებულია მოქალაქეზე და საზოგადოების იმ ფენებზე, რომლებსაც განსაკუთრებული დახმარება სჭირდებათ.

**„ვიდრე ჩვენი ეკონომიკური განვითარება არ მიაღწევს აუცილებელ დონეს, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა, იზრუნოს საზოგადოების განსაკუთრებით დაუცველ ფენებზე; სწორედ ამიტომ, 2020 წლის ბიუჯეტი ერთმნიშვნელოვნად ორიენტირებულია ჩვენს მოქალაქეზე. ბიუჯეტის მიხედვით, ყველა პენსიონერს, ასევე პირველი და მეორე ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს პენსია გაეზრდებათ ჯერ 20 ლარით, ასევე 70 წელს გადაცილებულ პენსიონერებს გაეზრდებათ დამატებით 30 ლარით და მთაში მცხოვრებ პენსიონერებს, რომლებმაც უკვე 70 წელს მიაღწიეს, თვიური პენსია დაახლოებით 300 ლარი ექნებათ. სრულ განაკვეთზე მყოფი მასწავლებლებისთვის ხელფასი გაიზრდება დაახლოებით 300 ლარით. 2020 წლის ბიუჯეტი არის მოქალაქეზე ორიენტირებული და განსაკუთრებით ჩვენი საზოგადოების იმ ფენებზე, რომლებსაც განსაკუთრებული დახმარება სჭირდებათ. ესენია — ბავშვები, ღვაწლმოსილი პენსიონერები, ექიმები, მასწავლებლები, სამართალდამცავები და ჯარისკაცები. ამ წლის ბიუჯეტით შესაბამისი სახელფასო ზრდები ექნებათ როგორც ბაღის მასწავლებლებს, ასევე პედაგოგებს, სასწრაფოს და სოფლის ექიმებს, ჯარისკაცებს, პოლიციელებს და კულტურის მუშაკებს“,** — განაცხადა გიორგი გახარიამ.

გასული წლის შეჯამებისას პრემიერ-მინისტრმა ასევე ყურადღება დაუთმო საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული პოლარიზაციის მაღალ დონეს და მთავრობისა და ოპოზიციის ერთობლივ პასუხისმგებლობას ქვეყნის წინაშე.

**„2019 წელი საკმაოდ დინამიკური და გამოწვევებით სავსე წელი იყო, თუმცა გვქონდა სერიოზული მიღწევებიც. მთავრობას და ოპოზიციას, რა თქმა უნდა, სხვადასხვანაირად გვაქვს გადანაწილებული პასუხისმგებლობა, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ ჩვენს ქვეყანაზე და ყველამ ერთად მოვუაროთ ჩვენს ქვეყანას“,** — განაცხადა პრემიერმა.

**ხალხის ხმა!..**

# ჩემი სუნთქვა გენაცვალა!!!

რეჟიმს ებრძოდნენ, მაგრამ მერე აღარავის გახსენებია. ეს ხალხი დღესაც ოქროს ფონდია, რომელიც ხელისუფლებამ უნდა დაიყენოს გვერდით. სხვადასხვა პარტიებიდან ოცნებაში პორტირებული ბედისმაძიებლების იმედით შორს ვერავინ წავა. არადა, არჩევნებამდე ჯერ კიდევ არის დრო, ამომრჩეველმა რომ ირწმუნოს ოცნების.



**თამაზ ცინცაძე, საქართველოს პარლამენტის მეორე მოწვევის დეპუტატი, უხუცეს საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირის თავმჯდომარე:**

ადამიანი ბრმა და დაუნახავი უნდა იყოს, ბიძინა ივანიშვილის გაკეთებულ ქველმოქმედებას რომ ვერ ხედავდეს, ან იმის მადლიერი არ იყოს, რომ სწორედ მისი წყალობით გათავისუფლდა ქვეყანა ნაციონალური მოძრაობის რეჟიმისგან. სამწუხაროდ, არც ბიძინა ივანიშვილის და არც ქართული ოცნების მიერ გაკეთებულ კეთილ საქმეებს სათანადო პროპაგანდა არ ეწევა. თვით „ოცნების“ პარტია ოპოზიციისგან მხოლოდ თავდაცვით პოზიციაზეა გადასული. არსად ჩანს პარტიული აქტივის აქტიურობა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ყველა ცდილობს, თვალში არ მოხდეს ოპოზიციას და არსად გადაეყაროს ენჯეოშნიკებს, რომლებიც მუდამ მზად არიან ერთიანი ფრონტით შეუტიონ მმართველ პარტიას და მის ლიდერებს. ეს ნაციონალური მოძრაობის ხელწერაა, რომელსაც სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევენ ოცნების პარტიის აქტივისტები.

ჩვენთვის, ხანდაზმული ადამიანებისთვის, ბევრი რამ, რაც დღეს ქართულ პოლიტიკაში ხდება, მიუღებელია. მაგალითად, როცა ქუთაისელი აცხადებს, რომ არაფრად მიაჩნია ბიძინა ივანიშვილის მიერ სტუდენტური ქალაქისა და საუნივერსიტეტო ქალაქის მილიარდი ევროთი დაფინანსება, რადგან აქედან მას პირადად არაფერი შეხვდება, გაოგნდები ამ უმადურობით. ნუთუ არავინ მოიძებნა, ვინც ამ კატეგორიის ხალხს აუხსნიდა, რომ ეს განათლებას მისცემს მის მომავალს ეს მომავალი კი ქვეყნის მომავალია და ასე უნდა შეხედოს ამ ქველმოქმედებას ყველამ.

მომავალ არჩევნებამდე უნდა შესრულდეს ოცნების მთავარი დაპირება, რომ ქვეყანაში აღდგებოდა სამართლიანობა. ამის ნაცვლად საქართველოს პარლამენტის მაშინდელმა თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა საზოგადოებას შესთავაზა, რომ ნაცმოძრაობა, როგორც პოლიტიკური ძალა, შენარჩუნებული ყოფილიყო. ასეც მოიქცნენ და „კოჰაბიტაცია“ გამოაცხადეს, ანუ ნაცმოძრაობა ქვეყანაში მეორე პოლიტიკურ ძალად გამოცხადდა.

მე ვფიქრობ, რომ დავით უსუფაშვილს, რომელსაც სავარძელი მიართვა ბატონმა ივანიშვილმა, ხოლო მის მეუღლეს თინა ხიდაშელს კი თავდაცვის მინისტრისა, ნაცლად იმისა, რომ მადლობა იმით გადაეხადა ოცნებისთვის, რომ პარტიულ მშენებლობაში აქტიურად ჩაბმულიყო, რაც მან კარგად იცის, იგი ოპოზიციონერად ჩამოყალიბდა, რამაც ოცნება დააზიანა. ამას სათანადოდ ვერ უპასუხა ოცნების პარტიამ. არადა, ამომრჩეველი, ხალხი ითხოვს, რომ შესაბამისი პასუხი გაეცეს ყველას, ვისაც ბრალი მიუძღვის ნაცმოძრაობის აღზევებაში, ვინც აქტიურად თანამშრომლობს ამ რეჟიმთან.



**ამირან კილურაძე, ჟურნალისტი, საქართველოს ტელე-რადიოკომიტეტის პრემიის ლაურეატი, კულტურის დამსახურებული მუშაკი:**

„ქართულ ოცნებას ხელისუფლებაში მოსვლის დროს აჭარაში რომ მხარდამჭერები ჰყავდნენ, ალბათ, ამდენი არცერთ რეგიონში არ ეყოლებოდა, ნაცმოძრაობამ „აჭარის განთავისუფლების“ შემდგომ აქაური მოსახლეობის ცუდი განწყობა დაიმსახურა. იმდენი ლანძღვა და იმდენი დაჭერები დაატრიალეს, აჭარაში ყოველი მეორე მათ წინააღმდეგ განაწყვეს. 2012 წელს ნაცებს აჭარაში მოწინააღმდეგე ბევრად მეტი ჰყავდათ, ვიდრე მომხრე. ესე იგი, ოცნებამ პირწმინდად მოიგო არჩევნები. ამ ფონზე გასაკვირი უნდა ყოფილიყო ის, რომ მალევე დაიწყო ოცნების დივიდენდების განიავება. თუმცა ის ადამიანები, რომლებიც თვალს ადევნებდნენ აჭარაში მიმდინარე პროცესებს, დღესაც გეტყვიან, რომ ოცნებამ უაზრო საკადრო პოლიტიკით დაკარგა ელექტორატის მხარდაჭერა. საქმე ის არის, რომ აჭარაში პირველი, მეორე, მესამე და ასე შემდგომ თანამდებობებზე ოცნებამ ის ადამიანები გაამწესა, რომლებსაც სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლით თავი არასოდეს არ გამოუჩენიათ. მათი ნაწილი სხვა პარტიიდან იყო გამოგდებული, თუ გამოქცეული და თავშესაფარი ოცნებაში პოვეს. ზოგმა მათგანმა გაინაღდა რა დეპუტატობა თუ ხელთ იგდო საქაფავ-მოსათალი ადგილი, ოცნებაც მიატოვა და სხვა ნავსაყუდელი ნახა. მართალია, ოცნებამ მეორე არჩევნების შემდგომ აჭარის მთავრობის თავმჯდომარედ, უმაღლესი საბჭოს პირველ პირად და ბათუმის მერად ისეთი პირები დასვა, რომელთა მიმართ ამომრჩეველს აგრესია არ აქვს, მაგრამ ეს ცოტაა იმისთვის, რომ მმართველმა პარტიამ არჩევნების წინ თავი სამშვიდობოს იგრძნოს.

ქართულ ოცნებას არჩევნების წინ დიდი რესურსი აქვს პენსიონერთა სახით. საქმე ისაა, რომ საქართველოში თითქმის 800 ათასი პენსიონერია, რომელთა დიდი უმეტესობა თვეში 200 ლარს ღებულობს. რაღა თქმა უნდა, ეს თანხა მათ მოთხოვნილებას ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს და ეს იმ ფონზე, როცა გამუდმებით იზრდება საჯარო მოხელეთა ხელფასები. არაფერს ვამბობ საპარტნიორო ფონდის თავმჯდომარეზე საგანელიძეზე, რომელსაც თვეში 27 თუ 29 ათასი ლარი აქვს ხელფასი ოცნებამ კი უნდა იცოდეს, რომ პენსიონერები მისით უკმაყოფილონი არიან. სანამ დროა პენსიონერთა დიდი არმიის გულის მოგებაზე უნდა იფიქროს ხელისუფლებამ. აუცილებელია, პენსია საარსებო მინიმუმს თუ არ გაუთანაბრდება, მიუახლოვდეს მაინც. არადა, ასიათასობით ხმას დაკარგავს მმართველი პარტია, თუ პენსიების გაზრდაზე არ იზრუნა.

* * *

**ამ საგაზეთო წერილს რომ ვამზადებდი, ჩემს ნაცნობ-მეგობრებში გამოკითხვა ჩავატარე. ვინ არის აჭარაში ოცნების პარტიის ხელმძღვანელი? ამ კითხვაზე ათი კაციდან რვამ არ იცოდა, ვინ იყო მმართველი პარტიის თავკაცი. საქმე ისაა, რომ არც მუნიციპალიტეტებში, არც ავტონომიის და ქვეყნის მასშტაბით არ არის ჩამოყალიბებული მობილური, პროფესიონალური პარტიული ორგანიზაციები. პარტიული მშენებლობა ოცნების ერთ-ერთი ყველაზე სუსტი მხარეა. ვინც ეს საქმე იცის, იმას ახლოსაც არ იკარებენ, ვინც არ იცის, ის იმაზე მეტს ვერ შეძლებს, რასაც ახლა აკეთებს. ამ პარტიული „მოღვაწეების“ იმედით კი შორს ვერ წავა ოცნება.**

მე, ვის მივცემ ხმას? არ ვიცი, დამერწმუნეთ, არ ვკეკლუცობ, მართლა, არ ვიცი. არ ვიცი იმიტომ, რომ დამოუკიდებელი, უხელფასო და მიუკერძოებელი ჟურნალისტი ვარ, პენსიონერი 200 ლარით. როგორც ოცნება მართავს ქვეყანას, არ მომწონს. ნაცმოძრაობის მოსვლა ხელისუფლებაში ღმერთმა დაიფაროს. პატრიოტთა ალიანსი, რესპუბლიკელები და სხვები და სხვები ისე ჰგვანან ერთმანეთს, ღმერთმა არ ქნას, მათ ხელში ჩავარდეს ჩემი ქვეყანა და ხალხი.

მე ჯერ არ ვიცი, ვის მივცემ ხმას, შენ? შენ ვის მისცემ ხმას, ჩემო მკითხველო?

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ აჭარა-გურიის საკორესპონდენტო ბიურო (ა. კ.).**

**ყველა ადამიანურ სიკეთესა და სიყვარულზე „ხელისმომწერი“;**
**ხალასი, უბრალო, მხნე, ჭირთამთმენი;**
**ხშირად ბავშვივით სუფთა და გულწრფელი, სევდიანი, ჩაფიქრებული, საკუთარი განვლილი გზის ჯეროვნად შემფასებელი;**
**სულით და ხორცით ლამაზი ბიჭი, დიაცთათვის მუდამ შესანატრი;**
**კაცი — დღესასწაული;**
**გონიერი, საყოველთაო დადებითი თვისებებით გამორჩეული ქართველი (თანაც გურული ფესვებით, საჭამიასერიდან);**
**სუპერპროფესიონალი! სწორედ მაღალი პროფესიონალიზმია მისი პატრიოტიზმი!**
**ამ დღეებში, როცა გოჩა ხუნდაძეზე ვფიქრობდი, შევამჩნიე, რომ მკერდში თითქოს მზის სხივები „ჩამეღვარა“ და ჭკუა-გონება სიჭაბუკის დროინდელი მოგონებებით გამინათდა...**



# მოთმინებითა შენითა, მზისგულა კაცო!

დედაუნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის (უფრო ზუსტად, ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის სპეციალობის) პირველ კურსზე ყოფნისას, დაბადების დღეზე ვეწვიეთ ჩვენს ულამაზეს თანაკურსელს მარინა დამენიას. ის დიდუბეში ცხოვრობდა. „შევაგროვეთ“ ფული და სამ მანეთად მშვენიერი თაიგული ვიყიდეთ — ჯგუფის საერთო საჩუქარი.

ზარი გოჩამ დარეკა, გაიღო კარი და მარინას კოლხმა დედიკომ „მრისხანე“ თვალებით შემოგვხედა.

— ქალბატონო ლუბა, გილოცავთ შვილის დაბადების დღეს. — ღიმილით შეჰბედა გოჩამ.

— გილოცავთ, გილოცავთ! — ავხმაურდით ჩვენც.

ქალბატონი ლუბა ხმას არ იღებს... გამომწვევად გვიმზერს, განსაკუთრებით, თაიგულისკენ გაურბის მომნუსხველი ცისფერი თვალები:

— რა არის ეს?

დუმილი...

— მე თქვენ გეკითხებით, რა არის ეს?!

— ყვავილები, ქალბატონო ლუბა!

— მერე!

ისევ დუმილი, რომელიც კარგა ხანს გაგრძელდა...

— თქვენ, ღატაკ სტუდენტებს გადაფურთხებული აბაზიანად რომ გეჩვენებათ, ვინ მოგცათ ამხელა თაიგულის საყიდლად ფული?!

— სულ სამმანეთიანია, ქალბატონო ლუბა...

— მერე, სამი მანეთი ფული არ არის?!

სადარბაზო კინაღამ შეაზანზარა ლალი ქინქლაძის, ნაზი აროშიძის, გულიკო ბაშარულის და გიული ტატიშვილის სიცილ-კისკისმა... ეს გოგონები „მდიდარი“ ოჯახებიდან იყვნენ და „სამ მანეთზე“ აკისკისდნენ.

— რა ვთქვი სასაცილო! — კიდევ უფრო მოიღრუბლა ქალბატონი ლუბა... ნახეთ, შემოდით, სამზარეულოსა და ოთახებში რამდენი ყვავილები მაქვს, თქვენ ფული რატომ დახარჯეთ?

— გვაპატიეთ, ქალბატონო ლუბა, დაგვიბრუნეთ ის ფული უკან და ხვალ, უნივერსიტეტის ქვემოთ, ზოოპარკთან რომ „სტუდენტური“ დუქანია, „პახმელიაზე“ გამოვალთ. — სხაპასხუპით უთხრა გოჩამ.

— ვის ატყუებთ, თქვე გლახებო, სამი მანეთი რაში გეყოფათ, ათს მოგცემთ, ახლა კი სუფრასთან, თორემ გაცივდა ხაჭაპური. — როგორც იქნა გაგვიღიმა „მრისხანე“ ლუბამ...

იმ დღეს გოჩა ხუნდაძემ, როგორც ნაადრევად სიმელოტეშეპარულმა, „დაბრძენებულმა“ ბიჭმა, მშვენივრად გვითამადა და საქართველოს რაიონებიდან ჩამოსულ თანაკურსელებს თბილისში გაზრდილი ბიჭის ზრდილობა და სუფრასთან ქცევის მაგალითი გვიჩვენა.

არადა, სულ 15-კაციან ჯგუფში უმრავლესობა საქართველოს შვიდივე „სამეფოდან“ ჩამოსული „პროვინციელები“ ვიყავით...

* * *

...1968 წლის ზაფხულში კვეტარის ციხე-სიმაგრის აღდგენით სამუშაოებზე პირველი სტუდენტური მამითადის სული და გული იყო იუმორით და მკურნალი სიტყვით სავსე გოჩა ხუნდაძე. გოჩა ყველაზე მეტს მუშაობდა, ყველაზე ზომიერად სვამდა (იფ, იფ, იფ... რა ღვინო და ცვრიანი მწვადები ამოჰქონდათ



პირველი მივლინება. ანანურის ციხეებთან. 1972 წ.

ყოველდღე ახმეტის რაიონის ღონიერი სოფლებიდან ჩვენზე მომაგრებულ თავმჯდომარეებს!), დილით ყველაზე ადრე იღვიძებდა და ცნობილი პოეტის სიტყვებით გვაფხიზლებდა: „საქართველოსთვის, საქართველოსთვის, საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!“

* * *

...მესამე კურსი რომ დავამთავრეთ, აბულის მთაზე, რუსულ სამხედრო ნაწილში წაგვასხეს ორთვიან სწავლებაზე, ჩვენი სამწლიანი ჯარისკაცური ცოდნის შესაჯამებლად... პირველ დღეებში საოცრად გაგვიჭირდა უმკაცრეს საყოფაცხოვრებო და ბუნებრივ გარემოსთან შეგუება. ვერავინ წარმოვიდგენდით, ახალქალაქის რაიონში, ზღვის დონიდან 2200 მეტრზე, პაპანაქება ზაფხულში თუ ასეთი უხიაგი ამინდი დაგვხვდებოდა. ღამით ტემპერატურა ნულ გრადუსამდე ეცემოდა, ჩვენ კი ბრეზენტის კარვებში ბეტონის ცივ საწოლებზე გაფენილ თხელ „გუბკებზე“ (ღრუბლებზე) ვეყარეთ. დღისით კი ხშირად თოვლ-ჭყაპი იყო. როცა მთის მზე დაგვაშტერდებოდა, ცალი ლოყა მაინც გვეყინებოდა, სამწყობრო ნაბიჯის დროს კი თავ-ყბის ჩვენს ნებაზე მიბრუნების უფლებას აბა, ვინ მოგვცემდა... ამას დაემატა ნახევრად ცომი, ტალახივით შავი პურით კვება... ათიოდე დღე გავუძელით. გოჩა ხუნდაძის ინიციატივით „რევოლუცია“ ჩავიფიქრეთ, სადილობის დროს მდუმარე პროტესტი მოვაწყვეთ, საკვებს პირი არ დავაკარეთ და რუსული სამხედრო ნაწილის ტვინმოღრეცილ გენერალიტეტთან შეხვედრა მოვითხოვეთ.

რადგან ჩვენთან ერთად მაშინდელი პირველი კაცის შვილი საშკა (ალექსანდრე) მჟავანაძეც ცხოვრობდა, ვარჯიშობდა და იკვებებოდა (იმას მამამისისთვის დაურეკავს) დიდი აურზაური ატყდა, ორ დღეში თბილი საფენები და „ადიელები“ მოგვიტანეს, შავი პური თეთრით შეგვიცვალეს და წვნიანში ხორციც ჩაგვიყარეს... ამ ამბავში ჩემთვის მთავარი ის იყო, რომ გოჩა ხუნდაძე სტუდენტურ სამხედრო „ბრიგადაში“ ყველაზე მომთმენი აღმოჩნდა, ჩურჩულით გველაპარაკებოდა, ვინმემ არ დაგვასმინოსო. ლაშა გახარიას კი, რომელიც ყველაზე მეტად გაცივდა და ყველაზე მეტად დაზარალდა, გურულად ეხუმრებოდა: დაზმირ (ლაშას მაშინ დაზმირი ერქვა, ლაშა მერე შეარქვა ცხონებულმა თამაზ ბიბილურმა ჩვენს უნიჭიერეს პოეტსა და ჟურნალისტს), შენ მეგრულად აგინე რუსებს, რაც შეგიძლია, მაგრად აგინე, ბოლმისგან დაიცლები და ფეხის ტკივილი გაგივლისო!...

საოცრად კუნთმაგარი და ფიზიკურად ძლიერი ლაშა ისე გაცივდა, რომ „იშიაზი“ აიკიდა, ფეხი გაუჩერდა, ტკივილისგან ხარივით ბღაოდა... მერე ჰოსპიტალში გადაიყვანეს და ერთ კვირაში გამოჯანმრთელებული დააბრუნეს...

* * *

უნივერსიტეტი თითქმის ყველა ჟურნალისტმა წარჩინებით დავამთავრეთ და... სამწუხაროდ, მხოლოდ მე და გოჩამ „ვიშოვეთ“ ერთი შტატი მაშინდელი ახალგაზრდული, პოპულარული გაზეთის „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციაში. ჩვენმა უფროსმა კოლეგამ, გაზეთის რედაქტორმა არმაზ სანებლიძემ სტილისტ-კორექტორის 100 მანეთიანი შტატი შუაზე გაგვიყო და დაგვაიმედა: კარგი სტატიები დამიწერეთ და გაძლიერებულ ჰონორარს გამოგიწერთო!

რამდენიმე დღის შემდეგ, ისევ თაკარა ზაფხულში, გონიერმა რედაქტორმა პირველ მივლინებაში გაგვაგზავნა ჟინვალის წყალსაცავის სტრატეგიულ მშენებლობაზე. მე და გოჩამ ორი დღე გავატარეთ არაგვის ხეობაში.

**ულამაზესი ისტორიული სოფლის ანანურის ერთი ნაწილი წყლის ქვეშ უნდა მოქცეულიყო და ქართველ არქეოლოგთა ჯგუფი იქ საგანგებო გათხრებს აწარმოებდა. რა თქმა უნდა, სტუდენტებიც იქ იყვნენ ცნობილი ლიდერის, ფილოლოგიის ფაკულტეტის უკვე მეხუთე კურსის სტუდენტის, დღეს აღიარებული ტელეჟურნალისტის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, თბილისის საპატიო მოქალაქის თამაზ ტყემალაძის ხელმძღვანელობით... თამაზს განსაკუთრებით უყვარდა ჩვენი ჯგუფი, რადგან თავისი კოლორიტული ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი მარინა დამენია იქ ეგულებოდა... მალე ისინი შეუღლდნენ და როგორც კახეთში იტყვიან (თამაზი კახელი ტყემალაძეა, ლაგოდეხის სოფელ ლელიანიდან) ნანინანატრი ოჯახი შექმნეს...**

ჟინვალჰესიდან ჩამოვედით თუ არა, გაზეთის ფურცლებზე ოპერატიულად დაიბეჭდა თანაკურსელი ჟურნალისტი „ძმების“ ხელმოწერით ვრცელი რეპორტაჟი... ამას მოჰყვა ათასგვარი ინფორმაცია, სტატია, ნარკვევი თუ ფელეტონი... ასე გავხდით პოპულარული ჟურნალისტები, რადგანაც მაშინ პრესას წონა ჰქონდა და წამყვან რესპუბლიკურ გაზეთებს ყველა ქართულ ოჯახში კითხულობდნენ...

გოჩა ხუნდაძე იყო პირველი მეგობარი და მრჩეველი, რომელმაც გადამაწყვეტინა, რომ სრულიად ახალგაზრდა კაცი დავთანხმებოდი გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორობას... ასე გაიყარა ჩვენი გზები — ის რადიო-ტელევიზიის უზარმაზარ კოლექტივში დამკვიდრდა, მე — ქუთაისში, 7 წლით...

* * *

ზემოთ გოჩა ხუნდაძის ჟურნალისტურ პროფესიონალიზმზე მოგახსენეთ. თვითონ მკითხველმა განსაჯოს, რა დონის პროფესიონალია კაცი, რომელიც გაზეთიდან ტელეჟურნალისტიკაში გადაბარგების შემდეგ, 1979 წლიდან 2004 წლამდე იყო საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს პასუხისმგებელი მდივანი, მთავარი რედაქტორის მოადგილე, მთავარი რედაქტორი, ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი. ემოციურ, ფიცხ, პრინციპულ კაცს ბეწვის ხიდზე გავლა მოუწია, რომ 90-იანი წლების სამოქალაქო განუკითხაობის ჟამს ქვეყნის მთავარი იდეოლოგიური ინსტიტუტი, მთავარი საინფორმაციო-ანალიტიკური დაწესებულება არ ჩამოშლილიყო და ღრმად ეროვნული საქმე ეკეთებინა.

გოჩა ხუნდაძემ ეს შეძლო და როცა საჭირო გახდა, დროულად განერიდა იქაურობას, ჯერ ქართული ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარის მოადგილედ იმუშავა, ხოლო შემდეგ — სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ გენერალური დირექტორის მოადგილედ...

ხელხვავიანად იღვაწა გოჩა ხუნდაძემ საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიაში. 2008-2010 წლებში იყო დილის პროგრამა „განთიადის“ ხელმძღვანელი, 2012 წელს „მეცხრე არხსაც“ შეაშველა ხელი, როგორც საინფორმაციო სამსახურის უფროსმა.

2011 წელს კერძო ინვესტორმა, ქართველ ჟურნალისტთა თხოვნით შეძლო აღედგინა არჩილ გოგელიას ცნობილი გაზეთი „დრონი“. შეძლებით კი შეძლო, მაგრამ... მხოლოდ რამდენიმე თვით. ვიდრე გაზეთი იბეჭდებოდა, მის ფურცლებზე ძალიან ხშირად ჩანდა გოჩა ხუნდაძის აზრიანი წერილები.

დღეს, 70 წლის ჟურნალისტი, შემოქმედებითი გაერთიანება „განთიადის“ ხელმძღვანელია. მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება, არის ღირსების ორდენის კავალერი, ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი.

2017 წელს გამოვიდა გოჩა ხუნდაძის წიგნი „11 ინტერვიუ“, რომელიც ძირითადად აფხაზეთის ომის პრობლემებს ეძღვნება (გოჩა ამ ძმათამკვლელი ომის ვეტერანია) და რომელიც საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იყოს მზად ჟურნალისტი, რომ რესპონდენტთან სრულფასოვანი, დამაჯერებელი, გულახდილი დიალოგი შედგეს. გოჩა ხუნდაძეს უმაღლესი სკოლის პედაგოგობის გამოცდილებაც აქვს. ის იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-მუშაკი, სდასუ-სა და გრ. რობაქიძის უნივერსიტეტების სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის ხელმძღვანელი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, სასწავლო-შემოქმედებითი ლაბორატორიის უფროსი.

* * *

**გოჩა (ვახტანგ) მიხეილის ძე ხუნდაძე სამი შვილის მამა იყო. ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა მისი სიცოცხლით სავსე ბიჭი თანაკლასელებთან ერთად (ნინველის ასაკში მყოფი ბავშვები) ავარიაში დაიღუპნენ, მრავალჭირგადანახადი, გონიერი და ღონიერი მამა აქეთ გვამხნევებდა — უფალმა ასე ინება, უფლის ნებას ვერსად გავექცევით, ღმერთი ყოვლის შემძლეა...**

**ამ ტრაგედიამ სულ სხვა კუთხით დამანახა ჩემი მეგობარი.**

* * *

გოჩა მზისგულა კაცია, წარმოუდგენლად თავმდაბალი, ნათელი და მტკიცე, ამიტომაც მისი დაბადების 80 წლისთავზე უფრო კარგად და ლაზათიანად დავწერ...

ამჯერად, ეს ვიკმაროთ.

მრავალ ახალ წელს, ვახტანგ (გოჩა) მიხეილის ძევ!

მოთმინებითა შენითა, მზისგულა მეგობარო!..

**სპარტაკ ქოზულია**

**ყაზბეგში მთამსვლელების ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. ალპინისტების სპეციალური სკოლა დაამთავრა. მონაწილეობდა უამრავ ალპინიადაში, წლების მანძილზე ყაზბეგის სამაშველო სამსახურის უფროსად მუშაობდა, ასობით მთამსვლელი გადაურჩენია, ფათერაკი და ნადირობის წყურვილი კი ფეხდაფეხ სდევდა...**

**საინტერესო სახეები შექმნა ქართულ ფილმებში. გადაღებულია გოდერძი ჩოხელის თითქმის ყველა ფილმში, გადასაღებ მოედანზე მიიწვიეს მერაბ კოკოჩაშვილმა, თემურ ბაბლუანმა, გია ჭუბაბრიამ...**

**და მაინც, მისი პიროვნება გოდერძი ჩოხელის ერთ მოთხრობას გადაეჯაჭვა — „მოხევის სადღეგრძელოს", რომელიც მისი ნაამბობის მერე დაიწერა, ხოლო სიტყვები „მღვრიემდე გაგვიმარჯოს" — ყველასთვის საყვარელ სადღეგრძელოდ იქცა.**

**დღეს გაგაცნობთ მონადირეს, მთამსვლელსა და მსახიობს შალვა ქირიკაშვილს.**

თენგიზ აბულაძე ძალიან ახლოს იყო ჩვენს ოჯახთან, როგორც ჩვენი ოჯახის წევრი. ჩემს ქორწილში დიდი დაღესტნური გობი — სახინკლე მომართვა, კამფეტებით და საჩუქრებით იყო სავსე... ახლაც კედელზე მიკიდია, მთლიანად ხისგანაა დამაზადებული, ძალიან ძვირფასი საჩუქარია.

**— თენგიზ აბულაძე რომ გაიცანით, სკოლაში დადიოდით...**

— მე და ნანა ქავთარაძე ვიყავით სკოლის მოსწავლეები. მეცხრე კლასში დავდიოდი. წვერზე მომდიოდა ღინღლი...




# როგორ დაწერა გოდერძი ჩოხელმა „მღვრიემდე გაგვიმარჯოს" და რა მიართვა მის ავტორს თენგიზ აბულაძემ ქორწილში?

— მთამსვლელების ტრადიციულ ქართულ ოჯახში ვიზრდებოდი, მთამსვლელი იყო ჯერ პაპაჩემი — ნიკო ქირიკაშვილი, შემდეგ მამა — ვახტანგ ქირიკაშვილი. ბიძაჩემი დევდორაკის მყინვარზე ზვავში დაიღუპა. ბავშვობიდან მახსოვს, როგორ მოდიოდნენ მამაჩემთან მეგობრები, მუსიკოსები, სპორტსმენები, მონადირეები, ყველანაირი ხალხი მოდიოდა ჩვენთან.

ძალიან პატარა ვიყავი, როცა ჩემს ოჯახში მთას მაზიარეს, ვუყურებდი დიდ და უსასწაულეს პიროვნებებს, მთა ისეთი რაღაცაა, ახლოს რომ მიხვალ, მერე იქიდან წამოსვლა ძნელია. კაცი რომ მწვერვალიდან გადმოიხედავ, ვეღარ იცხოვრებ მთის გარეშე. ამან განაპირობა ალბათ, რომ მეც მთამსვლელობა გადავწყვიტე.

სპეციალური ალპინისტური სკოლა კომუნისტების დროს ყაბარდო-ბალყარეთში ხუთებზე დავამთავრე. სტაჟირება სვანეთში გავიარე. მერე წავედი პამირზე და მასობრივ ალპინიადებში ვმონაწილეობდი. ინსტრუქტორის წოდება მქონდა, 40 წელიწადი ყაზბეგის სამაშველო სამსახურის უფროსი ვიყავი, იქამდე, სანამ ეს ქვეყანა დაინგრეოდა.

მამაჩემი რომ დაიღუპა, 1968 წლიდან ვსპორტსმენობდი, ალპინისტი ვიყავი და მერე დამნიშნეს სამაშველო სამსახურის უფროსად.

ყაზბეგში თითქმის ყველა მწვერვალი დამილაშქრავს, უამრავ მწვერვალზე ვყოფილვარ შუა აზიაში, ყაბარდო-ბალყარეთში... პამირში, ავსტრიაში... სად აღარ... ეს არის მთის ავადმყოფობა, რომელიც გიზიდავს და თავს ვერ ანებებ. ასჯერ ვცადე, დამენებებინა თავი, მაგრამ ვერ შევძელი....

ქვეყანა რომ დაინგრა, ხელფასებს არ გვაძლევდნენ, მაგრამ მე მაინც ისევ სამაშველოში ვირიცხებოდი, რაღაც რომ მოხდებოდა, ვინმეს მიხმარება თუ დასჭირდებოდა, მე მაინც მივდიოდი საშველად. ფულის გულისთვის კი არ დავდიოდი?

ახლაც რომ გავიგო, ვინმეს შველა სჭირდება, უსასყიდლოდ, მის გვერდით ვიქნები. გაჭირვებულ კაცს როგორ არ უნდა დაეხმარო?

**— მრავალ ადამიანს დახმარებიხართ მთებში... ჯგუფები გადაგირჩენიათ...**

— სახლი რომ დამეწვა, ხანძარმა გაანადგურა ყველაფერი, მათ შორის დაიწვა ჟურნალები, სადაც ეწერა, როგორ ვეხმარებოდი გერმანელსაც, რუსსაც, ქართველსაც... ყველა ეროვნების მთამსვლელებს. სამაშველო სამსახურიდან მარტო მყინვარწვერზე ასობით კაცი გადამირჩენია, ასევე 100-მდე მკვდარი ჩამოტანილი მყავს.

1984 წელს უშბისკენ ირაკლი გელდიაშვილის ჯგუფი გაემართა, გოგი ზუმბაძე, დევი თარხნიშვილი, მურად ჭიჭინაძე, დათო კობახიძე, გია ტუშური უკან ვეღარ დაბრუნდნენ... 6-ვე დაიღუპა... სამის სხეული მაშინვე ნახეს, დარჩენილი სამიც მე ვიპოვე. სამაშველო სამსახურის უფროსი ვიყავი, წავედი ყაზბეგიდან, პატარა „როზისკი" ჩავატარე უშბაზე და სამივე ვიპოვეთ.

მახსოვს, 6 კაცი მყინვარწვერიდან ნისლში გამოცურდა ისე, რომ დაყვირებაც ვერ მოასწრეს... მაგ დროს თოვლში ჯდომით უნდა წამოხვიდე ცურვით. მოსკოველები იყვნენ, ერთი რომ დაჯდა და წამოვიდა, გამოფრინდა, ვერ მოასწრო დაყვირება და დანარჩენების გაფრთხილება, რომ არ წამოსულიყვნენ. ყველა დაჯდა და წამოვიდნენ... ხუთივე მშვიდობით ჩამოცვივდნენ, მაგრამ ერთი ქალი იყო, ტანმოვარჯიშე, ჩარჩა იქ... ორი დღე ვეძებე, თან ნისლი იყო, თან ჩვენი მთავრობა მაგრად მაწვებოდა, ის ქალი როგორ ვერ უნდა იპოვოთო... მაშინ უფროსი ვიყავი და თვითონ გავდიოდი საძებრად. მეოთხე დღეს ორ ნაპრალს შუა ჩარჩენილი ვიპოვე...

**— ჯილდოებიდან რომელს გამოარჩევდით?**

— კომუნისტების დროს კავკასიის ოლქის სასაზღვრო ჯარების გენერალ- ლეიტენანტ მატროსოვის ოქროს საათი მაქვს მიღებული, ასევე უამრავი სიგელი, დედების, ოჯახების სამადლობელი ბარათები.



გავიხსენებ წინა საუკუნის 70-იან წლებს. აჭარაში, ქედის რაიონში, თურქეთის საზღვარზე 13 მესაზღვრე ზვავში მოჰყვა. 13-ვე მიცვალებული ამოვიღეთ. ბათუმიდან 75 კილომეტრი ფეხით ვიარეთ და პირდაპირ თურქეთის საზღვარზე გავედით. ზვავში გამოსაყენებელი სპეციალური ხელსაწყოებით ვმუშაობდით და ყველა სწრაფად ვიპოვეთ. ერთმა გაგვაწვალა, ღრმად იყო ჩამარხული ზვავში...

ორსართულიანი თოვლი იყო, ბათუმში არაფერი მოძრაობდა. სახლებში ჭერიდან ჩავდიოდით. 31-ე ქარხანაში დამზადებული დურალუმინის სპეციალური თხილამურებით დავდიოდით. 75 კილომეტრი მაინც გავიარეთ. სკოლებში ვათენებდით ღამეს. ავედით. ყველა მესაზღვრე ვიპოვეთ და ჩავაბარეთ პატრონებს, მშობლები, ახლობლები ჩამოვიდნენ სსრკ-ს სხვადასხვა ქვეყნიდან... არავინ არ წაიყვანა მიცვალებულები. მოილაპარაკეს და დიდი ემოციით დაასაფლავეს ყველა ერთად. ბათუმში, ძმათა სასაფლაო გაუკეთეს... მთელი ბათუმი იქ იყო... ისეთი ლამაზი მესაზღვრეები იყვნენ, როგორც შოლტები.

სამაშველო 12-კაციან ჯგუფს სპორტის დამსახურებული ოსტატი, ალპინისტური კლუბის დირექტორი მიტო ობოლაძე ხელმძღვანელობდა. მე მაშინ ბაკურიანში ვიყავი და იქიდან გამომიძახეს, ოპერაციის შემდეგ ყველას გვაჩუქეს ოქროს საათები.

**— ქართულ ფილმებში ხშირად გიწვევდნენ რეჟისორები... გოდერძი ჩოხელის ფილმების მთავარი გმირი ხართ...**

— 35-40 ფილმში მითამაშია, ზოგში მთავარი როლი, ზოგში — ეპიზოდური. გოდერძი ჩოხელის თითქმის ყველა ფილმში ვთამაშობ — „ბაკურხეველ ხევსურში", „ცოდვის შვილებში", „ადამიანთა სევდაში", „ლუკას სახარებაში"... მერაბ კოკოჩაშვილის ფილმ „მწვერვალში" მთავარ როლს ვასრულებ, ომარ გვასალიას „იმედის მწვანე კუნძულში" ასევე მთავარ როლში ვარ. გია ჭუბაბრიამაც გადამიღო... გამოვდივარ ასევე თემურ ბაბლუანის მიერ სვანეთზე გადაღებულ ქართულ-ფრაგულ ფილმში „მემკვიდრეობა"...

რეზო გიგინეიშვილის ფილმში „მძევლები" სოფო ნიჟარაძე და გია ჯაფარიძეც თამაშობენ...

ბოლოს ანანურის ციხესთან ერთ რუსულ ფილმში გადამიღეს.

**— მამათქვენთან მეგობრობდა მრავალი ცნობილი ადამიანი და იქიდან დაიწყო თქვენი გზაც კინოში, ოჯახური მეგობრობიდან...**

— მამაჩემთან პეტრე გრუზინსკი, რევაზ ლაღიძე მეგობრობდნენ... სანადიროდ ჩამოდიოდნენ ხოლმე. ზოგჯერ ოჯახებითაც — თენგიზ აბულაძე, ოთარ გორდელი, სპარტაკ ჯეჯელავა, მათ მამაჩემი მასპინძლობდა. პეტრე გრუზინსკისთან ერთად ბევრჯერ ვარ მთაში ნამყოფი.

თენგიზ აბულაძის „ვედრებაში" პატარა ეპიზოდურ როლში გამოვდივარ... ცხენები მოვპარეთ ქისტებს...

**— გოდერძი ჩოხელის განუყრელი მეგობარი იყავით...**

— გოდერძი ჩოხელი ჩემი ბავშვობის მეგობარი იყო. რეზო ჩხეიძემ სწორად თქვა, ეგეთი ჯანმრთელი ტვინის რეჟისორი საქართველოს აღარ დაებადებაო და მართალიც იყო. გოდერძი ძალიან ძლიერი იყო. სასწაული იყო პირდაპირ, რაღაცას რომ მოვუყვეოდი, იქიდან ისეთ რამეს გამოაცხობდა, პირღიას მტოვებდა. ლიტერატურულად მხატვრულად გააფორმებდა-გამოაფორმებდა და გამოაცხობდა...

ერთად ვიყავით მე და გოდერძი ქისტეთშიც, ჯარეხის ხეობაში, ჯაირახი — დაუნდობელ წყალს ნიშნავს ქართულად... ლამაზი ქალი წაუღია და მას მერე დაუნდობარ წყალს ეძახიან ქისტები. გოდერძის მანქანით ვიყავით, წყლისპირს ვისხედით. უმცროსი ბიჭი — ნიკაც თან ჰყავდა გოდერძის.

იქ ყოფნისას ქისტებმა გამოიარეს „გრუზავიკით", ნასვამები იყვნენ, სანადიროდ დავდიოდი და მე კარგად მიცნობდნენ, ჩამსვეს მანქანაში და საქეიფოდ მომიტაცეს.

ქისტების სოფელ ღულში აგვიყვანეს. გოდერძიც ჩემთან ერთად მოხვდა...

ძალიან დიდი ფანტაზიის პატრონი იყო გოდერძი და დაწერა ნოველა „მოხევის სადღეგრძელო", ქისტის მოტაცებაც ამ ამბავს მიაბა. მერე გადაიღო გოდერძიმ ეგ ადგილები „ცოდვის შვილებში", სადაც ქისტი ქორძოს როლში გამოვდივარ. ხეობაში შევდივარ, უკან ცხრაციხის ფონია. ქართველები ცხრაციხეს ეძახიან, ქისტურად არზი ჰქვია. ეს ცხრაციხე „ვედრებაშიც" გადაიღო თენგიზ აბულაძემ. ზურა ყიფშიძე და მარინა ჯანაშია თამაშობენ კიდევ ჩემთან ერთად „ცოდვის შვილებში"...

ამ ფილმის გამო რომის პაპის პრემიები მივიღეთ მე და გოდერძიმ.

რაღაცას რომ ნახავდა, მთავარია, მიზეზი ეპოვა, პატარა რამეზე ფანტაზიით ააწყობდა ხოლმე დიდ ამბავს.

**— სწორედ თქვენს ნაამბობზე დაწერა გოდერძიმ „მოხევის სადღეგრძელო", სადაც მოხევე ამბობს — მღვრიემდე გაგვიმარჯოსო...**

— მოხევის ეს სიტყვები — მღვრიემდე გაგვიმარჯოსო, მე მოვუყევი გოდერძის. სინამდვილეში ეს ამბავი ასე მოხდა: ჯიხვის შეკვეთა მივიღე და ხდეს ხეობაში წავედი სანადიროდ. სწორედ იქ ვნახე სუფთა მთის წყარო, რომელიც ქვებში მიდიოდა, მერე კი დარიალში უერთდებოდა თერგს... 4 მეტრში მისდევს თერგს სუფთა წყალი და მერე იმღვრევა. ნადირობის შემდეგ პურმარილი გაიშალა, ვქეიფობდით ბიჭები და იქა ვთქვი, მღვრიემდე გაგვიმარჯოს-მეთქი... მერე ქორწილშიც გავიმეორე იგივე. ჩემმა ახლობლებმა, ვინც ეს გაიგო, ყველა იმეორებდა ამ სადღეგრძელოს, თან ამბობდნენ, შალიკოს ნათქვამია, იმან დალია პირველად ეს სადღეგრძელოო.

**— „ბაკურხეველ ხევსურში" თამაშობთ... რას გაიხსენებთ გადასაღები მომენტებიდან?**

— იქ მარტო ვთამაშობ... ამ ფილმის გადაღების დროს გუდამაყრელები გოდერძის დასცინოდნენ, რას ჩამაიყვანე მოხევე, გუდამაყრელი უნდა გადაგეღოო... თქვენ არ იცით, ეგ რა ბიჭიაო, ეუბნებოდა გოდერძი. მერე მომიყვანეს გიჟი ცხენი და ამბობდნენ ჩემზე, დაამტვრევს მაგასო. ვერ დაამტვრევსო, — პასუხობდა გოდერძი. მერე ასეთი კადრია, ფოსტალიონს წავართმევ ცხენს, უნდა გავუშვა, გავაქციო. სუყველა მეხვეწებოდა, ძალიან ცუდი ცხენია, გადმოგაგდებს და დაგამტვრევსო. მე ვუთხარი, კაცო, თქვენ რა იცით, მე გავიგებ მაგასმეთქი... რო შევჯექი ცხენზე და გავუშვიიიი... ვაჰ, მართლა მაგარი ბიჭი ყოფილაო, კი თქვეს გუდამაყრელებმა და მერე არაფერს აღარ ეუბნებოდნენ გოდერძის.

მიჭირს ახლა, სიკვდილის შემდეგ მასზე ლაპარაკი, ანგელოზი კაცი იყო, ღმერთივით იყო. მეგობრებმა ბოლოს პატრიარქთან მივიყვანეთ სნოს რეზიდენციაში. იმ დროს გოდერძი დეპრესიაში იყო. პატრიარქმა უთხრა, ათი დღე დარჩი სნოში, დაისვენეო... თავის რეზიდენციას სთავაზობდა. უარი უთხრა და მერე ისე ინანა, ტიროდა... ეჰ, უცნაური იყო ბოლოს...

**— ცნობილი მონადირეც ხარ...**

— მე ეგა ვარ, სხვა არაფერი არ ვარ, არც კინომსახიობი და არც იურისტი. პროფესიონალი მონადირე ვარ. მამაც და პაპაც, ყველანი ეგენი ვართ ძირითადად. მერე მთაში დადიხარ და ალპინიზმიც და ბუნებაც გიყვარდება. ნადირობის გულისთვის ძალიან ბევრი რამ შემიძლია. ყაზბეგში „ზაპრავკას" — თბილისი-ვლადიკავკაზი ვამუშავებდი, ნადირს რომ დავინახავდი, დავკეტავდი და გავრბოდი სანადიროდ.

**— ბევრს აქვს თქვენი მოკლული ჯიხვის რქები...**

— მთელ ჩემს საძმაკაცოს ეგენი აქვს, მერე დამაბრალეს, ასე თქვა შალიკომ, ჩემდა წილად ვხოცავ ამ ჯიხვებსო... სტუმრად რომ ვარ სადმე და გადმომაწვდიან ყანწს, ვეტყვი ხოლმე, აგერ, შემომიტრიალდა უკან-მეთქი... მე არ მიყვარს ყანწით ღვინის დალევა...

ყველა ცნობილი ადამიანი, ვინც ჩვენს ოჯახში მოსულა, ყანწებს ვჩუქნიდით. მახსოვს, ოთარ მელვინეთუხუცესს აჩუქა მამაჩემმა ჯიხვის კარგი ყანწები.

**— რამდენი ნადირი მოგიკლავთ?**

— ეგ საიდუმლოა, არასდროს არ ვიტყვი, მაგის თქმა არ შეიძლება...

**— ყაზბეგმა შეიცვალა იერსახე, ტურიზმის მთავარ ქალაქად გადაიქცა...**

— ყაზბეგი აყვავდა ტურიზმით, აშენდა სახლები, ქუჩები გალამაზდა. მაგრამ ცუდია ის ამბავი, რომ საქონელი აღარ ჰყავთ ყაზბეგში, ნატურალური არაფერი აღარ იშოვება, ჩამოტანილია ყველაფერი. სასტუმროები და ტურიზმის მომსახურება გახდა მთავარი.

გაჭირვებაა და ხალხმა ბოსლები სასტუმროებად გადააკეთა. საქონელი აღარ ჰყავთ, ორი წლის წინ თუ 300 ძროხა იყო ყაზბეგში, ახლა 40-ია.

რძე აღარ იშოვება. როცა ჩემი საქონელი გაშრება ხოლმე, იძულებული ვარ, რძე ვიყიდო, რადგან 8 შვილიშვილი მყავს და რძე სულ გვჭირდება... მე ყველაფერი მყავს, უღელიც, ბერწებიც, მეწველებიც, ცხვრებიც. ყველაფერი მყავს ჩემი წილი...

ტურიზმს რაც შეეხება, მოვლენ, კონსერვის ქილებს დატოვებენ, ჩვენს ჰაერს ჩაისუნთქავენ, ყველაფერ სილამაზეს ნახავენ, ბუნებით დატკბებიან და შენ ვინ გამოდიხარ? — მომსახურე პერსონალი. რატომ უნდა ვიყო ვიღაცის მომსახურე პერსონალი. როცა იქით უნდა გემსახურებოდნენ?

**— საზღვარზე ცხოვრობთ...**

— რაც ყაზბეგში სახლი დამეწვა, გველეთში, ზედ საზღვარზე ვცხოვრობ, რაც კი შეიძლება სოფელში გყავდეს, ყველაფერი მყავს.

ცოლი და ბიჭები ჩამოდიან ხოლმე, სამი ბიჭი მყავს. უფროსს, ვახოს — მამაჩემის სახელი ჰქვია, ლევანს ფრონტზე დაკარგული ბიძის სახელი დავარქვი. უმცროსი თემურა კი მეგობარმა მონათლა, ლაგოდეხის ნაკრძალის უფროსმა მოჭიდავე თემურ ტყემალაძემ.

ჩემს ბიჭებსაც უყვართ მთა, გიდები არიან... ლევანა უფრო დადის მყინვარწვერზე...

ახლა 72 წლის ვარ, ადრე ლექსებსაც ვწერდი, ერთი რვეული მქონდა. რაც სახლი დამეწვა, რვეულიც დაიწვა, მას მერე აღარაფერი აღარ დამიწერია... ძირითადად, სოფელში ვარ და მეურნეობას ვპატრონობ...



**თამარ შაიშმელაშვილი**

# ძველისძველი და ბრძენი ჩინელები ჩინებულ წელს გვიწინასწარმეტყველებენ

## თეთრი ვირთაგვის წელი

**აღმოსავლური, კერძოდ ჩინური კალენდრით, 2020 — ლითონის თეთრი ვირთაგვის წელია, რომელიც ოფიციალურად ძალაში 25 იანვარს შედის. მაინც რა ნიშნებით იქნება ის სხვა წლებისგან განსხვავებული და რა თვისებებს ანიჭებს მას „სატიტულო“ ცხოველი?**

**ხასიათი.** თეთრი — სულიერ მისწრაფებათა და ქმედებათა სისპეტაკის ნიშანია. ლითონის ფერი კი (ნაცრისფერი, მოვერცხლისფრო), წლის მფარველის პირუთვნელობას, რწმენისა და პრინციპების სიმტკიცეს მოწმობს. ვირთაგვა მუდამ ორგანიზატორია, ვერ იტანს სიზარმაცესა და აღვირახსნილობას. ის გამბედავია, არ ერიდება ცვლილებებს, მუდამ სძლევს დაბრკოლებებს. ამავდროულად ის შრომისმოყვარე და მიზანდასახული ცხოველია. მას ჩინებული მეხსიერება აქვს და ყველა წვრილმანის დამახსოვრების დიდებული უნარი გააჩნია, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ იყენებს.

ვირთაგვას უყვარს ადამიანები, ვინც მუდამ მუშაობს საკუთარ თავზე და არახელსაყრელ გარემოებებს არ ეგუება. მას ერთდროულად რამდენიმე საქმის შეთავსება შეუძლია, ამიტომაც მოითხოვს სხვებისგანაც, რომ ყველა საქმე დროულად გაკეთდეს. ვირთაგვასთან შეუძლებელია შეკამათება ანდა მისი გადარწმუნება. მას კიდევ ძალიან უყვარს ყველაფერში პატიოსნება, ამიტომაც ყველა დახმარებას აღმოუჩენს იმათ, ვინც საქმეს სინდისიერად უძღვება. აღმოსავლეთში თვლიან, რომ ვირთაგვა ბრძენი და შრომისმოყვარე ცხოველია, რომელმაც ზუსტად იცის, თუ როგორ უნდა მიაღწიოს დასახულ მიზანს.

**სუფრა.** ვირთაგვა ჯოგის ცხოველია, ამიტომაც უყვარს ხალხმრავალი პურ-მარილი, გემრიელი კერძები, ამიტომ სადღესასწაულო სუფრაზე ბევრი ნაირ-ნაირი საჭმელი უნდა იყოს, მათ შორის, ხორცის რულეტი, საქონლის სტეიკი, მწვადი, ბრინჯითა და ბოსტნეულით დატენილი ცხვრის ბეჭი, თევზი კი სასურველია, ზღვისა იყოს.



ასევე უპირატესობის მინიჭება ღირს ინდაურის, ქათმის, იხვის ხორცისთვის. აუცილებელი ატრიბუტია ნაირ-ნაირი ყველი, ასევე კარგი იქნება, თუკი დიასახლისები იზრუნებენ სხვადასხვა მწნილის, შებოლილ და ბოსტნეულის მისაყოლებელზე. ყველაფერი უხვად უნდა იყოს, რათა სტუმრებიც და ვირთაგვაც კმაყოფილნი დარჩნენ.

სადღესასწაულო სუფრაზე ცალკე უნდა დაიდგას ყველის თეფშები ნიგვზითა და თაფლით — ეს ოჯახში ბარაქას მოიზიდავს, თან წლის სიმბოლოსაც შეგახსენებთ. ურიგო არ იქნება სხვადასხვა ტიპის, ვთქვათ, ბოსტნეულის, ხორცის, თევზის სალათების მომზადება. ასევე ვირთაგვას მოეწონება სტაფილოს, კომბოსტოსა და კიტრის სანელებლებით შეკმაზული სალათები. თუმცა ისიცაა, რომ არ ღირს უკიდურესობაში გადასვლა. მართალია, საახალწლო სუფრა ბარაქიანია, მაგრამ ყოველგვარი ეგზოტიკის გარეშე უნდა იყოს გაწყობილი.

**დეკორი.** 2020 წლის დადგომამდე საჭიროა სახლის საფუძვლიანად დალაგება — ვირთაგვას უწესრიგობა არ უყვარს. ახალი წლის შეხვედრა სახლში სჯობს, რადგან მისი სიმბოლო სახლის ცხოველია. ვირთაგვა აფასებს ნატიფ გემოვნებასა და ელეგანტურობას, არ უყვარს უაზროდ მოშიშვლება. სამოსელი უნდა იყოს რუხი, თეთრი, ვერცხლისფერი, ხორცისფერი, შავი. უპირატესობა ბუნებრივ ქსოვილებს — აბრეშუმს, შიფონს, სელსა და ა.შ. ენიჭება. სამკაულად შეიძლება ვერცხლის ან პლატინის სამკაულების შებმა, თუმცა ზომიერება უნდა გამოვიჩინოთ. ფეხსაცმლის ფერი ეცადეთ, სამოსს შეუხამოთ, მამაკაცების ტანსაცმელი კი ხორცისფერი და რუხი ელფერისა უნდა იყოს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ თმის ვარცხნილობას: უმჯობესია გაშლილი თმები ან „ცხენის კუდი“, ხასხასა შესაკრავის გარეშე, ანდა კარე, მთავარია, არაორდინალურად გამოიყურებოდეთ.

**პროგონოზი.** მომავალი წელი ნაკიანია, თუმცა ტყუილი შიშები გაუმართლებელია — უსიამოვნება შეიძლება ჩვეულებრივ წელიწადშიც მოხდეს. გარკვეულ წვრილ-წვრილ და უსიამო საქმეებისთვის გვერდის ავლა ძნელი იქნება, მაგრამ გაჩერება და რაღაც-რაღაც „ქარიშხლების“ ლოდინი ნამდვილად არ ღირს. პირიქით, არ შეიძლება უმოქმედობა, საჭიროა ყველა მიმართულებით აქტიურობის გამოჩენა. 2020 წელი — ესაა უკეთესობისკენ ცვლილებათა წელი, მაგრამ წარმატება და იღბალი მხოლოდ გამბედავი, შრომის და ოჯახის მოყვარული ადამიანების თანამდევი იქნება. ავანტიურებსა და ტყუილებზე კი უმჯობესია უარის თქმა — სამართლიანი და პატიოსანი ვირთაგვა მატყუარებსა და აფერისტებს არ სწყალობს.

წლის სიმბოლოს მაღალი ინტელექტი და ინტუიცია ახასიათებს. ვირთაგვა შესანიშნავი სტრატეგოსი და ტაქტიკოსია, ამიტომაცაა, რომ ეშმაკი და მოუხელთავი ცხოველი წარმატებით უმკლავდება ცხოვრებისეულ პრობლემებს. ჩინური ჰოროსკოპით, ვირთაგვისა და ლითონის სტიქიონის შერწყმა წარმატებას მოუტანს მიზანდასახულ ხალხს. ჯანმრთელობის მხრივ, ვირთაგვა ყველას ურჩევს ცხოვრების ჯანსაღი და აქტიური წესის მიყოლას. 2020 წელს ურთიერთობები უნდა აეწყოს ურთიერთნდობის საფუძველზე — მაშინ სიყვარული ხანგრძლივი და ბედნიერი იქნება.

ასტროლოგები წინასწარმეტყველებენ, რომ 2020 წელი ყველაზე ხელსაყრელი დრო იქნება შეუღლებისა და შვილების გასაჩენად, თაგუნას თეთრი ბეწვი თავისი სისპეტაკით ყველა ეჭვსა და წარუმატებლობას „დაფარავს“.

## აქტიური პროცესები იანვარში

**ახალი წლის დამდეგიდან, გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია 1-5, 9-11, 17 და 20-28 რიცხვებში. ამ დღეებში სავარაუდოა ციკლონებისა და ქარიშხლების ჩამოყალიბება, ყველა სახეობის ავარიულობის მომატება, სოციუმში დაძაბულობის ზრდა, ასევე სეისმოაქტივობის გაძლიერდება.**

**1 — მთვარის ნეპტუნთან შეერთება თევზების თანავარსკვლავედში.** სავარაუდოა კანის დაავადებათა, ღვიძლთან დაკავშირებით პრობლემებისა და ტერფების ტკივილების წარმოშობა, ინფექციურ სნეულებათა გამძაფრება, შეშუპებები. ტრანსპორტით მგზავრობისას, ქუჩების გადაკვეთისას და საბუთების შედგენისას საჭიროა ყურადღებით ყოფნა. სასურველია დიეტის დაცვა, უარი თქვით ალკოჰოლისა და ყავის მიღებაზე. სარგებლის მომტანია წყლის პროცედურები და მასაჟი.

**3 — მთვარის პირველი მეოთხედი, მარსი მშვილდოსნის თანავარსკვლავედში გადადის.** შესაძლოა, შეგაწუხოთ თავის ტკივილებმა, უძილობამ. გამორიცხული არ არის თავის, სახის, თვალებისა და ყურების დაავადებათა წარმოშობა. მოერიდეთ სტრესულ ვითარებებს, კონფლიქტებსა და აღმგზნებ საშუალებათა მიღებას. ეცადეთ, დაასვენოთ თვალები, დაიცავით ძილისა და დასვენების რეჟიმი, სვით მეტი სუფთა წყალი. სასარგებლოა ზომიერი ფიზიკური ვარჯიშები. დღის მოჭარბებული ენერგეტიკის გათვალისწინებით ეცადეთ, თავი აარიდოთ კონფლიქტებს, ურთიერთობათა გარკვევის გადატანა კი სხვა დღისთვის სჯობს.

**5 — მთვარის ურანთან შეერთება ვერძის თანავარსკვლავედში.** ერიდეთ გაციებას, ანგინას, ლარინგიტს. ჩაიცვით ამინდისდა მიხედვით, თავს ნუ შეიმცივნებთ. გაციების პირველსავე ნიშნებზე მკურნალობის დაწყებას ნუ დააყოვნებთ! სასურველია, მოერიდოთ ხალხმრავალ ადგილებს, სადაც დიდია გრიპის ან სხვა ვირუსული ინფექციების შეყრის ალბათობა. მოერიდეთ ზედმეტი საკვების მიღებას, დაიცავით დიეტა, ნუ მიეძალებით ალკოჰოლს. გახსოვდეთ, რომ ჯანმრთელობაზე დიდ ზეგავლენას ახდენენ წარუმატებლობები და სტრესები. ამ დღეს სასარგებლოა წყლის პროცედურების ჩატარება.

**10 — სავსემთვარეობა კირჩხიბის თანავარსკვლავედში.** შესაძლოა კუჭის დაავადებათა გამძაფრება, საჭმლის მომნელებელი სისტემის აშლილობა, კუჭქვეშა ნაწლავისა და ღვიძლის მუშაობის დარღვევა. მოჭარბებულია ემოციური ფონი, იზრდება ეჭვიანობის დონე. დიდია ტრავმების მიღების, შეცდომების დაშვების, აგრეთვე უბედური შემთხვევების ალბათობა. თავი აარიდეთ ჭარბ ფიზიკურ დატვირთვებსა და სტრესებს. ძლიერად ვლინდება სამკურნალო პრეპარატებისა და ალკოჰოლის მოქმედება. კარგი დროა სახლის კეთილმოსაწყობად, ახლობლებთან შესახვედრად და დასასვენებლად.

**17 — მთვარის ბოლო მეოთხედი მორიელის თანავარსკვლავედში.** ორგანიზმში მიმდინარე ყველა რეაქცია ნელდება, რის გამოც იკლებს საერთო ტონუსი და ქვეითდება იმუნიტეტი. არსებობს ნებისმიერ ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრების ალბათობა, ასევე არტერიული წნევის ნახტომისებრი ცვლა, ტკივილები გულის არეში. მოერიდეთ სტრესებსა და კონფლიქტებს, საავარიო სიტუაციებს, აკონტროლეთ საკუთარი ემოციები. კარგი დროა დაწყებულ საქმეთა დასამთავრებლად, ახლების წამოწყება კი არ ღირს, ვინაიდან თქვენი გეგმები შესაძლოა, მკვეთრად შეიცვალოს, თანაც, საფრთხილოა, რომ საქმიანმა პარტნიორებმა გიღალატონ.

**20 — მზე გადადის მერწყულის ნიშანში, მთვარის მარსთან შეერთება მშვილდოსნის თანავარსკვლავედში.** დიდია თეძოების სახსრების ტრავმების მიღების ალბათობა. არ არის გამორიცხული ფილტვებისა და ღვიძლის დაავადებები. მოერიდეთ დაცემას, ინფექციებისა და ჭრილობების მიღებას. სასურველია, შეამციროთ დატვირთვა საყრდენ-სამოძრაო აპარატზე, ეცადეთ, სითბოში იყოთ, მეტი დაისვენოთ, მოერიდოთ დაუფიქრებელ მოქმედებებსა და კონფლიქტებს, ახლობლებთან კი პატარ-პატარა კინკლაობასაც ამ დღეს შეიძლება დიდი უსიამოვნება მოჰყვეს, ამიტომ ეცადეთ, ყველასთან ტაქტიანი იყოთ.




**23 — მთვარის იუპიტერთან შეერთება თხის რქის თანავარსკვლავედში.** მოსალოდნელია საჭმლის მომნელებელ სისტემასთან დაკავშირებული პრობლემების წარმოშობა, კუჭის აშლილობა და მადის გაძლიერება. გამორიცხული არ არის ძვლების, სახსრებისა და კუნთების ტკივილების წარმოშობა, ასევე თავბრუსხვევები და საერთო სისუსტე. საჭიროა საყრდენ-სამოძრაო აპარატზე დატვირთვის შემცირება, სახსრების დათბობა, ტრავმების, გაციებისა და ინფექციების მორიდება.

**24 — მთვარის სატურნთან და პლუტონთან შეერთება თხის რქის თანავარსკვლავედში.** შესაძლოა დეპრესიის წარმოშობა, ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება, ძვლების, სახსრებისა და კუნთების ტკივილები, ორგანიზმის საერთო ტონუსის დაქვეითება, კბილის ტკივილი. უარი თქვით მძიმე ფიზიკურ დატვირთვაზე, უმჯობესია, ეს დღე დასვენებასა და სასიამოვნო ურთიერთობებს დაუთმოთ. არ არის რეკომენდებული ახალი საქმეების წამოწყება და გეგმების დალაგება.

**25 — ახალმთვარეობა მერწყულის თანავარსკვლავედში და მთვარის მერკურთან შეერთება.** სავარაუდოა ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება, არტერიული წნევის ნახტომისებრი ცვლა, გულყრები, აგრეთვე ნერვული სისტემის დაავადებები, ხელებისა და მხრების ტკივილები. მოერიდეთ სტრესებსა და ზედმეტ ფიზიკურ დატვირთვას. ამ დღეს არ არის სასურველი საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღება და გეგმების დაწყობა.

**28 — მთვარის ვენერასთან და ნეპტუნთან შეერთება მერწყულის თანავარსკვლავედში.** ამ დღეს დამახასიათებელი იქნება ორგანიზმის საერთო სისუსტე, გულყრები, გულის სპაზმები. ძალზე მავნეა ნერვული დაძაბულობა და ალკოჰოლიანი სასმელების მიღება. ფრთხილად იყავით უცხო წამლებთან, გაუფრთხილდით თვალებს, ნერვულ სისტემასა და წვივების სახსრებს. გამორიცხული არ არის ორიგინალური იდეების გაჩენა. კარგი დროა დასვენებისთვის, შემოქმედებითი საქმიანობისთვის, ხელოვნების ნიმუშებით ტკბობისთვის.

# მსოფლიოს 500 უმდიდრესი ადამიანი

**მსოფლიოს 500 უმდიდრესი ადამიანის ქონება 2019 წელს 25%-ით გაიზარდა.**

მისი ცნობით, მსოფლიოს 500 უმდიდრესი ადამიანის ჯამური ქონება 5,9 ტრილიონ დოლარად არის შეფასებული, რაც შარშანდელ მაჩვენებელს 1,2 ტრილიონით აღემატება.

500 ყველაზე მდიდარი ადამიანის სიაში 172 ამერიკელი მილიარდერია, რომელთა ქონებაც 500 მილიარდი დოლარით გაიზარდა. მათ შორის არიან Facebook-ის ხელმძღვანელი მარკ ცუკერბერგი და Microsoft-ის დამფუძნებელი ბილ გეიტსი. ყველაზე მდიდარ ადამიანად კი კვლავ Amazon-ის დამფუძნებელი ჯეფ ბეზოსი რჩება.

# ვინ გამოიმუშავა ინსტაგრამზე ყველაზე მეტი ფული

**დასახელდნენ 2019 წლის ცნობილი ადამიანები, რომლებმაც სოციალურ ქსელ ნnstagram-ზე ყველაზე მეტი გამოიმუშავეს. სიის სათავეში ფეხბურთელი კრიშტიანუ რონალდუა.**


INSTAGRAM'S HIGHEST EARNERS

| CELEBRITY | INSTA INCOME | PER POST |
|---|---|---|
| CRISTIANO RONALDO | £38.2M | £780K |
| LIONEL MESSI | £18.7M | £518K |
| KENDALL JENNER | £12.7M | £489K |
| DAVID BECKHAM | £8.6M | £286K |
| SELENA GOMEZ | £6.4M | £709K |
| NEYMAR JR | £5.8M | £578K |
| ZLATAN IBRAHIMOVIC | £3.2M | £160K |
| KYLIE JENNER | £3M | £1.01M |
| RONALDINHO | £2M | £205K |
| KHLOE KARDASHIAN | £957K | £478K |

პორტუგალიელმა ფეხბურთელმა 2019 წელს 38,2 მილიონი ფუნტი სტერლინგი გამოიმუშავა. სპეციალისტების თქმით, მისმა ერთმა დასპონსორებულმა პოსტმა ფეხბურთელს საშუალოდ 780 ათასი ფუნტი სტერლინგი მოუტანა.

მეორე ადგილზე არგენტინელი ფეხბურთელი ლიონელ მესია. 2019 წელს Instagram-ზე განთავსებულმა პოსტებმა მას 18,7 მილიონი ფუნტი სტერლინგის მოგება მოუტანა.

სამეულს ასრულებს ამერიკელი სუპერმოდელი კენდალ ჯენერი. სოციალური ქსელების დახმარებით, მან 12,7 მილიონი ფუნტი სტერლინგი გამოიმუშავა. Instagram-ის მდიდარ ვარსკვლავებს შორის ასევე არის დევიდ ბექჰემი, ნეიმარი, სელეგა გომესი, კაილი ჯენერი და მისი უმცროსი და ქლოე კარდაშიანი.

# 10 ყველაზე პოპულარული სტატია ვიკიპედიაში




**WIKIPEDIA-მ 2019 წელს ვებგვერდის 10 ყველაზე პოპულარული გვერდი დაასახელა.**

ათეული მხოლოდ ინგლისურ ენაზე დაწერილ სტატიებს შეიცავს. პირველ ადგილზეა სტატია ფილმზე „შურისმაძიებლები: დასასრული", რომელსაც 43,987,013 ნახვა აქვს. მას მოსდევს სტატია 2019 წელს გარდაცვლილ ცნობილ ადამიანებზე, რომელზეც თითქმის 38 მილიონჯერ შევიდნენ. მესამე ადგილზე კი სერიული მკვლელის ტედ ბანდის გვერდია, რომელსაც 29 მილიონზე მეტი ნახვა აქვს.

სიაში ასევე მოხვდნენ: მსახიობი კიანუ რივზი, მომღერალი ბილი აილიში, Marvel-ის ფილმები, მსახიობი ხოაკინ ფენიქსი, ფილმი „ავატარი", სერიალი „ჩერნობილი" და მუსიკოსი ფრედი მერკური.

# შვიდი ჯუჯის უხალისო ამბავი



**რომელ ბავშვს (დიდსაც!) სიგიჟემდე არ უყვარს გენიალური მულტიპლიკატორის უოლტ დისნეის შედევრი — „თეთრთოვლა და შვიდი ჯუჯა"?! ამ ზღაპრულ პერსონაჟებს, მით უმეტეს შობა-ახალი წლისა და სასკოლო არდადეგების უმშვენიერეს ჟამს, ყველგან შეხვდებით — ქუჩებში, დიდ თუ პატარა მოედნებზე, კაფე-ბარებში, ყველა მაღაზიაში, უამრავ ოჯახში... არადა, როგორც ჩანს, ბევრმა ჯერაც არც კი იცის, რომ ამ ჭეშმარიტად ჯადოსნურ პერსონაჟებს დიდი ალბათობით რეალური პროტოტიპები ჰყავდათ.**

1994 წელს გერმანელმა ისტორიკოსმა **ეკჰარდ ზანდერმა** გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელშიც ამტკიცებდა, რომ თეთრთოვლას პროტოტიპი მარგარეტ ფონ ვალდეკი უნდა ყოფილიყო.

გრაფ ფილიპ დე ვალდეკს გოგონა 1533 წელს შეეძინა, ბავშვობა კი უდარდელი ჰქონდა, მაგრამ დედა ადრევე გარდაეცვალა, ხოლო ბოროტი და ანჩხლი დედინაცვლის გამო 16 წლის მარგარეტი იძულებული გახდა, ბრიუსელში წასულიყო, იქ მას უფლისწული ფილიპ II, ესპანეთის მომავალი მეფე შეუყვარდა. თუმცა მათ ურთიერთობას ყველა ერთიანად ეწინააღმდეგებოდა — გერმანელი დიდგვაროვნებიც და ესპანეთის უმაღლესი არისტოკრატიაც. 21 წლის ასაკში ქალიშვილი იდუმალ ვითარებაში გარდაიცვალა — ეკჰარდ ზანდერის ვარაუდით, იგი მოწამლეს. მაგრამ, თუ ვინ ჩაიდინა ეს საზარელი საქციელი, უცნობი დარჩა — იმ ხანის ევროპაში შხამით ან ხანჯლით არასასურველი პერსონის მოცილების „მოდა" ჯერ კიდევ იტალიელი ბორჯიებიდან მოდიოდა...

ამ ისტორიაში არის ერთი საგულისხმო დეტალი: დანამდვილებითაა ცნობილი, რომ ფონ მალდეკების ოჯახს სპილენძის რამდენიმე საბადო ეკუთვნოდა (ზღაპარში კი მოქმედება შვიდ მთას შორის ხდება), სადაც ბავშვების შრომა გამოიყენებოდა. მძიმე სამუშაოს მიზეზით პატარა მუშებს ზრდა უნელდებოდათ, ისინი მალევე იხრებოდნენ წელში, ადრე ჭაღარავდებოდნენ და ბერდებოდნენ. ჰოდა, სპილენძის მადნის ამ მთხრელებს თავზე ფერად-ფერადი ჩაჩები ეხურათ, რაც, ზანდერის აზრით, იმას ნიშნავს, რომ ისინი ჯუჯების პროტოტიპები იყვნენ.

# როგორ ავიხდინოთ საახალწლო სურვილები?

## ექვსი ყველაზე გავრცელებული გზა

**როგორც ამბობენ, ახალი წლის ჯადოსნურ ღამეს ყველა ნატვრა სრულდება, მთავარია, გულით ჩაიფიქრო და დადებითი ენერგიით დაიმუხტო. სურვილების ასახდენად ადამიანები სხვადასხვა სახის რიტუალსაც მიმართავენ. გთავაზობთ ყველაზე გავრცელებულ რიტუალებს და ყველა კეთილი სურვილის ახდენას გისურვებთ.**

**1. სურვილი ფურცელზე**

ვიდრე ღამის 12 საათი შესრულდება, ფურცელზე სურვილი დაწერეთ, დაწვით, ჭიქაში ფერფლი ჩაყარეთ და დალიეთ — ეს ყველაფერი 1 წუთში უნდა მოასწროთ.




**2. ნახტომი მომავალში**

სანამ 12 სთ ჩამოკრავს, დადექი სკამზე, დახუჭე თვალები და წარმოიდგინე თავი იმ სამყაროში, სადაც შენი ოცნება უკვე ასრულდა. როგორც კი დადგება ახალი წელი, გადმოხტი სკამიდან — ეს იქნება ახალი ნაბიჯი ახალ 2017 წელში.

**3. სურვილი ბალიშის ქვეშ**

ასევე პოპულარულია პატარა ფურცლებზე სურვილების ჩამოწერა და ბალიშის ქვეშ დაწყობა. დილით ბალიშიდან მხოლოდ ერთი ფურცელი აიღეთ და წაიკითხეთ — რა სურვილიც ფურცელზე დაწერეთ, აგისრულდებათ.

**4. საახალწლო ბარათი**

ახალი წლისთვის დაწერე შენი ოცნება ფურცელზე, ჩადე მისალოცი ბარათში და გაუგზავნე შენს თავს ფოსტით. ეს ოცნება დაწერე ისე თითქოს უკვე ასრულებულია.

**5. სურვილი ნაძვის ხეზე**

ბევრ ქვეყანაში ფურცელზე დაწერილ საახალწლო სურვილებს ლამაზად აფორმებენ და ნაძვის ხეზე ჰკიდებენ, როგორც ამბობენ, ეს არის ყველაზე მოკლე გზა ახალი წლის ღამეს სურვილების ასახდენად.

**6. ფინანსების მოსაზიდად**

ახალი წელი, რომ ბარაქიანი იყოს, ნაძვის ხეს ხურდებითა და კუპიურებით რთავენ.

საახალწლო რიტუალები როგორც ვხედავთ ერთმანეთისგან განსხვავდება, თუმცა აქ ყველაზე მთავარი ერთი რამ არის, განწყობა — მოზეიმეები დღესასწაულს ისე უნდა შეხვდნენ, რომ ახალმა წელიწადმა თითოეულ ოჯახს ბედნიერება, ჯანმრთელობა, ხვავი, ბარაქა, სიკეთე და სიხარული მოუტანოს.



# გაბრაზებულ გულზე...

**ციფრული ტექნოლოგიების სფეროში მომუშავე ფრანგული სტარტაპის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა გათავისუფლების შემდეგ კომპანიიდან 1,1 მილიონი ევრო მოიპარა.**

კომპანია პარიზში 2013 წელს დაფუძნდა და წარმატებით ვითარდებოდა, თუმცა დროთა განმავლობაში განვითარების სტრატეგიის განსხვავებული ხედვების გამო ხელმძღვანელებს შორის კონფლიქტი გაჩნდა, რის შედეგედაც ერთ-ერთი დამფუძნებელი კომპანიიდან გაათავისუფლეს.

გათავისუფლებულმა თანამშრომელმა ქვეყანა დატოვა და 2018 წლის დეკემბრიდან 2019 წლის იანვრის პერიოდში კომპანიის ანგარიშიდან რამდენიმე ნაწილად 182 ბიტკოინი (1,1 მილიონი ევრო) მოიპარა.

მომხდარზე გამოძიებას პარიზის პროკურატურის კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველო აწარმოებდა. რამდენიმე თვეში გამომძიებლებმა დაადგინეს, რომელ ელექტრონულ საფულეში ინახებოდა მოპარული ბიტკოინები, შემდეგ კი მისი მფლობელის იდენტიფიცირებაც შეძლეს.



37 წლის კაცი 22 დეკემბერს კალვადოსის დეპარტამენტში დააკავეს. პროკურატურა მას დანაშაულებრივი დაჯგუფების შემადგენლობაში ფულის მითვისებას, გათეთრებას და მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემაში უკანონო შეღწევას ედავება.

# საშობაო სიკეთე

**გერმანიის ქალაქ კრეფელდში გამვლელმა ქუჩაში ფულით სავსე ზურგჩანთა იპოვა.**

შემთხვევა შობის ღამეს მოხდა. 63 წლის კაცს ზურგჩანთა ნაძვის ხესთან დარჩა. საჩუქრების გარდა ჩანთაში 16 ათასი ევრო იდო.

ზურგჩანთა გამვლელმა იპოვა და პოლიციას მიმართა. სამართალდამცველებმა



მისი მფლობელის ვინაობა სწრაფად დაადგინეს და დაკარგული ნივთები დაუბრუნეს.

მპოვნელმა კი კანონით გათვალისწინებულ ჯილდოზეც (490 ევრო) უარი თქვა. თავისი უანგარობა მან იმით ახსნა, რომ ინციდენტი შობისას მოხდა.

# ნაპოვნი ფულის ნაცვლად... საშობაო შვებულება

**დიდ ბრიტანეთში ნარჩენების გადამუშავების ცენტრის თანამშრომლებმა მუყაოს ყუთში 15 ათასი ფუნტი იპოვეს.**

მათ აღმოჩენის შესახებ პოლიციას შეატყობინეს. სამართალდამცველებმა ვიდეოკონტროლის კამერების დახმარებით იმ ადამიანების ვინაობა დაადგინეს, ვინც ყუთი გადააგდო. გაირკვა, რომ ცოლი და ქმარი გარდაცვლილი ნათესავის სახლს ალაგებდნენ და რამდენიმე ყუთი გადამუშავების ცენტრში მიიტანეს.

როგორც ირკვევა, გარდაცვლილი სახლში ფულს სხვადასხვა ადგილებში მალავდა, თუმცა ნათესავებს არ ეგონათ, რომ მან ამხელა თანხის შეგროვება შეძლო. პოლიციამ თანხმა მფლობელებს დაუბრუნა, თანამშრომელს კი, რომელმაც ფული აღმოაჩინა, ცენტრმა საშობაო შვებულება მისცა.

**ორი მთავარი სამეცნიერო ჟურნალი Science-ი და Nature-ი, ტრადიციულად, დეკემბრის ბოლოს მიმდინარე წლის სამეცნიერო მიღწევებს აჯამებს. თუმცა ამას გამოცემები განსხვავებულად აკეთებენ. Science-ი აცხადებს „წლის მთავარ მიღწევას“, რომელსაც ეგრეთ წოდებული „შორთ ლისტის“ მონაწილეები არჩევენ. Nature-ი კი საკუთარი სამეცნიერო „სიახლეების“ პარალელურად ასახელებს ცალკეულ ადამიანებს, რომლებმაც მეცნიერებასა და პოლიტიკურ მოვლენებზე განსაკუთრებული გავლენა იქონიეს. გთავაზობთ ინფორმაციას მხოლოდ იმ აღმოჩენების შესახებ, რომლებიც გამოცემებმა წელს ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნიეს და ბმულებს, სადაც იმათ შესახებ უფრო დეტალურად მოგითხრობთ.**

# 2019 წლის მთავარი სამეცნიერო მიღწევები

## შავი ხვრელის პირველი ნამდვილი გამოსახულება

**ჟურნალ Science-ის ჩამონათვალში, რომელიც 2019 წლის უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო მოვლენებს მოიცავს, უპირობო ლიდერი შავი ხვრელის პირველი ნამდვილი გამოსახულებაა.**

თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს სუპერმასიური შავი ხვრელი, ფილმიდან „ინტერსტელარი“ ყველამ კარგად ვიცით. თუმცა გარგანტუა ქრისტოფერ ნოლანის ამ ეკრანიზაციიდან მხოლოდ მოდელია, რომელიც ძალიან ფრთხილად არის გათვლილი და სამეცნიერო აღწერას შეესაბამება. ნამდვილი შავი ხვრელის ნახვა კი თითქოს შეუძლებელი იყო, მაგრამ 2019 წლის აპრილში ეს შესაძლებელი გახდა. მიღებული გამოსახულება არის არა ოპტიკური, არამედ რადიოტელესკოპის მუშაობის შედეგი. ამიტომაც მისი შეფერილობა პირობითია, მაგრამ ეს აღმოჩენის მნიშვნელობას სულაც არ აკნინებს. უფრო დეტალურად ამ ფაქტზე ინფორმაციის მიღება პირველწყაროდან შეგიძლიათ.

## გრენლანდია – როგორც სათბურის გაზის ერთ-ერთი უდიდესი წყარო



**მეთანი არის სათბურის გაზის ერთ-ერთი სახეობა ნახშირორჟანგსა და წყლის ორთქლთან ერთად. მომავალში კლიმატის განვითარების გზები რომ განვიხილოთ, საჭიროა, კარგად წარმოვიდგინოთ, ატმოსფეროში მეთანი საიდან ჩნდება და მისი გამოყოფა გლობალური ტემპერატურის მომატების შემდეგ როგორ შეიცვლება.**

ამ მეცნიერულმა სიახლემ კი შესაძლებელი გახადა, გაეზომათ მეთანის გამოყოფა იმ დანალექი ქანების მიერ, რომლებიც გრენლანდიაზე ყინულის საფარქვეშაა. აღმოჩნდა, რომ სწორედ ეს არის მეთანის ემისიის ძლიერი წყარო.

## მექსიკის ყურეში „დინოზავრების მეტეორიტის“ ჩამოვარდნის რეკონსტრუქცია



**66 მილიონი წლის წინ დედამიწაზე გიგანტური ასტეროიდი ჩამოვარდა. ამ მოვლენის შედეგად, იმ დროისთვის ჩვენს პლანეტაზე მცხოვრები ცოცხალი ორგანიზმების დაახლოებით სამი მეოთხედი სახეობა გადაშენდა, მათ შორის იყვნენ დინოზავრები. ამ მეტეორიტის ჩამოვარდნის ადგილი უკვე დიდი ხანია, დადგენილია.**

მან ჩიკსულუბის კრატერის სახელწოდება მიიღო და მექსიკის ყურეში, იუკატანის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ რაიონში მდებარეობს. 2016 წელს ამ ტერიტორიაზე ბურღვითი მასშტაბური სამუშაოები დაიწყო. ამ დროს მიღებული შედეგების გაანალიზებით, სწორედ ახლა გახდა შესაძლებელი იმ პროცესების დადგენა, რომელიც ასტეროიდის ჩამოვარდნის გამო განვითარდა.

## ნეიროქსელები რობოტებს სირბილს ასწავლიან

**ადამიანს, რომელსაც სიარული და სირბილი შეუძლია, ხშირად წარმოდგენა არა აქვს, ეს რამდენად რთული რამ არის. ყველაფერი გასაგები მაშინ ხდება, როდესაც ინჟინრები ცდილობენ, ცოცხალი ორგანიზმების მოძრაობა რობოტებს შეაძლებინონ. ეს საკითხი არის რობოტექნიკის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა.**

ახალი მიდგომა, რომელიც გერმანელმა და შვეიცარიელმა მეცნიერებმა გამოსცადეს, ორი ნერვული ქსელის მუშაობას ეფუძნება. ერთი მათგანი მოძრაობის სტრატეგიას გეგმავს, მეორე კი ელექტრომოტორებში კონკრეტული მოქმედებისთვის ნაკრებს არჩევს.

## დენისოველი ადამიანის გარეგნობის დადგენა მისი დნმ-ის მიხედვით



**დენისოველები არიან ჩვენი სრულუფლებიანი ნათესავები, რომელთაც ნეანდერტალებთან ერთად კაცობრიობის გენოფონდში თავიანთი კვალი დატოვეს. თუმცა ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, დენისოველთა ძვალსაც კი არ მოუღწევია ჩვენამდე. ამიტომ ჩვეულებრივი ანატომიური რეკონსტრუქციით ვერ გავიგებთ, თუ როგორ გამოიყურებოდნენ ისინი.**

2019 წელს კი მეცნიერები დნმ-ის ანალიზსა და დიდი ხნის წინ გადაშენებული ჩვენი წინაპრების გარეგნობის აღდგენას კრეატიულად მიუდგნენ. საამისოდ კი ერთადერთი კბილის მიერ გამოყოფილი ნივთიერება გამოიყენეს. ამ საკითხზე დეტალური ინფორმაციის მიღება პირველწყაროდან შეგიძლიათ.

## ჰანტინგტონის დაავადების მკურნალობისადმი ახალი მიდგომა

**ეს არის ამ დროისთვის უკურნებელი სენი. მეცნიერებმა მიმდინარე წელს შექმნილ ახალ ნაშრომში ორიგინალური მეთოდი მოიფიქრეს, თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ ცილების პათოლოგიურ დაგროვებას. ჰანტინგტონის დაავადების განვითარება სწორედ ამ პროცესს ახლავს.**

ამისათვის მათ სპეციალური მოლეკულა – ადაპტორები დაამუშავეს. ისინი დაკავშირებულია როგორც ცილების „ნაგავთან“, ისე იმ რეცეპტორებთან, რომლებიც უჯრედის ზედაპირზეა განლაგებული. სწორედ ეს უკანასკნელი იწვევს ფაგოციტოზს (პროცესი, როდესაც უჯრედი თავის ნაწილაკებს შთანთქავს სპეციალური ბუშტუკების წყალობით, რომლებსაც თავად წარმოქმნის).

## როგორ ამახინჯებს თევზის გლობალური ბაზარი ღარიბ ქვეყნებში მცხოვრებთა კვების რაციონს

**მეცნიერებმა ჩაატარეს დიდი კვლევა, რომლის შედეგიც საკმაოდ მარტივია: დღეისთვის, განსაკუთრებით კი ღარიბ ქვეყნებში, ადამიანთა კვების რაციონი ხშირად მნიშვნელოვანი მიკროელემენტების სიმცირეს განიცდის. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრ ასეთ რეგიონში თევზი ჭარბად მოიპოვება.**

ამ პროდუქტს ადგილობრივი მოხმარებისთვის რომ იყენებდნენ, ჯანმრთელობისთვის მოსალოდნელი ბევრი საფრთხის თავიდან არიდება იქნებოდა შესაძლებელი. მაგრამ ასე არ ხდება და ამის მიზეზი მარტივია – გლობალური ბაზარი თევზს გლობალურ პროდუქტად აქცევს და ის ძირითადად ექსპორტზე გააქვთ.

## ებოლას სამკურნალო წამალი



**დიახ, სასიკვდილო ვირუსის საწინააღმდეგო ეფექტიან წამალს მეცნიერებმა ებოლას აღმოჩენიდან მხოლოდ 40 წლის შემდეგ მიაკვლიეს. ფორმალურად, ეს პრეპარატი ერთის ნაცვლად ორია – mAb114 და REGN-EB#.**

სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები კვლევის ფარგლებში 4 სხვადასხვა პრეპარატს ცდიდნენ. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ პაციენტების 70%, რომელიც ერთსა და იმავე ანტისხეულს იღებდა, გადარჩა. შედეგი იმდენად დამაჯერებელი იყო, რომ კვლევა ვადაზე ადრე შეწყვიტეს.

## რეკორდულად შორეული ასტეროიდი აროკოტი იგივე ULTIMA THULE

**ეს ასტეროიდი „ნასას“ ავტომატურმა პლანეტათშორისმა სადგურმა „New Horizons“-ის ზონდმა გამოაჩინა. მან დროთა განმავლობაში სახელწოდება კი შეიცვალა, მაგრამ თავად იგივე დარჩა.**

აროკოტის მსგავსი ტრანსნეპტუნური ობიექტის კვლევა მეცნიერებს საშუალებას აძლევს, უკეთ გაიგონ, პლანეტების წარმოშობამდე მზის სისტემა რისგან შედგებოდა.

## ხელოვნური ინტელექტი პოკერის წინააღმდეგ



**თავდაპირველად ხელოვნურ ინტელექტს ნარდი დანებდა, შემდეგ – ჭადრაკი, რამდენიმე წლის წინ – კი Starcraft-ი. პოკერის განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ ის დაფარული ინფორმაციით თამაშია – მოთამაშეები სხვის კარტებს ვერ ხედავენ და ეს მნიშვნელოვნად ართულებს კომპიუტერის უნარს, პრობლემა გადაჭრას.**

ბოლო კვლევებიდან ირკვევა, რომ ხელოვნური ინტელექტი ამ დავალებასაც გაუმკლავდება. მას ჯერ შეზღუდული ტეხასური ჰოლდემი დანებდა, შემდეგ, ულიმიტო ჰოლდემი, ახლა კი – ექვსი კაცისგან შემდგარი თამაში.

**IMEDINEWS.GE**

# ჩემო უმცროსო მეგობარო!



თუთიყუში რიკი პატარა, ენაწყლიანი ჩიტუნა, უკვე მესამე წელიწადია, რაც ჩვენი ოჯახის სრულუფლებიანი წევრია.

ყველა, ვინც ჩვენთან ახლობლობს, შეხვედრისას, სალამ-ქალამის შემდეგ, რიკი როგორ ბრძანდებაო, არ შეიძლება, დიდი პატივისცემით რომ არ მოიკითხოს.

თუთიყუში რამდენიმე თვისაც არ იქნებოდა, ენა რომ ამოიდგა, ჯერ „დილა მშვიდობისა“, ჩვენი სახელები და სიტყვა „მიყვარხარ“ ისწავლა, მერე, ნუ იტყვით, ისე ალაპარაკდა და აჟღურტულდა, რომ ეზოს გაგარეულებული კატები ჩვენს აივანთან გროვდებიან და შემოჰკნავიან ხოლმე.

რაც აინტერესებთ, ხომ კარგად მოგეხსენებათ!

ასე რომ, მტერი ამ ჩვენს უწყინარ, გულუბრყვილო რიკისაც კი ჰყავს და მოფრთხილება უნდა!

თუთიყუშისადმი მიძღვნილი კრებულის, „სარკის ჩიტის“ ლექსების ნაწილი ჩვენი ამაგდარი ჟურნალის „დილას“ წყალობით, ვინ მოთვლის რამდენ თქვენს თანატოლთან „მიფრინდა“.

როგორც ხედავთ, რიკი, რიკრიკელა, მართალია, თავის პატარა გალიას არ გასცილებია, მაგრამ იმ ფრინველებზე უფრო ცნობილია, ცის ლაჟვარდებში რომ დანავარდობენ და სივრცეებს აღმა-დაღმა სერავენ.

დილიდან მოყოლებული, დღე ისე როგორ ჩაივლის, სახელებით რომ არ მოგვმართოს და მიყვარხარო, ხარიხიდან არ ჩამოგვძახოს!

ეჰ, ჩემო პატარებო, სამწუხაროდ, რომ იცოდეთ, რამდენ მოზრდილს დაავიწყდა ამ სიტყვისა და გრძნობის არსებობა და მნიშვნელობა!

ასე რომ არ ყოფილიყო, ჩვენი და ქვეყნის ცხოვრებაც უფრო ხალისიანი და გამართული იქნებოდა! მივბაძოთ რიკის, გვიყვარდეს ერთმანეთი, თუ გვინდა, ბედნიერების ვარსკვლავმა მუდმივად ჩვენთვისაც ანათოს!

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს და გახსოვდეთ, თქვენს გვერდით „პაწაწუნა“ გალიის ჩიტის ციცქნაზე ციცქნა გული სცემს, მხოლოდ თქვენს კი არა, მთელი სამყაროს სიყვარულს რომ იტევს!

ვანო ჩხიკვაძე
30.12.2019

## ვანო ჩხიკვაძე

# წიგნიდან „სარკის ჩიტი“

### თუთიყუშ რიკის საახალწლო

თოვლის ქურქში ჩამთბარა
საქართველოს მთა-ბარი,
აგუგუნებს „შვიდკაცა“ –
„ზამთარია ზამთარი!“..

ეზო უცებ გაკვალეს –
რა გოგოა, რა ბიჭი,
რა თქმა უნდა, ეკუთვნით
ჩურჩხელა და ჩამიჩი.

სახლიც დააწკრიალა,
არ გიყვებით მოგონილს,
ციბრუტივით ტრიალებს –
„გოგნი, გოგნი, გოგონი!..“

* * *

მოიზარდა ბიჭუნა,
ამოსვლია კიჭუნა.
არ ატიროთ პატარა,
დაურწიეთ კაკანა.

უფალო არ მოაკლო
წყალობა და ალერსი,
საქართველო შეჰყურებს
ჩვილს, ბრიალა თვალებში.

ჩიტებს – მუჭით მარცვალი,
საკნაწუნო – თაგუნებს,
დრუნჩას – თაფლი,
სტაფილო კურდღელს რადგან
არგუნე,
თოვლის პაპავ, სხვებივით
მელაც გვერდით მოისვი,
თუკი ცრუპენტელობას
ახლა მაინც მოიშლის.

დიდი სამზადისია,
აქაცა და იქაცა,
საახალწლოდ, ნაძვის ხეც,
უკვე გამოიკვანწა!..

– გაძლიეროთ, გამრავლდით,
როგორც ფუტკრის ნაყარი! –
რიკი, შენ პირს შაქარი,
რიკი, შენ პირს შაქარი!

### მელია

პურის ყანაში ხორბალი,
ქერის ყანაში ქერია.
საქათმიდან რომ მოსწერეს,
მოდი, ქათმები გელიან,
ნეტავი რა ესიზმრება
ახლა დამწყვდეულ მელიას –
ალბათ, ორღობის ბოლოში
საქათმესთან რომ ხვრელია.

ქანდარაზე ზის მამალი-
დეზებიანი მტერია,
გამოაღვიძა პატრონი,
იმას გაუხმეს ყელია.

### რიკტიკელა

თუთიყუში მოგვიყვანეს,
კოხტა, პაწაწინა,
ჩვენც მავთულის გალიაში
მივუჩინეთ ბინა.

მწვანეა და ალაგ-ალაგ
ოქროსფერიც გასდევს,
დაგვინახავს, სიხარულით
მოაწყდება ბადეს.

მზად არის, რომ მოკრძალებით
თავი მოგვიდრიკოს,
დასკუპდება ხარიხაზე
მარტოხელა კიკო.

გააქანებს საქანელას,
ენას გამოგვიყოფს,
ჰოდა, ვიწყებ მართალ
ზღაპარს –
– ერთი ჩიტი იყო!..

### ნათლობა

აიჩემა გიზო პაპამ,
მოუნათლავი გვყავს, რათო,
რიკიც გავაქრისტიანოთ,
რიკი, ფორე დავარქვათო!

ეცინება ვანიკოს და,
ეღიმება, ჩუმად ლექსოს,
ჩიტს ხელები რომ არ აქვს
პირჯვარს როგორ გადიწერსო.

არ დაგვადგა დიდი ძალა,
უცებ სუფრაც გაიშალა.

რიკიფორეს ყველის ციცქნა,
ოხრახუშის წიწკნაც უყვარს,
ცოტა ღვინო ნათლიამ და
ნათლულმაც კი გადახუხა.

მიყვარხართო! – მერე ყველას
მოგვეფერა რიკტიკელა.

რაც მონათლა პაპა გიზომ,
მოწყენილი აღარ ზისო.

### სარკის ჩიტი

მარტომ რომ არ მოიწყინოს,
გალიაში, აქვე,
ბუმბული რომ დაივარცხნოს,
დავუკიდეთ სარკე.

ხედავს, თავის ორეული,
მსგავსება და ხატი,
როგორც თვითონ,
მაღლა-დაბლა,
ესეც ადი-ჩადის.

შეხედავს და შემოხედავს
ჩიტი, მისი ასლი,
რიკისავით ხარიხაზე
ფრთებს კეცავს და გაშლის.

როცა წარმოფრთხიალდება,
ისიც იქნევს ბოლოს,
საჭმელში არ ეცილება,
სარკის ჩიტი მხოლოდ.

### კი, კი

– ფია კარგია?
კარგია, –
თავს მიკანტურებს:
– კი, კი!

– წყალი დაგისხა?
დამისხი,
რა კითხვა უნდა:



– კი, კი!

ხან კი ძალიან აურევს:
– ძილი ნებისა!
– კი, კი!
– დილა მშვიდობის,
პატარავ! –
თავს მიკანტურებს,
– კი, კი!

– ნუ ღორმუცელობ, დაგადგა
მუცელი, როგორც ტიკი! –
ტუქსავს ლექსო და პასუხობს,
კვლავ თავის ქნევით:
– კი, კი!

რა ვქნათ, თუ ასე
გაგრძელდა,
ამ ჩვენს თუთიყუშ რიკის,
რიკიკოს გადავარქმევთ და
ბოლოს დავარქმევთ „კი-კის“.

### ბებერი ყვავის გაკვეთილი

დილიდან თავს
დაგვყრანტალებს,
გადმოუგდია ენა,
აღარც ზუზუნი ჩაგვესმის,
აღარც ჩიტების სტვენა.

ხან ბრაზობს, ხან კი დატკბება,
ხან ბუმბულს წამოქოჩრავს,
– ყვა-ყვა,
ყვავუკა,
გაბედე
ფრთა დაიქნიე – ყოჩაღ!

გაოცდა, რატომ მიჩუმდა
ქარი ზენა და ქვენა.
გახედა, თურმე ბახალას
ყვავი ასწავლის ფრენას.

– ყვავი ასწავლის ფრენასო,
ნუთუ არავის გიკვირთ? –
ხა-ხა-ხა, ხა-ხა. ჰი-ჰი-ჰი! –
გადაგვიბჟირდა რიკი –
აქამდეც კარგად ვიცოდი,
ყვავი რომ იყო ბრიყვი!

მთელი დღე ხეზე სკუპია,
მაინც, ამ ბებერს, ხედავთ,
ფრენას სხვებსაც რომ
ასწავლის,
თვითონ თუ ახსოვს, ნეტავ?!

### გაფრთხილება

რიკი არ დაიწუნებს,
თუკი ჰქვია მარცვალი,
აკნაწუნებს ყველაფერს,
ასაკენკი რაც არის.

საუზმობს თუ სადილობს,
ათოხლავებს სტაფილოს.

თუკი შია, ღიღინით,
ვოდელიავადილო,
მწარედ ჩანისკარტებას
თითშიც, არა თაკილობს.

ზოგჯერ ისეთს ჩაიდენს,
გეგონება უჯიშო,
მავთულს ყბეში მოიქცევს,
გემო რომ გაუსინჯოს.

ხომ გაფრთხილებ, რიკიტო,
კბილები არ იტკინო,
თორემ ჭერზე კიჭებით
ვეღარ დაეკიდები.

### აბეზარი გოგო

ოჯახში აქვს დიდი წონა
სუყველაზე უმცროს ნონას.

შინაურთა საკრებულო
არც მატულობს,
არც კლებულობს.
პაპა, ძია, დედა, მამა,
ძმა და დები რიგში დგანან.

შემოიტანს ბებო ფაფას,
ეძებს ნონაც ჩხუბის საბაბს,
ადრე მიაქვს,
გვიან მოაქვს,
მაინც უკმაყოფილოა.

სოფოს ცოტა რად მიართვა,
რად დაუდო ნინოს მეტი,
გაიბუსხა, მოითხოვა
ნონამ ბებოს იმპიჩმენტი.

იმუქრება ჩივილით და,
ბებო გაჩენის დღეს ნანობს,
აირია მონასტერი
ჭირვეული გოგოს გამო.

ოჯახი რომ შეარიგოს,
პაპა გაიღვარა ოფლად,
კაციშვილმა აღარ იცის,
ხმები როგორ გაიყოფა.

კარგა ხანი იკამათეს,
ასე იყო, ისე იყო,
დაავიწყდათ, დავა ვინ და
რატომ, რისთვის წამოიწყო.

ბოლოს ფაფაც მიირთვეს და
ჩაიც ბლომად დაილია,
რომ იკითხო, აღარც ახსოვთ,
სუფრა რატომ აირია.

ყველა ყველას მიეფერა,
ზოგი ძაღლს და ზოგიც –
ფისოს,
მხოლოდ ბებო, გულნატკენი,
ზის, არ უხსნის დანა პირსო.

ბრაზობს რიკი, ხარიხაზე,
ბუმბულების იგლეჯს ქიტონს,
როგორ უნდა, ენის წვერზე,
ურჩ გოგონას რომ უჩქმიტოს.

ვინმემ მაინც ხომ უნდა თქვას,
ვინ დაიცავს უუფლებო,
შინაურის, გარეულის
სამსახურში დაღლილ ბებოს.

### მაცივარი

ცოტა ხანს რომ ჩუმად არის,
თითქოს ძილში – ოხ, ოხ, მე!
გაბერილი, აყუყული,
უცებ დაიროხროხებს.

მხრებს შეარხევს, თითქოს
მხოლოდ
მაგისია ქვეყანა,
კარი ღია როცა დარჩა,
რიკის გრიპი შეჰყარა.

მთელი ღამე არ აძინებს,
ლამის სულ გადარია,
როგორი მოსასმენია
მაცივარის არია?

### ვალი

„რიკი, სულ გამოშტერდი,
რიკი, ხომ არ დაბერდი,
დააზღვიე ჭიკჭიკი –
მოვა ჩვენი აგენტი.

ჯერჯერობით არც ერთი
სიტყვაც აღარ დამარცვლო,
ბანკში შენი გალია
თუ არ ჩადე სანაცვლოდ.

თუ სიმღერა კრედიტით
არ აიღე, იცოდე,
დაგაპატიმრებენ და
ბანკი არ შეგიცოდებს!“

გულმოსულმა, მრისხანემ,
გაათენა ის ღამე.

ნახეთ ჩიტის „ბრეიკი“,
ხარიხაზე „ლამბადა“,
– ხომ არ უნდა ვინანო,
დედიკომ რომ დამბადა!

კატებმა მომინელონ,
ან შემჭამოს მელიამ,
ჭკუა, ვირის სამყოფიც,
თუ არ გამოელიათ.

გალიაში ისეც ვარ,
აქ შევხვდები სიბერეს.
უფრო მეტად მითხარით,
როგორ მაპატიმრებენ?

# მძლეთამძლე




**— ეს შენი წონაა! — ბეჭზე ხელი დაჰკრა მწვრთნელმა.**

**— ვიცი. — ისე უპასუხა, შტანგისთვის მზერა არ მოუცილებია.**

**— აბა, მიდი!**

**ბიძგი არც დასჭირვებია. ახალგაზრდა გოლიათმა მსუბუქად აირბინა კიბე და ფიცარნაგის კიდესთან პირჯვარი გადაიწერა. „ბორბლებზე“ შემდგარ რკინას რომ მიუახლოვდა, თავისთვის რაღაც ჩაიჩურჩულა და გაირინდა...**

**წამის გაელვება და, ბამბასავით ატაცებული 220-კილოგრამიანი შტანგა გოლიათის თავზემოთ გაქვავდა...**

**არცერთი მოძრაობა — ურეკორდოდ.**

უნებურად ლაშა ტალახაძის ორი წლის წინათ ნათქვამი სიტყვები გამახსენდა: **„ზოგს შტანგა უსულო ჰგონია, ჩემთვის კი ის სულიერია. უნდა მოარჯულო, დამჯერი გახადო, ძალოსანსა და რკინას შორის ჰარმონია უნდა დამყარდეს, უნდა მოგენდოს, რომ მოძრაობისას სასურველ წონაზე წამოგყვეს, თორემ თუ გაგიჯიუტდა, არაფერი გამოვა“.**

და აი, ტაილანდური პატაიას ფიცარნაგზე მოთვინიერებული შტანგა საჩხერელი გოლიათის ზეამართულ ხელებზეა გაყინული.

წამიც და... იქუხა დარბაზმა.

არის მსოფლიოს რეკორდი.

**„220-კილოიანი შტანგა როცა დააგდო, მსოფლიოს რეკორდმითვლილმა „ტრადიციულად“ „მისაყვედურა“ — მსუბუქია ეს ოხერი, ვერ ვიგებ, სად გარბისო... 220-კილოგრამიან შტანგაზე მეუბნება“,** — წერს თავის პოსტში ძალოსანთა ნაკრების ექიმი გიორგი ჭინჭარაული.

რიოს ოლიმპიადის გამარჯვებულმა, მსოფლიოს სამგზის და ევროპის ოთხგზის ჩემპიონმა ლაშა ტალახაძემ წლეულს 27 სექტემბერს, ჯვართამაღლების ბრწყინვალე დღეს, ტაილანდურ ფიცარნაგზე ექვსივე ცდა წარმატებით გამოიყენა: ჯერ 208 კილოგრამი, მერე 215 კილოგრამი აიტაცა. ლაშას ამ წონაზე გაჩერება შეეძლო — ატაცში ოქრო გარანტირებული ჰქონდა, რადგან მე-2 ადგილზე მყოფი სომეხი გორ მინასიანის უმაღლესი შედეგი 212 კილო იყო.

შეეძლო, მაგრამ საჩხერელ ოლიმპიურ ჩემპიონებს — მწვრთნელსა და შეგირდს თბილისიდანვე სხვა რამ ჰქონდათ ჩაფიქრებული, ცხადია, გაუხმაურებლად: არც ერთი მოძრაობა — ურეკორდოდ.

ლაშა ტალახაძემ 220 კილოგრამი ისე თავისუფლად აიტაცა, რომ ყველა დაარწმუნა, ეს წონა მისთვის, მართლაც, მსუბუქია, თუმცა, ამჯერად იკმარა — მარაგი ამომავალი მზის ქვეყნისთვის შემოინახა, ალბათ, ოლიმპიურ თამაშებზე მსოფლიოს კიდევ ერთხელ გასაოცებლად!..

### საქართველო მსოფლიოზე მეტია

**მცირე მოთელვის შემდეგ 247 კილოგრამი რომ აკრა, საჩხერელ ჩემპიონს გიორგი ასანიძისთვის უთქვამს — 261 კილოზე მიმიშვი და შეჯიბრებას დავამთავრებო, მაგრამ მთავარ მწვრთნელს ამჯერადაც სხვა ჩანაფიქრი ჰქონდა. „ყველაფერი იქნება თავის დროზე, ოღონდ, ცოტა მოითმინეო, — უნიშნებია გიორგის. ამასაც ჭინჭარაულის ჩანაწერიდან ვიგებთ. „255 კილოგრამის შემდეგ მოვიდა და „დროა და გვმართებს, ჩვენი ასაწევი ავწიოთო“... რამდენიმე წამში 264 კგ „გაფრინდა ცაში“ და დაფიქსირდა ახალი მსოფლიოს რეკორდი“!..**

დიახ, ახალი მსოფლიო მიღწევა, ოღონდ... საქართველოს რეკორდის გამეორება!

საქმე ის არის, რომ 2018 წლის აშხაბადის მსოფლიოს ჩემპიონატამდე, ფაქტობრივად, თვენახევრით ადრე ტალახაძემ საქართველოს ჩემპიონატში მოსინჯა ძალები, ოღონდ - ძველ (+105 კილოში) წონაში. მესამე ცდაზე მან 264 კილოგრამი აკრა, რაც კილოგრამით აღემატება 2004 წელს ათენში ირანელი ჰოსეინ რეზა ზადეს მიერ დამყარებულ მსოფლიოს რეკორდს. ორჭიდში ლაშამ 478 კილოგრამი მოაგროვა, რაც, ასევე, კილოგრამით მეტია მისსავე 2017 წლის მსოფლიო მიღწევაზე.

ოღონდ ქართველი გოლიათის მიერ ნაჩვენები შედეგები მსოფლიოს რეკორდებად არ ჩაითვალა, რადგან ჩვენი ეროვნული ჩემპიონატი ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის კალენდარში არ შედის და შეჯიბრებას უცხოელი მსაჯები არ ემსახურებოდნენ. თუმცა საამაყოა, რომ ახალი წონების შემოღებამდე დამყარებული საქართველოს ეს რეკორდები მსოფლიოსას აღემატება და ასეთად დარჩება მარად!..

პატაიაში მსოფლიოს ჩემპიონატი ტალახაძემ ფანტასტიკური შედეგით დაასრულა - სამი ოქროს მედალი მოიპოვა და მსოფლიოს სამი რეკორდი დაამყარა, ორჭიდის თამასაც თვალშეუდგამ სიმაღლეზე — 484 კილომდე ასწია. სხვა ქვეყნების მძიმეწონოსნები მასზე კარგა ხანს, ალბათ, ვერც იოცნებებენ.

ქართველმა გოლიათმა ამ წარმატებას უფრო ადრე, გაზაფხულზე ბათუმში ჩაუყარა საფუძველი. აჭარის დედაქალაქში გამართულ ევროპის ჩემპიონატზეც შეუდარებელი იყო სამი „ოქროთი“ და ამდენივე მსოფლიოს რეკორდით. „ევროსპორტის“ მოხიბლულმა კომენტატორმა აღტაცება ვერ დამალა და „ლაშა ტალახაძემ ტრიუმფალური ფინალი აჩუქა როგორც ქართველ, ისე ევროპელ მაყურებელსო“, თქვა ეთერში პლანეტის გასაგონად, რადგან იმ გადაცემას მსოფლიოს ყველა კუთხეში უყურებდნენ ძალოსნობის ქომაგები.

ბათუმში ლაშამ 218 კილოგრამი აიტაცა და წინა წელს აშხაბადში დამყარებული საკუთარი მსოფლიოს რეკორდი კილოგრამით გააუმჯობესა, თანაც მესამე ცდა არც გამოუყენებია. შემდეგ 260 კილო აკრა, რითაც საკუთარ მიღწევას 3 კილოგრამით გადაამეტა, ორჭიდის ჯამშიც 478 კილოგრამით შეუდარებელი იყო.

მახსოვს, 2018-ში აშხაბადის მსოფლიოს ჩემპიონატზე აკვრაში პირველი ცდის მერე ლაშამ ნაკრების მთავარ მწვრთნელს რომ უთხრა — შეუკვეთეთ რამდენიც გინდათ, მზად ვარ, ყველაფერს ვიღებო. მაშინ ქართველმა ათლეტმა მსოფლიოს ჩემპიონობა ერთბაშად შვიდი რეკორდით დაამშვენა, რაც სეზონის ფეიერვერკული დაგვირგვინება იყო.

### ჩემპიონი - უსაზღვროდ

**2019 წელი მიიწურა. რამდენიმე საათიც და 2020 მოგვიკაკუნებს — დროის ახალი ათვლა დაიწყება. წლის ბოლოს საქართველოს სპორტის ჟურნალისტთა ასოციაციამ და ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, სეზონის შედეგების გათვალისწინებით, ზედიზედ მეოთხედ საუკეთესო სპორტსმენად ლაშა ტალახაძე დაასახელეს. მის ფენომენალურ მაჩვენებლებს თუ გავითვალისწინებთ, ცხადია, ასეც უნდა ყოფილიყო. თუმცა, საჩხერელი გოლიათის ცხოვრებაში 2019 წელი კიდევ ერთი უდიდესი ჯილდოთი დაგვირგვინდა — ქვეყნიერებას მოევლინა პატარა მარიამი, ტალახაძეების ოჯახის უდიდესი სიხარული და სტიმული, რომელსაც ლაშამ წლევანდელი გამარჯვებები მიუძღვნა.**

— გაისადაც ასე იქნება, — გვითხრა დიდმა ჩემპიონმა. — არაფერს დავიშურებ, რომ წარმატებები 2020 წელსაც ვამრავლო და ამ მიღწევებსაც მარიამს, ჩემს ოჯახსა და სრულიად საქართველოს მივუძღვნი. წინ ბოლო ოთხწლეულის ძალიან მნიშვნელოვანი შეჯიბრება გველის — ტოკიოს ოლიმპიური თამაშები და მინდა, იქაც გავუმართლო იმედები ჩემს ქვეყანას.

წლეულს ზედიზედ მეოთხედ დამასახელეს საუკეთესოდ. იმაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს, რომ გარჯას გიფასებენ, ხალხს უყვარხარ და პატივს გცემს. ეს დამატებითი სტიმულია ახალ-ახალი მიღწევებისთვის. ფიცარნაგზე გასვლისა თუ მის შემდეგაც იმდენ თანადგომას და სიყვარულს ვგრძნობ ქომაგებისგან, რომ ამის სიტყვით გადმოცემა შეუძლებელია. მადლობის მეტი რა მეთქმის.

**— პატაია სეზონის მაჟორული ფინიში იყო...**

— მსოფლიოს ჩემპიონატზე ტაილანდურ პატაიაში, მართლაც, ისეთი შედეგი ვაჩვენე, რომლის მსგავსი მსოფლიოს ძალოსნობის ისტორიაში ჯერ არავის დაუფიქსირებია: ორჭიდის ჯამში 484 კილოგრამი მოვაგროვე და ასე გადავდგი კიდევ ერთი ნაბიჯი იმ 500 კილოგრამისკენ, რაც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ასანიძემ დაგეგმა. შევეცდები, რომ ახლო მომავალში ეს ჩანაფიქრი რეალობად ვაქციო.

**— ალბათ, 2020 წელს ამომავალი მზის ქვეყანაში?**

— ოლიმპიადაზე რეკორდებს ვერ გამოვედევნები, რადგან ოთხწლეულის შეჯიბრებაზე შეცდომის დაშვების უფლება არ მექნება. იქ ცივი გონებით უნდა ვიმოქმედოთ ოქროს მოსაპოვებლად. თუმცა, ორჭიდში 500 კილოგრამის დაძლევის დროც მალე მოვა და, მერწმუნეთ, არც ეს იქნება ზღვარი.

**— უახლოეს გეგმებზე რას იტყვით?**

— 27 იანვარს იტალიაში გავემგზავრები საერთაშორისო ტურნირზე. ეს მეექვსე სალიცენზიო სტარტი იქნება და ტოკიოს ოლიმპიადის საგზურსაც ოფიციალურად დავიმსახურებ. მერე ევროპის ჩემპიონატზე გამოვალ, თუმცა, ჯერ არ არის ცნობილი, სად და როდის გაიმართება. არ არის გამორიცხული, ამ შეჯიბრებასაც საქართველომ უმასპინძლოს. მერე კი მიზანმიმართულად იაპონური ბატალიებისთვის მოვემზადები, რომ მძიმეწონოსნებთან პაექრობაში ტიტული დავიცვა...

ვისარგებლებ შემთხვევით და სრულიად საქრთველოს დამდეგ შობა-ახალ წელს მივულოცავ. 2020 ქართველი სპორტსმენების გამარჯვებების, ჩვენი ქვეყნის გაერთიანებისა და ძლიერების წელი ყოფილიყოს!

**ვაჟა დანელია**

**◉ რჩეული**

# ლაურეატი კაპიტანი




**საქართველოს 2019 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ჯაბა კანკავაა — ეს სასტუმრო „შერატონში“ გამართულ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოველწლიური დაჯილდოების ცერემონიაზე გამოაცხადეს.**

2019 წლის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის ნომინაციაში სამი ფეხბურთელი იყო წარმოდგენილი — ოთარ კიტეიშვილი, გიორგი ლორია და ჯაბა კანკავა. საბოლოოდ, მათ შორის ყველაზე მეტი ხმა სწორედ ჯაბა კანკავამ მიიღო.

GFF AWARDS 2019-ზე წლის საუკეთესოების გამოსავლენ გამოკითხვაში მონაწილეობა საქართველოს ეროვნული ლიგის 10-ვე მთავარმა მწვრთნელმა და 11-მა ფეხბურთელმა, საქართველოს ეროვნული ნაკრების მოთამაშეებმა, სპორტული მედიის წარმომადგენლებმა და საქართველოს ვეტერანმა ფეხბურთელებმა მიიღეს.

2019 წლის საუკეთესო მსაჯი ირაკლი კვირიკაშვილია, ქალთა საუკეთესო მწვრთნელის ტიტული „ლანჩხუთის“ თავკაც ლევან კუკულაძეს ერგო. ჩემპიონატში ქალთა შორის საუკეთესო ფეხბურთელად ხატია ჭყონია ცნეს, ფუტსალში საუკეთესო მწვრთნელი ავთანდილ ასათიანი გახდა, საუკეთესო ფეხბურთელი კი — არჩილ სეფისკვერაძე. 2019 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშისთვის ტიტული ზურიკო დავითაშვილს ერგო, ხოლო წლის საუკეთესო ქალი ფეხბურთელი ტატიანა მატვეევაა.

**გიორგი შოთაძე**

დიალოგი ჩემპიონთან

# გართობიდან - მსოფლიოს კვარცხლბეკამდე

**საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებს სპორტის სფეროში მოღვაწეთა საქმიანობის უკეთ გასაცნობად წლეულს ახალი საგანი დაგვემატა — სპორტის ჟურნალისტიკა. ლექციებს საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე ვაჟა დანელია გვიკითხავს. ლექტორმა 2019 წლის მიწურულს სიურპრიზი მოგვიწყო — ბოლო მეცადინეობას სახელოვანი ქართველი ნიჩბოსანი, 26 წლის კანოისტი ზაზა ნადირაძე დაესწრო.**

ქომაგებისთვის ცნობილია, რომ მცხეთელმა სპორტსმენმა ერთადგილიანი ნავით 200 მეტრზე 2017 წელს მსოფლიოში მეორე და ევროპაზე მესამე ადგილები დაიკავა, შარშან კონტინენტის ჩემპიონი გახდა, წლეულს კი მსოფლიოს თასი მოიგო, მერე მსოფლიოს პირველობაზე მესამე იყო, „რედ ბულის" თასზე კი ყველას აჯობა.

ზაზას სტუმრობამ დიდი ინტერესი გამოიწვია, ამიტომ ჟურნალისტიკის სპეციალობის სხვა ჯგუფების წარმომადგენლებიც შემოგვიერთდნენ. არაჩვეულებრივი, დაუვიწყარი ლექცია გამოვიდა, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტებმა უამრავი კითხვა დაუსვეს მცხეთელ ნიჩბოსანს. სპორტის ეს სახეობა დღეს ჩვენთან დიდი პოპულარობით არ სარგებლობს, ამიტომ დაგვაინტერესა, რატომ აირჩია მან ნავი და ნიჩაბი.

ზაზა ნადირაძე სტუდენტებთან



-2006 წელს მცხეთაში გასართობი ბევრი არაფერი გვქონდა, - გვითხრა ჩემპიონმა. - ამიტომ მე და ჩემი ძმა ერთ მეგობარს გავყევით მტკვარზე ნავით გასასეირნებლად. ძალიან მომეწონა და ვარჯიში დავიწყე. მწირი ინვენტარი გვქონდა, მაგრამ მაინც გვსიამოვნებდა წყალზე სრიალი. აბა, მაშინ რას ვიფიქრებდი, კანოეს ნიჩაბთან შეჩვევა ცხოვრებაში გამომადგებოდა — სტუდენტობისას ვარჯიშების პარალელურად მშენებლობაზე ვიმუშავე და იქ აღებული თანხით სწავლის ქირას ვფარავდი.

**— პირველ წარმატებას როდის მიაღწიეთ?**

— ვარჯიშის დაწყებიდან ძალიან მალე საქართველოს ჩემპიონი გავხდი. მერე დავრწმუნდი, რომ საერთაშორისო სარბიელზე გამარჯვებებისთვის მეტი უნდა მეშრომა. გარჯა არ მეზარებოდა, რაც დამიფასდა კიდეც. 2014 წელს უნგრეთის ქალაქ სეგედში 23-წლამდელთა მსოფლიოს პირველობაზე ბრინჯაოს მედალი მხვდა, რაც დამოუკიდებელი საქართველოსთვის ნიჩბოსნობაში ოფიციალური შეჯიბრებიდან პირველი ჯილდო იყო. 2016 წელს კანოეთი რიოს ოლიმპიურ თამაშებში მე-5 ადგილი დავიკავე; 2017 წელს 200 მეტრზე პლოვდივში ევროპის ჩემპიონატისა და 23-წლამდელთა კონტინენტის პირველობის ბრინჯაოს მედლები მოვიპოვე, მომდევნო ორი წლის შედეგები კი თქვენც იცით. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ევროპის შარშანდელმა ჩემპიონობამ ძალიან გამახარა.

**— მარცხი თქვენს გუნება-განწყობილებაზე უარყოფითად თუ მოქმედებს?**

— წაგება, აბა, ვის უხარია, თუმცა, ყოველი წარუმატებლობის შემდეგ სარევანშოდ სტიმული მემატება. ფარხმალს არასდროს ვყრი, რადგან ვიცი, რომ დაღმართს აღმართი მოჰყვება. გამარჯვების იმედი თუ არ გაქვს, უმჯობესია, დიდი მიღწევების სპორტს თავი დაანებო და სხვა საქმეზე გადაერთო. ჩვენ, ნიჩბოსნები, მეტოქეობის მიუხედავად, კარგი მეგობრები ვართ, ამიტომაც კონკურენტთა მარცხსაც განვიცდი. შესაბამისად, გამარჯვებას ყიჟინით არასდროს აღვნიშნავ.

**— ნიჩბოსნობაში მიმდევრები თუ გყავთ?**

— რა თქმა უნდა. მართალია, ბაზებისა და ინვენტარის უკმარისობის გამო მათი რაოდენობა არც ისე დიდია, მაგრამ ვინც გვყავს, სულ რჩეულები არიან. მაგალითად, თბილისელი ბადრი ყაველაშვილი ერთადგილიანი კაიაკით (ბაიდარა) წლეულს 200 მეტრზე 23-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონი გახდა. გოგონებში სულ ორი თუ სამი კანოისტი გვყავს. მარიამ ქერდიკაშვილმა კი 23-წლამდელებში შარშან და წლეულს ევროპის პირველობების თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, რაც ზოგიერთი მდიდარი ქვეყნისთვის სანატრელია. საერთაშორისო ტურნირებში რამდენიმე ოქროს მედალი მოიპოვა 15 წლის ალექსანდრე წივწივაძემ.

**— რას ურჩევდით ახალგაზრდებს, რომლებიც პირველ ნაბიჯებს დგამენ სპორტის ამ სახეობაში?**

— დაისახონ მიზნები და მის მისაღწევად მაქსიმალურად დაიხარჯონ. ჩემთვის, მაგალითად, მეორეხარისხოვანი შეჯიბრება არ არსებობს. თუ ვასპარეზობ, აუცილებლად გასამარჯვებლად ვიბრძვი, რომ ყველა ტიტული დავისაკუთრო.

**— 2020 წელს ტოკიო ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს...**

— ნაახალწლევს მინგეჩაურში გავემგზავრები საქართველოს ნაკრებთან ერთად საწვრთნელ შეკრებაზე. მერე ბაზალეთზე მოვემზადებით. მაისში ჩეხეთსა და გერმანიაში სალიცენზიო ტურნირებზე გამოვალთ. ყველაფერს ვიღონებთ, რომ ოლიმპიადის საგზურები მოვიპოვოთ და ქომაგები გავახაროთ. მიზანი ოლიმპიური მედალია.

ვისარგებლებ შემთხვევით და ყველა სპორტსმენს, ქართველ ერსა და სრულიად საქართველოს 2020 წელს დიდ გამარჯვებებს ვუსურვებ!

**ანანო ანტონაშვილი,**
**მარიამ დანელია,**

**სეუ-ს ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტები**

## ხ ს ო ვ ნ ა

**ასოციაცია „მესხეთის" პრეზიდიუმმა, მექვაბიშვილების საგვარეულომ და საზოგადოებამ „გავამწვანოთ თბილისი" ამ დღეებში ჩაატარეს ხსოვნის დღე, რომელიც მიეძღვნა ამაგდარი ადამიანების ლუბა მჟავანაძის, რომან გედენიძის, ზაზა მექვაბიშვილისა და თენგიზ კალანდაძის გახსენებას.**









## საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთ (E-60) მაგისტრალის განახლებისა და რეკონსრუქციის ფარგლებში ახორციელებს ქუთაისის ახალი შემოვლითი გზის - სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია ბარნაბა ჯვარშეიშვილის (პ/ნ: 60001001230) გულნაზ ჯვარშეიშვილის (პ/ნ: 60001082491) და ნინო ჯვარშეიშვილის (პ/ნ: 60001007168) თანასაკუთრებაში არსებული 15 925 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 34.02.62.424 (ნაკვეთის წინა ნომრები: 34.02.62.036; 34.02.62.333)) ნაწილი, კერძოდ 1 369 კვ.მ (მდებარე: რაიონი სამტრედია, სოფელი იანეთი).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება ბარნაბა ჯვარშეიშვილთან (პ/ნ: 60001001230) გულნაზ ჯვარშეიშვილთან (პ/ნ: 60001082491) და ნინო ჯვარშეიშვილთან (პ/ნ: 60001007168), მათ თანასაკუთრებაში არსებული 15 925 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 34.02.62.424 (ნაკვეთის წინა ნომრები: 34.02.62.036; 34.02.62.333)) ნაწილის, კერძოდ 1 369 კვ.მ-ის ნებაყოფლობით გამოსყიდვაზე.

მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ.

მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 27 დეკემბრის №1-1/630 ბრძანებით, დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება ბარნაბა ჯვარშეიშვილის (პ/ნ: 60001001230) გულნაზ ჯვარშეიშვილის (პ/ნ: 60001082491) და ნინო ჯვარშეიშვილის (პ/ნ: 60001007168) თანასაკუთრებაში არსებული 15 925 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 34.02.62.424 (ნაკვეთის წინა ნომრები: 34.02.62.036; 34.02.62.333)) ნაწილზე, კერძოდ 1 369 კვ.მ-ზე (მდებარე: რაიონი სამტრედია, სოფელი იანეთი).

დეპარტამენტი უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

# აცეკვებული პრეზიდენტი

**ბელარუსის პრეზიდენტის ალექსანდრ ლუკაშენკოს ცეკვა ინტერნეტს იპყრობს. ლუკაშენკოს მეწყვილე ტელეარხ Беларусь 1-ის წამყვანი პოლინა შუბა გახდა, რომელიც რამდენიმე დღის წინ ბელარუსის სახელმწიფო ტელერადიოკომპანიის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილედ დაინიშნა.**



ვენის მეჯლისს, რომელიც მინსკის დამოუკიდებლობის სასახლეში გაიმართა, ოლიმპიადებისა და სხვადასხვა კონკურსის ლაურეატები, საერთაშორისო შეჯიბრებების გამარჯვებულები და სპეციალური ფონდების სტიპენდიატები ესწრებოდნენ.

# საახალწლო ფეიერვერკი მაინც გაიმართება

**სიდნეის ცნობილი საახალწლო ღონისძიება — გრანდიოზული ფეიერვერკი, ავსტრალიაში ტყის ხანძრების მიუხედავად მაინც ჩატარდება. ამის შესახებ ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა სკოტ მორისონმა განაცხადა.**



მორისონმა ასევე თქვა, რომ მოხალისე მეხანძრეების ნაწილი, რომელიც ცეცხლის ქრობის პროცესში მონაწილეობს, ფინანსურ მხარდაჭერას მიიღებს.

პრემიერის თქმით, მსოფლიო ყოველ წელს უყურებს სიდნეის, „უყურებს მათ ენთუზიაზმსა და წარმატებას“.

ქალაქ სიდნეის საკრებულომ საახალწლო ფეიერვერკისთვის 4.19 მილიონის გამოყოფას მხარი დაუჭირა, თუმცა ღონისძიება ნებისმიერ დროს, უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე, შესაძლოა, გაუქმდეს.

ქვეყანაში ტყის ხანძრების გამო საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული ხანძრების შედეგად დაიწვა მილიონობით ჰექტარი მიწა და ათასზე მეტი სახლი განადგურდა, სტიქიას 9 ადამიანი ემსხვერპლა.

# „ნაძვის ხე“ კოსმოსში

**აშშ-ში აერონავტიკის და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულმა სამმართველო NASA-მ გამოაქვეყნა „საშობაო ნაძვის ხის“ ფოტო, რომელიც ტელესკოპ „სპიტცერის“ მეშვეობით კოსმოსშია გადაღებული.**



ფოტოზე ჩანს ვარსკვლავებისაგან შექმნილი ფიგურა, რომელსაც მეცნიერებმა „ფიფქი“ უწოდეს.

NASA-ს ცნობით, ფოტოზე ახალი დაბადებული ვარსკვლავებია. ვარსკვლავები ადგილს 100 ათასი წლის შემდეგ შეიცვლიან და „ფიფქიც“ მხოლოდ ამის შემდეგ დაიშლება.


## მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).


# ტელეფონები გადადეთ და ერთმანეთს ესაუბრეთ



**რომის პაპმა ხალხს მაგიდასთან ტელეფონების გამოყენების ნაცვლად ერთმანეთთან საუბრისკენ მოუწოდა.**

პაპმა ფრანცისკემ საკვირაო წირვისას წმინდა პეტრეს მოედანზე განაცხადა, რომ იოსები, მარიამი და იესო სამაგალითო ოჯახი იყვნენ, რადგან ლოცულობდნენ, მუშაობდნენ და ერთმანეთს ეკონტაქტებოდნენ.

„თქვენ ოჯახებში თუ იცით ურთიერთობა, თუ იმ ბავშვებივით ხართ, რომლებიც მაგიდასთან მობილურ ტელეფონებში იყურებიან... როცა ისეთი სიჩუმე დგას, როგორც წირვაზე, მაგრამ ერთმანეთთან არავინ ურთიერთობს“, — თქვა ფრანცისკემ.

მან მორწმუნეებს ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის გაძლიერებისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ თაობებს შორის ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია.

# ყველაზე დიდხანს კოსმოსში...

**ამერიკელმა ასტრონავტმა კრისტინა კოხმა ქალებს შორის კოსმოსში ყოფნის ხანგრძლივობის რეკორდი დაამყარა.**



საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე მისიით კოხი 289 დღის წინ, 14 მარტს გაემგზავრა. წინა რეკორდი (288 დღე) ასევე ამერიკელს, პეგი უიტსონს ეკუთვნოდა.

NASA-ს ინფორმაციით, კოხის მისია საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე 2020 წლის თებერვალში დასრულდება. შესაბამისად, ის უწყვეტად კოსმოსში 328 დღეს გაატარებს.

# თოვლმა მოსკოვიც მიატოვა



**მოსკოვში საახალწლოდ არ გათოვდა, ამიტომ ქალაქის ცენტრში თოვლი სატვირთო ავტომობილებით მიიტანეს. სოციალური ქსელებში ფოტომასალა გავრცელდა წარწერებით — „მოსკოვის ბიუჯეტით ყველაფრის ყიდვა შეიძლება, მათ შორის ზამთრისაც“ .**

ამ თემასთან დაკავშირებით მოსკოვის მერიაში კომენტარი გაკეთდა. მერიაში ამბობენ, რომ ქალაქის ცენტრში მცირე რაოდენობით თოვლი სნოუბორდის გორის შესაქმნელად მიიტანეს. თოვლი კი მაღალმთიანი რაიონებიდან ჩაიტანეს და ეს რესურსების ეფექტური გამოყენების კარგი მაგალითია.

2019 წლის დეკემბერი მოსკოვისთვის ისტორიაში ყველაზე თბილი თვე აღმოჩნდა. ქალაქისთვის უჩვეულოდ, ახლა მოსკოვში ტემპერატურა პლუს 1-2 გრადუსია.

# დაკარგული კატა სახლში 6 წლის შემდეგ დაბრუნდა

**დიდ ბრიტანეთში 6 წლის წინ დაკარგული კატა სახლში დაბრუნდა.**

12 წლის კატა სახელად ტებსი სახლიდან 2013 წელს გაიქცა, როცა მისი პატრონები სხვა სახლში გადადიოდნენ. 6 წლის შემდეგ კენტის საგრაფოში ცხოველი ადგილობრივმა მაცხოვრებელმა შენიშნა. ის ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო.



ქალი საქველმოქმედო ორგანიზაციას დაუკავშირდა, რომელიც დაკარგული ცხოველებით პოვნით არის დაკავებული. მოხალისეებმა კატის მიკროჩიპი აღმოაჩინეს, რომელზეც მისი სახელი და პატრონების ტელეფონის ნომერი იყო მოთავსებული. ორგანიზაციის თანამშრომლები მათ დაუკავშირდნენ და 19 წლის ცხოველი სახლში დააბრუნეს.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე —
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.


**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა სამშაბათს, 7 იანვარს**

## უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.8696; ევრო - 3.1973;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7488;
100 რუბლი - 4.6362; თურქული ლირა - 0.4823;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6872;
1000 სომხური დრამი - 5.9771.

## ამინდი 31 დეკემბრისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +1, | დღე | +12 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -0, | დღე | 0 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +2, | დღე | +14 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -4, | დღე | +9 |
| თბილისი: | ღამე | +1, | დღე | +11 |


## დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:

ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge